ანტონ ჩეხოვი

მოთხრობები და პიესები

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ივანოვი

დრამა ოთხ მოქმედებად

მოქმედი პირები:

ივანოვი ნიკოლაი ალექსეევიჩი — საგლეხო საქმეთა საკრებულოს მუდმივი წევრი.

ანა პეტროვნა — მისი ცოლი, გათხოვებამდე სარა აბრამსონი.

შაბელსკი მატვეი სემიონოვიჩი — გრაფი, ივანოვის ბიძა დედის მხრიდან.

ლებედევი პაველ კირილოვიჩი — საერობო გამგეობის თავმჯდომარე.

ზინაიდა საგიშნა — მისი ცოლი.

საშა — ლებედევების ქალიშვილი, 20 წლისა.

ლვოვი ევგენი კონსტანტინოვიჩი — ერობის ახალგაზრდა ექიმი.

ბაბაკინა მარფა ეგოროვნა — ახალგაზრდა ქვრივი ქალი, მდიდარი ვაჭრის შვილი.

კოსიხი დმიტრი ნიკიტიჩი — აქციზის მოხელე.

ბორკინი მიხაილ მიხაილოვიჩი — ივანოვის შორეული ნათესავი, მისი მამულის მმართველი.

ავდოტია ნაზაროვნა — გაურკვეველი ხელობის დედაბერი.

ეგორუშკა — ლებედევების ოჯახში შეკედლებული მესუფრია.

პირველი სტუმარი.

მეორე სტუმარი.

მესამე სტუმარი.

მეოთხე სტუმარი.

პიოტრი — ივანოვის ლაქია.

გავრილა — ლებედევების ლაქია.

სტუმარი კაცები და ქალები, მსახურები.

მოქმედება შუა რუსეთის ერთ-ერთ მაზრაში ხდება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოქმედება პირველი

ბაღი ივანოვის მამულში. მარცხნივ აივნიანი სახლის ფასადი ჩანს. ერთი ფანჯარა ღიაა. აივნის წინ პატარა ნახევარწრიული მოედანია, საიდანაც ბაღის სიღრმეში ორი ხეივანი მიემართება. მარჯვენა მხარეს მაგიდები და მერხებია. ერთ მაგიდაზე ლამპა ანთია. საღამოვდება. სახლიდან როიალისა და ჩელოს დუეტი ისმის.

I

ივანოვი და ბორკინი.

ივანოვი მაგიდასთან ზის და წიგნს კითხულობს. ბაღის სიღრმეში ბორკინი გამოჩნდება. ჩექმები აცვია, ხელში სანადირო თოფი უჭირავს. ეტყობა, ნასვამია. ივანოვს დაინახავს, ფეხაკრეფით მიეპარება და თოფს დაუმიზნებს.

ივანოვი. *(შეშინებული წამოვარდება.)* მიშა! ღმერთო ჩემო, რა არის ეს? როგორ შემაშინეთ! ისედაც უგუნებოდ ვარ, თქვენ კი... გაგონილა ასეთი სულელური ხუმრობა?!

ბორკინი. *(ხარხარებს.)* კარგი, დამშვიდდით... ჰო, დამნაშავე ვარ, დამნაშავე!.. *(გვერდით მიუჯდება.)* მეტს აღარ ვიზამ!.. *(ქუდს მოიხდის.)* ეჰ, ცხადია, არ დაიჯერებთ, ძვირფასო, სამ საათში ჩვიდმეტი ვერსი გავიარე! მოკვდი კაცი!. აი, ნახეთ, გული როგორ მიცემს.

ივანოვი. *(კითხულობს.)* კარგია, იყოს...

ბორკინი. არა, ნახეთ. *(მის ხელს გულთან მიიდებს.)* გესმით, დაგ-დუგ! ეგ იმას ნიშნავს, რომ გულის მანკი მაქვს და ყოველ წამს შეიძლება მოკვდე... გეწყინებათ, რომ მოკვდე?

ივანოვი. მერე, მიშა... ახლა ვკითხულობ.

ბორკინი. არა, მართლა... გეწყინებათ, რომ მოკვდე? ნიკოლაი ალექსეევიჩ, თქვენ გეკითხებით: გეწყინებათ თუ არა, რომ მოკვდე?

ივანოვი. თავი დამანებეთ.

ბორკინი. მიპასუხეთ, გეთაყვა, გეწყინებათ თუ არა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ივანოვი. მე ის მწყინს, რომ არყის სუნი აგდით. ეს საზიზღრობაა, მიშა!

ბორკინი. *(იცინის.)* მართლა ამდის? ჰმ, უყურე შენ!.. თუმცა, რა გასაკვირია: გზაში გამომძიებელი შემხვდა და მაგრად შევუბერეთ... რვა-რვა ჭიქა გადავკარით!.. ისე, კაცმა რომ თქვას, არყის სმა ორგანიზმისთვის მავნებელია. ხომ მავნებელია? გეკითხებით, მავნებელია?

ივანოვი. ბოლოს და ბოლოს, ეს აუტანელია! დამცინით?

ბორკინი. კარგი, დამშვიდდით, დამნაშავე ვარ, დამნაშავე! მეტს აღარ ვიზამ! იჯექით თქვენთვის და იკითხეთ. *(ადგება და მიდის.)* რა ხალხია, ღმერთო, ლაპარაკიც ეზარებათ! *(ისევ ბრუნდება.)* ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ოთხმოცდაორი მანეთი მომეცით.

ივანოვი. რის ოთხმოცდაორი მანეთი?

ბორკინი. ხვალ მუშებს უნდა გადავუხადო.

ივანოვი. არა მაქვს ფული.

ბორკინი. მადლობას მოგახსენებთ! *(გამოაჯავრებს.)* „არა მაქვს ფული!" მუშებს რაღა ვუთხრა?

ივანოვი. არ ვიცი. ამჟამად ფული არა მაქვს. პირველ რიცხვამდე მოიცადეთ, ჯამაგირს მივიღებ და გავუსწორდები.

ბორკინი. პირველ რიცხვამდე? ეს კაცი გადამრევს! მუშები პირველში კი არა, ხვალ დილით მოვლენ!

ივანოვი. მე რა ვქნა? მომკალით ახლა, დამახრჩვეთ! რა უსაქციელობაა! მიშა, სწორედ მაშინ ჩამაცივდებით ხოლმე, როცა წიგნს ვკითხულობ ან რაღაცას ვწერ...

ბორკინი. ნამდვილად არ გესმით! *(ხელს ჩაიქნევს.)* ერთი ამ მემამულეებს დამიხედეთ! მიწათმფლობელები! რაციონალური მეურნეობის მოთავენი! არა, მართლა, გაგონილა ასეთი საქმე! კაცს ათასი დესეტინა ჰქონდეს და ჯიბეში კაპიკი არ უჭყაოდეს?! ღვინის სარდაფების პატრონი იყოს და კორპსაძრობი არ ჰქონდეს?! აი, ავიღებ და ხვალვე ცხენებს გაგიყიდით! რა გგონიათ, მოგერიდებით? არაფერიც. მოუმკელი შვრია ხომ გაგიყიდეთ, ახლა ჭვავსაც მივაყოლებ! *(ბოლთას სცემს.)* დიახ, ავიღებ და გავყიდი! მე ის კი არა ვარ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

II

იგივენი, ***შაბელსკი*** *(სცენის მიღმა) და* ***ანა პეტროვნა.***

შაბელსკის ხმა ფანჯრიდან ისმის: „ჩუმად, ჩუმად... ნუ უბრახუნებთ! არა, გეთაყვა. თქვენთან დაკვრა შეუძლებელია! თქვენისთანა სმენა მოხარშულ ქარიყლაპიასაც არ ექნება“.

ანა პეტროვნა. *(ფანჯარაში გამოიხედავს.)* ვინ ლაპარაკობს მანდ?.. ო, მიშა, თქვენ ხართ? რას დადიხართ აქეთ-იქით!

ბორკინი. თქვენი Nicolas-voilà-ს[1] გადამკიდე, ყირაზე რომ არ ვდგები, ის მიკვირს!

ანა პეტროვნა. მიშა, გეთაყვა, უბრძანეთ ვინმეს, კროკეტის მოედანზე თივა მიიტანონ.

ბორკინი. თავი გამანებეთ, თუ ღმერთი გწამთ!

ანა პეტროვნა. ეგ რა კილოა? სულ არ შეგშვენით ასეთი უკმეხობა. ქალების კეთილგანწყობა თუ გინდათ დაიმსახუროთ, მათი თანდასწრებით არ უნდა გაჯავრდეთ ხოლმე. სხვათა შორის, დარბაისლობაც არ გიხდებათ! *(ქმარს.)* ნიკოლა, მოდი, თივაში ვიკოტრიალოთ!

ივანოვი. ფანჯარას მოსცილდი, ანიუტა, გაცივდები! *(ყვირის.)* ძია, ფანჯარა მიხურე!

ფანჯარა იხურება.

ბორკინი. *(ივანოვს.)* სხვათა შორის, ორ დღეში ლებედევს პროცენტები უნდა გადაუხადოთ. ხომ არ დაგავიწყდათ?

ივანოვი. ვიცი, ვიცი. დღეს მივალ და ვთხოვ, მოიცადოს. *(საათს დახედავს.)*

ბორკინი. როდის აპირებთ წასვლას?

ივანოვი. ახლავე.

ბორკინი. *(გამოცოცხლდება.)* მოიცა, მოიცა! დღეს ხომ შუროჩკას დაბადების დღეა? უყურე შენ, კინაღამ დამავიწყდა! *(შეხტება სიხარულისაგან.)* მეც მოვდივარ! მეც! *(წაიმღერებს.)* მოო-ვდივარ!

---

[1] *XIX საუკუნის 80-იანი წლების პოპულარული სასიმღერო კუპლეტებიდან.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წავალ ახლა, წყალს გადავივლებ, ქაღალდს გავღეჭავ, ერთ-ორ წვეთ ნიშადურსაც მივიღებ და... იალა! ისევ თავიდან შემიძლია დავიწყო! ეჰ, ნიკოლაი ალექსეევიჩ, ძვირფასო ჩემო... ჩემი სულის ანგელოზო... აი, თქვენ სულ ნერვიულობთ, წუწუნებთ, სულ სახე ჩამოგტირით, ჩვენ კი ერთად, იცით, რა საქმეებს დავატრიალებდით? ოღონდ მოისურვეთ და თქვენი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ... გინდათ, მარფუშა ბაბაკინას ცოლად ვითხოვ! მისი მზითევის ნახევარი კი თქვენი იყოს... ნახევარი რომელია, სულ წაიღეთ!

ივანოვი. სისულელეს როშავთ.

ბორკინი. არა, სერიოზულად ვამბობ. მარფუშას შევირთავ, მზითევი კი შუაზე გავიყოთ... თუმცა, რას გეუბნებით, თქვენ მაინც ამის გამგები არა ხართ! *(გამოაჯავრებს.)* „სისულელეს როშავთ!..“ კარგი კაცი ხართ, ჭკვიანი, მაგრამ ფხა გაკლიათ თუ სხვა რამ, ვერ გამიგია! გაქანება არა გაქვთ. აი, ისეთი, კაცი რომ უცებ აიწყვეტს და ყველაფერს ფეხებზე დაიკიდებს... ფსიქოპათიც ხართ, დონდლოც... ნორმალური რომ ყოფილიყავით, ერთ წელიწადში მილიონი გექნებოდათ! აი, გეტყვით, თუ გინდათ... მე რომ ახლა ორი ათას სამასი მანეთი მქონდეს, ერთი კვირის შემდეგ ოცი ათასი მექნებოდა! არ გჯერა? სისულელე გგონიათ? არა, ბატონო, სისულელე არ არი. მომეცი ორი ათას სამასი მანეთი და ერთი კვირის შემდეგ ოცი ათასს ჩაგაბარებთ!.. მდინარის გაღმა ოვსიანოვი მიწის ნაკვეთს ყიდის. ზუსტად ჩვენ პირდაპირ არის. ის ნაკვეთი რომ გვეყიდა, ორივე ნაპირი ჩვენი იქნებოდა და მაშინ მდინარეზე კაშხალს ავაგებდით. გესმით, რას გეუბნებით? ხმას გავავრცელებდით, ვითომ წისქვილის აშენება გვინდა და მდინარე უნდა დავაგუბოთ. როგორც კი ამას ვიტყოდით, ყველანი, ვინც ჩვენ ქვემოთ, მდინარის გაყოლებაზე ცხოვრობს, ყვირილს ატეხდნენ: რას გვიშვრებითო! ჩვენ კი ვეტყოდით: კომენ ზი ჰერ[1] — კაშხლის აგება თუ არ გნებავთ, ფულები ჩამოყაჭეთ! გესმით? ზარევის ფაბრიკა ხუთი ათასს მოგვცემდა, კოროლკოვი სამი ათასს დადებდა, მონასტრის ბერებიც ფულზე უარს არ გვეტყოდნენ და...

ივანოვი. ეს სულ ტაკიმასხარაობაა, მიშა! თუ ღმერთი გწამთ,

---

[1] *(გერმ. kommen Sie hier) აბა, აქ მოდით.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თქვენი გეგმები თქვენთვის შეინახეთ. აღარ გამაგონოთ, თორემ ვიჩხუბებთ!

ბორკინი. *(მაგიდაზე შესკუპდება.)* რასაკვირველია, ასეც ვიცოდი! თვითონ არაფრის გამკეთებელი არა ხართ და მეც ხელს მიშლით!

III

იგივენი, ***შაბელსკი და ლვოვი.***

შაბელსკი. *(ლვოვთან ერთად სახლიდან გამოდის.)* ექიმები იგივე ვექილები არიან. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ვექილები მარტო ძარცვავენ ხალხს, ექიმები კი ძარცვავენ და კლავენ კიდეც!.. დამსწრე საზოგადოებაზე არ მოგახსენებთ. *(მერხზე ჩამოჯდება.)* სულ თაღლითები და მყვლეფავები არიან! არ ვიცი, სადმე ზღაპრულ არკადიაში იქნებ მოიძებნოს გამონაკლისის სახით ესკულაპის პატიოსანი მსახური, მაგრამ პირადად მე ბარე ოცი ათასი მანეთი დავახარჯე ჩემს მკურნალობას და ერთი ექიმი არ შემხვედრია, რომ ნატიფი გაიძვერას შთაბეჭდილებას არ ტოვებდეს...

ბორკინი. *(ივანოვს.)* დიახ, თვითონაც არაფერს აკეთებთ და მეც ხელს მიშლით! ამიტომაც ვართ უფულოდ!

შაბელსკი. ვიმეორებ, დამსწრე საზოგადოებაზე არ მოგახსენებთ, გამონაკლისი, რასაკვირველია, არსებობს. თუმცა პირადად მე... *(ამთქნარებს.)*

ივანოვი. *(წიგნს დახურავს.)* ახალს რას მეტყვით, ექიმო?

ლვოვი. *(ფანჯრისკენ გაიხედავს.)* იმავეს, რაც დილით გითხარით — დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს ყირიმში.

შაბელსკი. *(ჩაიხითხითებს)* ყირიმში! გესმის, მიშა? აფსუს, ექიმები რომ არა ვართ. სულ ადვილი საქმე ყოფილა მკურნალობა... ერთხელ ცხვირს დააცემინებს უსაქმობისგან გაბეზრებული ვინმე მადამ ანგო ან ოფელია,[1] ან დაახველებს, ან კიდევ რაღაც მოუვა და იმავე წუთს, მეცნიერული კანონების თანახმად, ახალგაზრდა

---

[1] *შ. ლეკოკის ოპერეტა „მადამ ანგოს ქალიშვილისა“ და შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტის“ გმირები.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ექიმს მივუჩენთ, მერე ყირიმში გავამგზავრებთ, იქ ვინმე ქალის კაბის მოტრფიალე თათარი დახვდება და...

ივანოვი. ენა გააჩერე! *(ლვოვს.)* ყირიმში წასასვლელად ფულია საჭირო. დავუშვათ, ვიშოვე. ანა პეტროვნას რომ არ უნდა წასვლა?

ლვოვი. დიახ, არ უნდა.

ბორკინი. მოითმინეთ, ექიმო... ისეთი რა სჭირს ჩვენს ქალბატონს, რომ ყირიმში მისი წასვლა აუცილებელი იყოს?

ლვოვი. *(ისევ ფანჯრისკენ გაიხედავს.)* ჭლექი აქვს.

ბორკინი. ერიჰა! ისე კი, ხომ იცით, სახეზეც ეტყობა, რომ დიდი დღე არ უწერია.

ლვოვი. ჩუმად ილაპარაკეთ, ოთახში ისმის.

პაუზა.

ბორკინი. *(ამოოხვრით.)* მაინც რა არის ჩვენი ცხოვრება? ადამიანის სიცოცხლე მინდორში საუცხოოდ გაფურჩქნილ ყვავილს ჰგავს: მოვა თხა, მოწიწკნის და ფაფუ! აღარაა ყვავილი!

შაბელსკი. სისულელეა ყველაფერი! სისულელეა და მიქარვა! *(ამთქნარებს.)* დიახ, მიქარვაა და თაღლითობა!

პაუზა.

ბორკინი. მე კი, ბატონებო, ეს წუთია, ნიკოლაი ალექსეევიჩს ჭკუას ვარიგებდი, ფულის შოვნა არ იცი-მეთქი. ერთი დიდებული გეგმა შევთავაზე, მაგრამ ჩემი დენთი, როგორც იტყვიან, ნესტიან ფალიაზე დაიპნა და... აბა, რა უნდა ელაპარაკო ამ კაცს? შეხედეთ, როგორ ჩამოსტირის სახე! სუფთა მელანქოლიაა, ცარიელი სპლინია და ეშმაკმა იცის, კიდევ რაა!

შაბელსკი. *(ადგება და გაიზმორება.)* გენიალური გოგრა გაქვს, შე ოხერო! ათას რაღაცას იგონებ, ყველას ჭკუას ასწავლი. ერთხელ ჩემთვისაც რამე გერჩია! ჰო, რას მიყურებ! მითხარი, როგორ მოვიქცე? გამოსავალი მაჩვენე!

ბორკინი. *(ისიც ადგება.)* წავალ, ვიბანავებ. ნახვამდის, ბატონებო! *(გრაფს.)* თქვენი მდგომარეობიდან კი ბარე ოციოდე გამოსავა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი მაინც არსებობს. თქვენ ადგილას რომ ვიყო, ერთ კვირაში ოცი ათასი მექნებოდა. *(მიდის.)*

შაბელსკი. *(დაედევნება.)* როგორ, მასწავლე.

ბორკინი. სასწავლებელი არაფერია, უბრალო საქმეა... *(დაბრუნდება.)* ნიკოლაი ალექსეევიჩ, მანეთი მომეცით. *(ივანოვი უხმოდ გაუწვდის ფულს.)* მერსი! *(გრაფს.)* თქვენ ახლა ხელში სულ კოზირის ქაღალდები გიჭირავთ!

შაბელსკი. მაინც რომელი?

ბორკინი. აკი გითხარით, თქვენ ადგილას რომ ვიყო, ერთ კვირაში 30 000 მექნებოდა. *(გადის გრაფთან ერთად.)*

ივანოვი. *(პაუზის შემდეგ.)* ზედმეტი ადამიანები, ზედმეტი სიტყვები... თან ეს საშინელი აუცილებლობა, როცა ვალდებული ხარ, ყველას უსმინო, ყველა სულელურ შეკითხვაზე პასუხი გასცე... დამღალა ამან, ექიმო, დამასნეულა! ადვილად ვღიზიანდები, ისეთი ფიცხი და უკმეხი გავხდი, საკუთარ თავს ვეღარ ვცნობ. მთელი დღე თავი მტკივა, უძილობაც დამჩემდა, ყურებშიც მიწივის... არ ვიცი პირდაპირ, რა ვქნა, სად წავიდე...

ლვოვი. ნიკოლაი ალექსეევიჩ, მე სერიოზულად მინდა მოგელაპარაკოთ.

ივანოვი. ბრძანეთ.

ლვოვი. ისევ ანა პეტროვნაზე მოგახსენებთ. *(ჯდება.)* ყირიმში იგი მარტო არ წავა, თქვენც უნდა გაჰყვეთ.

ივანოვი. ორივენი ვერ წავალთ, ამას დიდი თანხა დასჭირდება. თან სამსახურიდან არ გამიშვებენ, წელს უკვე ვიყავი შვებულებაში...

ლვოვი. დავუშვათ, მართალს ამბობთ. მაშინ სხვას გეტყვით... ჭლექის უმთავრესი წამალი აბსოლუტური სიმშვიდეა. თქვენი ცოლი კი სულ მოუსვენრად არის, სულ გაღიზიანებულია... თქვენი დამოკიდებულება აღელვებს... მაპატიეთ, მაგრამ პირდაპირი კაცი ვარ და პირში გეტყვით: თქვენი საქციელი მას კლავს!

პაუზა.

ნიკოლაი ალექსეევიჩ, ნება მომეცით, ვიფიქრო, რომ თქვენ უკეთესი ხართ, ვიდრე მგონია.

ივანოვი. ყველაფერი, რაც თქვით, მართალია. შესაძლოა, საშინლად დამნაშავე ვარ მის წინაშე... დიახ, საშინლად... მაგრამ თვითონ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვერ გავრკვეულვარ ამ ამბავში... დავიბენი და აზრი მერევა... რაღაც უცნაური სიზანტე დამეუფლა და ვერ გამიგია, ჩემს თავს რა ხდება, არც სხვისი მესმის რაიმე... *(ფანჯრისკენ გაიხედავს.)* იქით გავიდეთ.

წამოდგებიან.

ჰოდა, იმას ვამბობდი, ექიმო... თავიდან მოგიყვებოდით ჩემს ამბავს, მაგრამ გრძელია და იმდენად რთული, რომ დილამდე ვერ გავათავებ...

მიდიან.

ანიუტა შესანიშნავი ქალია, არაჩვეულებრივი... ჩემი გულისთვის რჯული შეიცვალა, მშობლები მიატოვა, შეძლებულ ცხოვრებაზე უარი თქვა... დარწმუნებული ვარ, ამაზე დიდ მსხვერპლსაც გაიღებდა დაუფიქრებლად... მე კი... აბა, რას წარმოვადგენ? საშუალო, რიგითი ადამიანი ვარ. არც თავი გამომიჩენია, არც მსხვერპლი გამიღია... თუმცა, ეს გრძელი ამბავია... საქმე ის არის, ძვირფასო, რომ... *(ყოყმანობს.)* მოკლედ, თავის დროზე ცოლი სიყვარულით ვითხოვე და ვეფიცებოდი კიდეც, კუბოს კარამდე მეყვარები-მეთქი, მაგრამ აი... ხუთი წელი გავიდა, მას ისევ ვუყვარვარ, მე კი... *(ხელებს გაშლის.)* თქვენ ახლა მითხარით, ჭლექი აქვს და მალე მოკვდებაო... მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ თქვენმა სიტყვებმა სრულებით არ იმოქმედა ჩემზე... დიახ, სიბრალული რაა, ისიც არ მიგრძნია. უბრალოდ, დაღლილობას ვგრძნობ და სულიერ სიცარიელეს. ვინმემ რომ მომისმინოს, ალბათ, იტყვის, საშინელი კაციაო, მე კი თვითონ ვერ გამიგია, ჩემს სულში რა ხდება...

ხელვანს მიჰყვებიან და გადიან.

IV

შაბელსკი**, მერე **ანა პეტროვნა

შაბელსკი. *(შემოდის და ხარხარებს.)* არა, ბატონებო... თაღლითი კი არა, ბრძენი ყოფილა! ვირტუოზი! ძეგლის ღირსია ასეთი კაცი!..

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დღევანდელი თვალსაზრისით ყველა სისაძაგლეს მასში მოუყრია თავი: ვექილისაც სცხია რაღაც, ექიმისაც, კუკუეველისაც[1] და მოლარისაც! *(აივნის კიბეზე ჩამოჯდება.)* ყველაზე საკვირველი კი ის არის, რომ არავითარი კურსები არ დაუმთავრებია! წარმომიდგენია, რა არაშხადა იქნებოდა, კულტურასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს რომ დაუფლებოდა!.. როგორ თქვა? თუ მოისურვებთ, ერთ კვირაში 20 000 გექნებათო!.. თქვენი გრაფის წოდება კიდევ ერთი კოზირიაო!.. *(ხარხარებს.)* შხითვიან ქალიშვილებში ვინც გინდათ, ცოლად გამოგყვებათო!

ანა პეტროვნა *ფანჯარას გამოაღებს და გამოიხედავს.*

გნებავთ, მარფუშას გაგირიგებთო... Qui est ce que c ′ est,[2] მარფუშა? აჰ, ვიცი... ბალაბალკინა თუ ბაბაკალკინა... აი, ის, მრეცხავ ქალს რომ ჰგავს!

ანა პეტროვნა. *(კეკლუცად.)* გრა-აფ, ვის ელაპარაკებით მანდ?

შაბელსკი. რა მოხდა?

ანა პეტროვნა გადაიკისკისებს.

(ებრაული აქცენტით.) რას იცინით, დაგენაცვლე?

ანა პეტროვნა. ერთი ფრაზა გამახსენდა, სადილზე რომ თქვით, გახსოვთ? ქურდი გადარჩენილიო... ცხენი მორჩენილიო...

შაბელსკი. ქურდი, ყულფს გადარჩენილი,
თუ ცხენი ფეხმორჩენილი,
თუ მონათლული ურია —
სამივე ერთი ჯურია!

ანა პეტროვნა. *(იცინის.)* რა ენა გაქვთ, გრაფ! უბრალო კალამბუ-

---

[1] *განმაქიქებელი სიტყვა XIX საუკუნის 80-იანი წლების რუსულ ჟურნალისტიკასა და მეტყველებაში; აღნიშნავდა თაღლით საქმოსანსა და დამტაცებელს. სათავეს იღებს 1882 წელს სოფელ კუკუევკის (ქალაქ მცენსკის ახლოს) მახლობლად დიდი სარკინიგზო კატასტროფიდან. კატასტროფის მიზეზებისა და დამნაშავეთა ძიებისას დადგინდა, რა უპასუხისმგებლო, მექრთამე და თაღლითი ჩინოვნიკები მსახურობდნენ მოსკოვ-კურსკის სარკინიგზო ხაზზე.*

[2] *(ფრანგ.) ვინ არის?*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რიც ვერ გითქვამთ, გესლი რომ არ გაურიოთ. *(სერიოზულად.)* არა, მართლა, გრაფ, რატომ ხართ ეგეთი ბოროტი? თქვენთან ყოფნა მოსაწყენია და სახიფათოც. სულ იღრინებით, სულ ბუზღუნებთ... კაცმა რომ მოგისმინოთ, თქვენ გარშემო მარტო არამზადები ტრიალებენ. მითხარით გულახდილად: კეთილი სიტყვა თუ გითქვამთ ვინმეზე?

შაბელსკი. გამოცდას მიწყობთ?

ანა პეტროვნა. ხუთი წელია ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და ერთხელ არ მახსოვს, დამშვიდებით, გესლისა და დაცინვის გარეშე გეხსენებინოთ ვინმე. ვინ რა დაგიშავათ? ნუთუ გგონიათ, რომ ყველაზე კარგი ხართ?

შაბელსკი. სრულებითაც არა მგონია. მეც ისეთივე არამზადა და ღორი ვარ, როგორიც სხვები! როგორც იტყვიან, მოვეტონი[1] და ნაგავი! სულ ვაგინებ ჩემს თავს. მართლაც, რას წარმოვადგენ? ოდესღაც მდიდარი და თავისუფალი ვიყავი, ცოტა ბედნიერიც. ახლა? ახლა მუქთახორა ვარ, მესუფრია და ყველას ხელწამოსაკრავი მასხარა. ნეხვი, ერთი სიტყვით! ჰოდა, ამის გამო გული მომდის. ვიგინები და შხამს ვანთხევ! სხვები კი იცინიან, მეც ვიცინი და მაშინ სინანულით ამბობენ, რამ გადარია ეს ბებერიო! ხშირად კი ყურსაც არ მათხოვებენ, უბრალოდ, ვერ მამჩნევენ!

ანა პეტროვნა. *(მშვიდად.)* ისევ კივის.

შაბელსკი. ვინ?

ანა პეტროვნა. ბუკიოტი, ყოველ საღამოს კივის.

შაბელსკი. იკივლოს. იმაზე უარესი, რაც არის, მაინც არ იქნება. *(გაიზმორება.)* ეჰ, ჩემო ძვირფასო სარა! მომაგებინა ახლა ასი ან ორასი ათასი და მე ვიცი, რას ვიზამდი. გიჩვენებდით სეირს! გავეცლებოდი აქაურობას და მეორედ მოსვლამდე ველარ მნახავდით!

ანა პეტროვნა. სად წახვიდოდით?

შაბელსკი. პირველ ყოვლისა, მოსკოვში. იქ ბოშებს მოვუსმენდი, მერე პარიზში წავიდოდი, იქ ბინას ვიქირავებდი და რუსულ ეკლესიაში ვივლიდი...

ანა პეტროვნა. მერე?

შაბელსკი. მერე ცოლის საფლავს ვინახულებდი. მთელი დღეები მასთან ვიჯდებოდი და ვიფიქრებდი, სულ ვიფიქრებდი, სანამ

---

[1] *(ფრანგ. mauvais ton) საზოგადოებაში მიუღებელი მანერები, საქციელი, ცუდი ტონი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქვე, საფლავზე, სული არ ამომძვრებოდა... ჩემი მეუღლე პარიზ-შია დაკრძალული.

პაუზა.

ანა პეტროვნა. საშინელი მოწყენილობაა. ისევ დუეტი ხომ არ დაგვეკრა?

შაბელსკი. ნოტები მოამზადეთ.

***ანა პეტროვნა** გადის.*

V

შაბელსკი, ივანოვი და ლევოვი.

ივანოვი. *(ლევოვთან ერთად ხელვნით ბრუნდება.)* თქვენ, ჩემო მეგობარო, კურსები შარშან დაამთავრეთ, ახალგაზრდა ხართ, მე კი უკვე 35 შემისრულდა, ამიტომ უფლება მაქვს, რჩევა-დარიგება მოგცეთ.

არამც და არამც ებრაელი ქალი არ ითხოვოთ, არც ფსიქოპათი, არც „ლურჯი წინდა“...[1] ისევ საშუალო რამ აირჩიეთ, ჩვეულებრივი, უფერული — არც კარგი იყოს, არც ცუდი... და საერთოდ, შაბლონის მიხედვით იცხოვრეთ! რაც უფრო უფერული, მონოტონური იქნება ფონი, მით უკეთესია, დამიჯერეთ. მარტოკაცი ათასების წინააღმდეგ ნუ გაილაშქრებთ, ქარის წისქვილებს ნუ შეებრძოლებით, შუბლით კედლის განგრევას ნუ შეეცდებით... ღმერთმა დაგიფაროთ ყოველგვარი რაციონალური მეურნეობისგან, არაჩვეულებრივი სკოლებისგან, მგზნებარე გამოსვლებისგან... თქვენს ნაჯუჯში ჩაიკეტეთ და ჩუმად, შეუმჩნევლად აკეთეთ თქვენი პატარა, ღვთით განკუთვნილი საქმე. ეს უფრო სანდოა, დამიჯერეთ, უფრო პატიოსანი და ჯანსაღიც არის... ჩემი ცხოვრება კი — ყველაფერი, რაც განვიცადე, — ძალზე მომქანცველი იყო... ო, რა მომქანცველი იყო! რამდენი შეცდომა მაქვს დაშვებული, რამდენი უსამართლობა, უაზრობა...

---

[1] *იტყვიან სწავლა-განათლებას, კითხვას მეტისმეტად გადაყოლილ, ქალურობას მოკლებულ ქალზე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვინ მოთვლის ახლა? *(გრაფს დაინახავს, გაღიზიანებული.)* რა არის, ძია, სულ რომ თვალში მეჩხირები? მაცალე კაცთან ლაპარაკი!

შაბელსკი. *(მტირალა ხმით.)* დასწყევლოს ღმერთმა, სად ჯანდაბაში წავიდე? *(სწრაფად წამოდგება და სახლისკენ მიდის.)*

ივანოვი. *(მიაძახებს.)* მაპატიე, ძია, მაპატიე... *(ლვოვს.)* აბა, რად ვაწყენინე? არა, ნამდვილად მოშლილი ვარ, რაღაც უნდა ვუღონო ჩემს თავს!

ლვოვი. *(ღელავს.)* მე ყურადღებით მოგისმინეთ, ნიკოლაი ალექსეევიჩ, მოგისმინეთ და ბოდიშს ვიხდი, მაგრამ პირში გეტყვით ყველაფერს, რასაც ვფიქრობ... თქვენს ხმაში, თქვენს ინტონაციაში, განსაკუთრებით კი თქვენს სიტყვებში... დიახ, სიტყვებში, იმდენი უსულგულო ეგოიზმია, ისეთი გულქვაობა, რომ არ ვიცი, პირდაპირ რა ვთქვა! თქვენთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი იღუპება... იღუპება იმის გამო, რომ თქვენი ახლობელია! მისი დღეები დათვლილია, თქვენ კი... თქვენ აინუნშიც არ აგდებთ ამას, დადიხართ, რჩევა-დარიგებებს იძლევით, თავს იწონებთ... მოკლედ, სიტყვები არ მყოფნის... ძალზე არ მომწონხართ, ნიკოლაი ალექსეევიჩ!

ივანოვი. შესაძლოა, შესაძლო... გარეშე ადამიანებისთვის შეიძლება უფრო გასაგებიც იყოს... დიახ, სავსებით დასაშვებია, რომ თქვენ უკეთ გესმით ჩემი მდგომარეობა, ალბათ, მართლა დამნაშავე ვარ, ძლიერ დამნაშავე... *(ყურს მიუგდებს.)* მგონი, ეტლი ჩამოდგა. წავალ, გადავიცვამ. *(სახლისკენ მიდის, შეჩერდება.)* თქვენ არ გიყვარვართ, ექიმო, და არც მალავთ ამას... გულწრფელი კაცი ხართ, ეს კარგია. *(სახლში შედის.)*

ლვოვი. *(მარტო.)* დასწყევლოს ღმერთმა, ისევ ვერ ვუთხარი, რაც მინდოდა! რა ვქნა, არ შემიძლია, ვერ ველაპარაკები დამშვიდებით. პირს გავაღებ თუ არა, რაღაც მომაწვება აქ *(ყელზე ხელს დაიდებს.)* და სულთამხუთავივით მახრჩობს!.. მძულს, მთელი ჩემი არსებით მძულს ეს ტარტიუფი, ეს სულით ამაღლებული გაიძვერა!.. აი, ახლაც მიდის! მისი საცოდავი ცოლი უკანასკნელ დღეშია; ემუდარება, ერთ საღამოს მაინც ჩემთან დარჩიო, ეგ კი, დაბნელდება თუ არა, ფეხს დაჰკრავს და შინიდან გარბის! არ შეუძლია შინ ყოფნა! საკუთარ სახლში ვერ ჩერდება! ერთ საღამოს მაინც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შინ რომ დარჩეს, გაგიჟდება და შუბლში ტყვიას დაიხლის!.. საწყალი! ფართო ასპარეზი სჭირდება, რომ კიდევ ერთი სისაძაგლე ჩაიდინოს! ო, ვიცი, განა არ ვიცი, რატომ დაეთრევა იმ ლებედევების ოჯახში! ვიცი!

VI

ლვოვი, ივანოვი (შლაპასა და პალტოში),
შაბელსკი და *ანა პეტროვნა.*

შაბელსკი. *(ივანოვსა და ანა პეტროვნასთან ერთად სახლიდან გამოდის.)* ბოლოს და ბოლოს, ეს შეუბრალებლობაა, Nicolas! რა წესია, გეთაყვა, ყოველ საღამოს სადღაც მიდიხარ, ჩვენ კი მარტო ვრჩებით! მოწყენილობისგან რვა საათზე ვიძინებთ. ეს ცხოვრება კი არა, უმსგავსობაა! შენ თუ შეგიძლია სადღაც წასვლა, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია? რაშია საქმე?

ანა პეტროვნა. თავი გაანებეთ, გრაფ, წავიდეს.

ივანოვი. *(ცოლს.)* აბა, სად უნდა წამოხვიდე სიცხიანი? შენ ავად ხარ და მზის ჩასვლის შემდეგ შინ უნდა იჯდე, ცივი ჰაერი შენთვის მავნებელია... აი, ექიმს ჰკითხე... ბავშვი არა ხარ, ანიუტა, უნდა იფიქრო. *(გრაფს.)* შენ რაღა გინდა იქ?

შაბელსკი. იქ კი არა, ჯანდაბაში წამოვალ, ნიანგს ხახაში ჩავუვარდები, ოღონდ აქაურობას მომაშორე! მომწყინდა, გესმის? შინ ჯდომისგან მთლად გამოვყეყეჩდი, ყველას თავი მოვაბეზრე!.. შენ აქ, შენს ცოლთან მტოვებ, რომ არ მოიწყინოს, მე კი ამ საცოდავს ტვინი გამოვულაყე, ლამის გაგიჟდეს ქალი!

ანა პეტროვნა. თავი გაანებეთ, გრაფ. წავიდეს, დრო გაატაროს.

ივანოვი. აბა, ეგ რა სათქმელია, ანა? მშვენივრად იცი, რომ მე იქ დროს გასატარებლად არ მივდივარ, თამასუქის თაობაზე უნდა მოველაპარაკო.

ანა პეტროვნა. არ მესმის, თავს რატომ იმართლებ? წადი, ვინ გაჩერებს.

ივანოვი. ბატონებო, რატომ ვტანჯავთ ერთმანეთს? ნუთუ ეს აუცილებელია?!

შაბელსკი. *(მტირალა ხმით.)* Nicolas, საყვარელო... გემუდარე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბი, წამიყვანე! ერთხელ თვალს გადავავლებ იქაურ არაშზადებს და ცოტას გავერთობი. აღდგომის აქეთ სტუმრად არ ვყოფილვარ!

ივანოვი. *(გაღიზიანებული.)* კარგი, წამოდი... ო, როგორ მომაბეზრეთ თავი!

შაბელსკი. მაშ, თანახმა ხარ? Merci, merci! *(გამოცოცხლდება, ივანოვს ხელს გაუყრის და განზე გაიყვანს.)* შენი ჩალის ქუდი ხომ შეიძლება დავიხურო?

ივანოვი. შეიძლება, ოღონდ მალე, თუ ღმერთი გწამს!

გრაფი სახლში შევარდება.

ო, როგორ მომაბეზრეთ თავი!.. ღმერთო ჩემო, რას ვამბობ? მაპატიე, ანიუტა, თვითონაც არ მესმის, რას ვამბობ... მშვიდობით, პირველი საათისთვის მოვბრუნდები...

ანა პეტროვნა. *(პაუზის შემდეგ.)* ნიკოლა, ძვირფასო... დარჩი.

ივანოვი. *(ღელავს.)* არა, ანიუტა, არა, ჩემო კარგო, ჩემო კეთილო, ჩემო ბედშავო ანიუტა! გემუდარები, ნუ მთხოვ, ნუ მიშლი საღამოობით შინიდან წასვლას!.. განა, არ ვიცი, რომ სასტიკად ვიქცევი, უსამართლობას ჩავდივარ, მაგრამ ნება მომეცი, ჩავიდინო ეს უსამართლობა!.. შინ ყოფნა ჩემთვის აუტანელია... მზე რომ ჩავა, შავი ნაღველი მომაწვება და ლამის ჭკუიდან შევიშალო!.. ნუ მეკითხები, რისგან არის, თვითონ არ ვიცი! გეფიცები, არ ვიცი! შინ ნაღველი მკლავს, ლებედევებთან მივალ და იქ უარესია, იქიდან დავბრუნდები და ისევ სევდა მიპყრობს და ვარ ასე გაწამებული...

ანა პეტროვნა. დარჩენილიყავი, ერთად ვივახშმებდით, ვისაუბრებდით... თუ გინდა, მუსიკას მოგასმენინებ, მე და ბუზღუნამ შენთვის რამდენიმე დუეტი მოვამზადეთ... *(მოეხვევა.)* დარჩი!

პაუზა.

რა მოგდის, ძვირფასო! ერთი წელია, ველარ გცნობ, რამ შეგცვალა ასე?

ივანოვი. არ ვიცი, არ ვიცი...

ანა პეტროვნა. რატომ გამირბიხარ ყოველ საღამოს? აღარ გინდა ჩემთან ყოფნა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ივანოვი. თუ ასე გაინტერესებს, გეტყვი... ვიცი, გულს გატკენ, მაგრამ სიმართლე სჯობია... გესმის, როცა ნაღვლიანად ვარ, არავის დანახვა არ მინდა, ყველანი მეჯავრებიან და მათ შორის, შენც... ჰო, მაპატიე, მაგრამ ასეთ დროს შენც აღარ მიყვარხარ და ამიტომ გავრბივარ შინიდან.

ანა პეტროვნა. ა, მესმის, მესმის... იცი, რა საყვარელო... აბა, სცადე და ძველებურად გაიცინე! ან გაბრაზდი!.. მოდი, დღეს შინ დარჩი, ერთად ვივახშმოთ. თუ გინდა, ნაყენიც დავლიოთ და გამხიარულდები! ან გინდა, მე გიმღერებ? ან შენს კაბინეტში ჩავიკეტოთ ძველებურად, შუქი ჩავაქროთ და სიბნელეში შენი უგუნებობის ამბავი მომიყევი! შენ ისეთი დატანჯული გამოხედვა გაქვს! მე თვალებში მოგაჩერდები, ვიტირებ და ორივეს გულზე მოგვეშვება... *(იცინის, თან ტირის.)* ის როგორ არის? „გაზაფხულს მოაქვს ჭრელი ყვავილი, სიხარული კი — არა და არა!“ — ასეა? *(პაუზის შემდეგ.)* წადი, გეთაყვა, წადი.

ივანოვი. ილოცე ჩემზე, ანა! *(მიდის, შეჩერდება, ყოყმანობს.)* არა, არ შემიძლია! *(სწრაფად გადის.)*

ანა პეტროვნა. წადი... *(მაგიდას მიუჯდება.)*

ლვოვი. *(ბოლთას სცემს.)* ანა პეტროვნა! გთხოვთ, ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ: ექვსი საათის შემდეგ შინ უნდა შეხვიდეთ და მზის ამოსვლამდე კარში არ გამოხვიდეთ. საღამოს სინესტე თქვენთვის საზიანოა!

ანა პეტროვნა. არის, ბატონო!

ლვოვი. რას ნიშნავს, „არის“? სერიოზულად გეუბნებით.

ანა პეტროვნა. მე კი არ მინდა სერიოზული ვიყო! *(ახველებს.)*

ლვოვი. აი, ხედავთ, უკვე ახველებთ.

VII

ლვოვი, ანა პეტროვნა და *შაბელსკი.*

შაბელსკი. *(სახლიდან გამორბის პალტოში და შლაპით.)* ნიკოლაი! ნიკოლაი სადღაა? ეტლი არ მოურთმევიათ? *(სწრაფად მიუახლოვდება ანა პეტროვნას და ხელზე კოცნის.)* ღამე მშვიდობისა, მადამ! *(იმანჭება.)*, გევალტ! ბოდიში მომიხდია, თუ შეიძლება!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლვოვი. მასხარა!

პაუზა. შორიდან გარმონის ხმა ისმის.

ანა პეტროვნა. რა მოწყენილობაა, ღმერთო!.. იქ ახლა მეეტ-ლებსა და მზარეულ ქალებს მეჯლისი გაუმართავთ, მე კი მიტოვებულივით ვარ. ექიმო, რას დადიხართ მანდ? მოდით, ჩემ გვერდით დაჯექით.

ლვოვი. არ შემიძლია ჯდომა.

პაუზა.

ანა პეტროვნა. სამზარეულოში „ჩიტო-გვრიტოს“ უკრავენ... *(ჩაიმღერებს.)* „ჩიტო-გვრიტო... ჩიტო-გვრიტო...“

პაუზა.

მშობლები გყავთ, ექიმო?

ლვოვი. მამა გარდამეცვალა, დედა ცოცხალია.

ანა პეტროვნა. დედაზე დარდობთ?

ლვოვი. სად მცალია მაგისთვის.

ანა პეტროვნა. *(იცინის.)* „გაზაფხულს მოაქვს ჭრელი ყვავილი, სიხარული კი არა და არა!“ ...ვინ თქვა ეს, ღმერთო, გამახსენე... მგონი, ჩემმა ქმარმა თქვა... *(მიაყურადებს.)* ისევ ბუკიოტი კივის.

ლვოვი. იკივლოს.

ანა პეტროვნა. იცით, ექიმო, ამ ბოლო დროს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ბედმა ანგარიშის სწორების დროს უსინდისოდ მომატყუა. არა, მართლა! რამდენ ადამიანს, მათ შორის ჩემზე ბევრჯერ უარესსაც, ამქვეყნად ბედნიერება რგებია, მაგრამ ესოდენ დიდი ფასი არავის გადაუხდია. მე კი ყოველთვის, გესმით, ყოველთვის, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჩემი სიხარულისა და სიამოვნების საფასურს ვიხდი და იცით, რა ძვირი დამიჯდა ცხოვრება? ჰოდა, ვფიქრობ ახლა: რაში მახდევინებდნენ ამდენ სარგებელს? *(პაუზა.)* აი, თქვენ სულ მელოლიავებით, მიფრთხილდებით, გეშინიათ, სიმართლე მითხრათ, მაგრამ როგორ გგონიათ, მე თვითონ ვერ ვხვდები,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა მჭირს?.. მშვენივრად ვხვდები... თუმცა, ამაზე ლაპარაკი არ ღირს. *(ებრაული აქცენტით.)* ბოდიში მომიხდია, თუ შეიძლება! *(იცინის.)* სასაცილო ანეკდოტების მოყოლა იცით?

ლვოვი. არა.

ანა პეტროვნა. ჩემმა ქმარმა კი იცის... *(პაუზა.)* ადამიანთა უსამართლობაც მაკვირვებს. რატომ ხდება, რომ სიყვარულს სიყვარულითვე არ უპასუხებენ, სიმართლის საპასუხოდ კი ყოველთვის ტყუილს ამბობენ? ან როდემდე უნდა ვძულდე ჩემს მშობლებს? აქედან ორმოცდაათ ვერსზე ცხოვრობენ და გეგონება, ჩემ გვერდით არიანო, ისე ცხადად ვგრძნობ მათ სიძულვილს. ჩემი ქმრის საქციელიც მაკვირვებს. როგორ მითხრა? „საღამოობით, შავი ნაღველი რომ მომაწვება, არავის დანახვა არ მინდა და შენც აღარ მიყვარხარო“... საწყალი ნიკოლა, რა გაღიზიანებულია! თვითონაც ვერ გრძნობს, როგორ მატკინა გული... თუმცა, მესმის მისი მდგომარეობა... კი, მაგრამ... ვითომ მარტო საღამოობით არ ვუყვარვარ? ერთიც ვნახოთ და, საერთოდ მომიძულა... არა, ეს შეუძლებელია!.. თუმცა, შეუძლებელი რატომ არის? იქნებ... არა, არა! ამაზე ფიქრიც არ შეიძლება! *(ჩაიმღერებს.)* „ჩიტო-გვრიტო, ჩიტო-გვრიტო...“ *(შეშინებული.) რა საშინელი ფიქრი ამეკვიატა?! თქვენ, ექიმო,* უცოლო ხართ და, ალბათ, ბევრი რამ არ გესმით.

ლვოვი. აი, თქვენ გიკვირთ... *(გვერდით მიუჯდება.)* თქვენ კი არა, მე თვითონაც მიკვირს... თქვენი მიკვირს... ამიხსენით, გეთაყვა, როგორ მოხდა, რომ თქვენ, ჭკვიანი, პატიოსანი და ნათელი პიროვნება, ასე მოტყუვდით, ასე ბრმად დაემორჩილეთ ვიღაცის ნება-სურვილს და ამ ბუკიოტების ბუდეში გამოამწყვდევინეთ თავი? რა გინდათ აქ? რა საერთო გაქვთ იმ გულქვა და ყოვლად გამოფიტულ... თუმცა, თავი დავანებოთ თქვენს ქმარს! რა გაკავშირებთ ამ უწმინდურ გარემოსთან! მიმოიხედეთ, რა ხალხი გახვევიათ? ღმერთო ჩემო, ის ჩაჟანგული, ღრენია, გიჟი გრაფი, ის გათახსირებული, გაიძვერა ბორკინი? გამაგებინეთ, როგორ მოხვდით ამ საგიჟეთში?

ანა პეტროვნა. *(იცინის.)* ზუსტად ასევე ლაპარაკობდა ისიც. ზუსტად ასევე, ოღონდ იმას უფრო მგზნებარე სახე ჰქონდა და ლაპარაკის დროს თვალები ნაკვერჩხალივით უბრწყინავდა... განაგრძეთ, ექიმო, განაგრძეთ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლვოვი. *(ადგება და ხელს ჩაიქნევს.)* რა უნდა განვაგრძო, შინ შედით!

ანა პეტროვნა. აი, თქვენ აძაგებთ ნიკოლაი ალექსეევიჩს, ასეთიაო-ისეთიაო... რა იცით, როგორია? ნახევარი წელია იცნობთ... არა, ექიმო, ჩემი ქმარი შესანიშნავი პიროვნებაა და ძალზე ვწუხვარ, რომ ორი-სამი წლის წინ არ იცნობდით... ის ახლა უგუნებოდაა, გაჩუმებულია, არაფერს აკეთებს, წინათ კი... ო, რა კარგი იყო! პირველი დანახვისთანავე შემიყვარდა! *(იცინის.)* შევხედე თუ არა — ჰოპ! და სათაგურის კარიც მოიკეტა! მარტო ერთი სიტყვა მითხრა: „წამომყევიო" და მეც, წამით არ დავფიქრებულვარ, ყველაფერი მივატოვე და გავყევი...

პაუზა.

ახლა შეიცვალა, ის აღარ არის... ყოველ საღამოს ლებედევებთან დადის და სხვა ქალებთან ერთობა, მე კი... მე ამ ბაღში ვზივარ და ბუკიოტის კივილს ვუსმენ...

ღამის დარაჯის სარეკელას რაკუნი ისმის.

და-ძმა გყავთ, ექიმო?

ლვოვი. არა.

ანა პეტროვნა ქვითინებს.

რა მოგივიდათ?

ანა პეტროვნა. *(ადგება.)* აღარ შემიძლია, უნდა წავიდე!

ლვოვი. სად?

ანა პეტროვნა. იმასთან... უთხარით, ეტლი ჩამოაყენონ, მივდივარ! *(სახლში შედის.)*

ლვოვი. არა, გეთაყვა, ასეთ პირობებში მკურნალობაზე კატეგორიულ უარს ვაცხადებ! ის არ კმარა, რომ გასამრჯელოს არ მიხდიან, სულსაც მიფორიაქებენ და... ერთი სიტყვით, მკურნალობაზე უარს ვაცხადებ! კმარა! *(სახლში შედის.)*

ფარდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოქმედება მეორე

ძვირფასი ავეჯით მორთული დარბაზი ლებედევების სახლში. შუაში ბაღში გასასვლელია, მარჯვნივ და მარცხნივ — თითო კარია. ჭაღი, შანდლები და სურათები შალითებშია შეფუთული.

I

ზინაიდა სავიშნა, კოსიხი, ავდოტია, ნაზაროვნა, ეგორუშკა, გავრილა მოსამსახურე ქალი, სტუმარი დედაბრები, ქალიშვილები, ახალგაზრდა ვაჟები** და **ბაბაკინა.

ზინაიდა სავიშნა დივანზე ზის, მის ირგვლივ სავარძლებში სტუმრად მოსული დედაბრები სხედან; სკამები ახალგაზრდებს უკავიათ. სცენის სიღრმეში — კოსიხი და ავდოტია ნაზაროვნა მოჩანან. ეგორუშკა ერთ სტუმარს ბანქოს ეთამაშება. მარჯვენა კართან გავრილა ატუზულა. მოსამსახურე ქალი ხონჩით ტკბილეულს დაატარებს. მარჯვენა კარში წამდაუწუმ შემოდიან და გადიან სტუმრები. შემოდის ბაბაკინა და ზინაიდა სავიშნასკენ მიემართება.

ზინაიდა სავიშნა. *(გახარებული.)* მარფა ეგოროვნა... როგორ გამახარეთ!

ბაბაკინა. გამარჯობა, ზინაიდა სავიშნა! მაქვს პატივი, ქალიშვილის დაბადება მოგილოცოთ!

ეხვევიან ერთმანეთს და კოცნიან.

ღმერთმა ქნას, როგორც იტყვიან...

ზინაიდა სავიშნა. გმადლობთ, ძვირფასო, როგორ ბრძანდებით?

ბაბაკინა. დიდად გმადლობთ. *(გვერდით მიუჯდება.)* გამარჯობა, ახალგაზრდებო!

სტუმრები წამოდგებიან და ესალმებიან.

პირველი სტუმარი. *(იცინის.)* ახალგაზრდებოო? თქვენ რა, ბებერი ხართ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბაბაკინა. *(ამოიოხრებს)* ეჰ, რაღა დროს ჩვენი ახალგაზრდობაა? ფეხი არ ჩაგვივა...

პირველი სტუმარი. *(მორიდებულად ჩაიცინებს.)* რას ბრძანებთ? ქვრივს გეძახიან, თორემ ისე... რომელი ქალიშვილი დაგიდებთ ტოლს! *(გავრილა ბაბაკინას ჩაის მიართმევს.)*

ზინაიდა სავიშნა. *(გავრილას.)* ცარიელი ჩაი რაა, კინკრიჟის მურაბაც მოგეყოლებინა...

ბაბაკინა. ნუ წუხდებით, დიდად მადლიერი ვარ თქვენი.

პაუზა.

პირველი სტუმარი. მარფა ეგოროვნა, თქვენ მუშკინოს გზით მოხვედით?

ბაბაკინა. არა, ზაიმიშჩეზე გამოვიარე, იქ უკეთესი გზაა.

პირველი სტუმარი. გასაგებია.

კოსიხი. *(ბანქოს თამაშობს.)* ორი ყვავიანი.

ეგორუშკა. პასი.

ავდოტია ნაზაროვნა. პასი.

მეორე სტუმარი. მეც პასი.

ბაბაკინა. ზინაიდა სავიშნა, სულიკო, ალბათ, გაიგებდით, რომ ლატარიის ბილეთები ისევ გაძვირებულა. გაგონილა, პირველი სესხი უკვე ორას სამოცდაათი მანეთია, მეორე კი, სულ ნაკლები, ორას ორმოცდაათად ფასობს![1]

ზინაიდა სავიშნა. *(ამოოხვრით.)* ნეტავი იმას, ვისაც ბევრი აქვს!

ბაბაკინა. ნუ იტყვით, ძვირფასო! ფასმა კი აიწია, მაგრამ კაპიტალის დაბანდებას მაინც აზრი არა აქვს, მარტო დაზღვევა რა ჯდება, აბა, იანგარიშეთ!

ზინაიდა სავიშნა. მართალს ბრძანებთ, საყვარელო, მაგრამ იმედია მაინც... *(ამოოხვრით.)* ღმერთი მოწყალეა...

მესამე სტუმარი. ჩემი თვალსაზრისით, mesdames, დღესდღე-

---

[1] *1887 წელს 1864 და 1866 წლების ხუთპროცენტიანი მომგებიანი (ე. ი. ლატარიის) შიდა სესხების (რომელიც ძირითადად წვრილი კაპიტალის მქონეთა მოთხოვნით სარგებლობდა) საბირჟო კურსმა მნიშვნელოვნად აიწია. ამ სესხების ასმანეთიანმა ბილეთებმა ბაბაკინას მიერ დასახელებული ფასის დონეს 1887 წლის აგვისტოში მიაღწია, სექტემბერში კი უფრო გაძვირდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ობით კი კაპიტალს არავითარი სარგებელი არ მოაქვს... დიახ... სარგებლიანი თამასუქები საკმაოდ მცირე დივიდენდებს იძლევა, ხოლო ფულის ბრუნვაში ჩაშვება ერთობ საშიშია... მე ვფიქრობ, mesdames, რომ ადამიანი, ვისაც დღესდღეობით კაპიტალი აქვს, უფრო კრიტიკულ მდგომარეობაშია, ვიდრე ის, ვისაც, mesdames...

ბაბაკინა. *(ამოოხვრით.)* მართალს ბრძანებთ.

პირველი სტუმარი ამთქნარებს.

რატომ ამთქნარებთ? აქ ქალები სხედან.

პირველი სტუმარი. Pardon, უნებლიეთ მომივიდა.

ზინაიდა სავიშნა ადგება და მარჯვენა კარში გავა; ხანგრძლივი დუმილი.

ეგორუშკა. ორი აგური.

ავდოტია ნაზაროვნა. პასი.

მეორე სტუმარი. პასი.

კოსიხი. მეც პასი.

ბაბაკინა. *(თავისთვის.)* ღმერთო, რა მოწყენილობაა! სული ამოხდება ადამიანს!

II

იგივენი, ***ზინაიდა სავიშნა*** *და* ***ლებედევი.***

ზინაიდა სავიშნა. *(ქმართან ერთად მარჯვენა კარში შემოდის. ლებედევს, ჩუმად.)* რას უზიხარ იქ პატარძალივით, სტუმრებს მიხედე! *(თავის ადგილზე ჯდება.)*

ლებედევი. *(ამთქნარებს.)* ვაი ჩვენს ცოდვას... *(ბაბაკინას დაინახავს.)* ამას ვის ვხედავ? მარმელადი! შაქარლამა! *(ხელზე კოცნის.)* როგორ მყავს თქვენი უძვირფასესი?

ბაბაკინა. დიდად გმადლობთ.

ლებედევი. მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს... *(სავარძელში ჩაეშვება.)* მაშ, ასე... გავრილა!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გავრილა ერთ სირჩა არაყს და ჭიქა წყალს მიართმევს. ლებედევი არაყს გადაკრავს და წყალს დააყოლებს.

პირველი სტუმარი. გაამოთ.

ლებედევი. რამ უნდა მაამოს? სული რომ არ მძვრება, ის მიკვირს! *(ცოლს.)* ზუზუშკა, ჩვენი ახალშობილი სადღაა?

კოსიხი. *(გაბუტული ხმით.)* არა, გამაგებინეთ, რა მოხდა? თამაშის ბოლოს რატომ აღარ გვქონდა კარტი? *(წამოვარდება.)* დასწყევლოს ღმერთმა, რატომ წავაგეთ, რატომ?

ავდოტია ნაზაროვნა. *(ისიც წამოვარდება გაბრაზებული.)* იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ ბანქოს სათამაშოდ არ უნდა დაჯდე, როცა თამაში არ იცი! რა უფლება გქონდა, სხვის ფერს რომ ჩამოდიოდი? ჰოდა, იყავი ახლა მაგ შენი დამწნილებული ტუზის ანაბარა!

ორივენი მაგიდას მოსცილდებიან და ავანსცენაზე გამორბიან.

კოსიხი. *(მტირალა ხმით.)* მოითმინეთ, ბატონებო, მოითმინეთ! მე ხელში მქონდა აგურის ტუზი, ხელმწიფე, ქალი, ყვავის ტუზი და ერთი, გესმით, მხოლოდ ერთი პატარა თხილიანი... მე, ბატონო, უკოზირო თამაში გამოვაცხადე...

ავდოტია ნაზაროვნა. *(არ აცლის).* უკოზირო მე გამოვაცხადე! შენ ორი უკოზირო თქვი!

კოსიხი. ეს აღმაშფოთებელია!.. მოითმინეთ... თქვენ გქონდათ... მე მქონდა... თქვენ... *(ლებედევს.)* პაველ კირილიჩ, თუ ღმერთი გწამთ, განსაჯეთ... მე ხელთ მქონდა აგურის ტუზი, ხელმწიფე, ქალი...

ლებედევი. *(ყურებში თითებს დაიცობს.)* თავი გამანებეთ!

ავდოტია ნაზაროვნა. *(ყვირის.)* უკოზირო თამაში მე გამოვაცხადე! მე!

კოსიხი. *(გაცოფებული.)* წყეული და არამზადა ვიყო, თუ ოდესმე ვეთამაშო ამ ზუთხს, ამას! *(სწრაფად გადის ბაღში.)*

მეორე სტუმარი მას მიჰყვება. მაგიდასთან მარტო ეგორუშკა რჩება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ავდოტია ნაზაროვნა. უჰ, ოფლმა დამასხა მაგის გადამკიდეს!.. ზუთხიო! ზუთხიცა ხარ და მეტიც!

ბაბაკინა. თქვენც კარგა ბრაზიანი ყოფილხართ, ბებია!

ავდოტია ნაზაროვნა. *(ახლალა შეამჩნევს ბაბაკინას, ხელებს გაშლის.)* ღმერთო დიდებულო! ჩვენი ანგელოზი, ჩვენი მზეთუნახავი აქ ყოფილა, მე კი ბრუციანი, ვერა ვხედავ! შენ შემოგევლე, ჩემო გვრიტო, ჩემო ვარდო, გაფურჩქნილო! *(მხარზე კოცნის, გვერდით მიუჯდება.)* როგორ მიხარია, რომ გხედავ! მოიცა, რიგიანად დაგათვალიერო, ჩემო თეთრო გედო!.. თფუი, თფუი ეშმაკს! თვალი არ გეცეს!

ლებედევი. ტყუილუბრალოდ ნუ ქაქანებ, ბებერო! ჯობია, საქმრო მოუძებნო ამ ქალს.

ავდოტია ნაზაროვნა. ჰოდა, მოვუძებნი, რა გგონია! ისე არ ჩავწვები მიწაში, რომ ეგა და ჩვენი საშენკა არ დავაქორწინო! აი, ენა გამიხმეს, თუ ვტყუოდე! *(ამოოხვრით.)* თუმცა, სადღა ნახავ ახლა სასიძოებს? აი, შეხედე, რას ჰგვანან ჩვენი ახალგაზრდები! სხედან გაფხორილი მამლებივით...

მესამე სტუმარი. ერთობ უხეირო შედარებაა. ჩემი აზრით, mesdame, ახლანდელი ვაჟები თუ ცოლს არ თხოულობენ, ეს, ასე ვთქვათ, სოციალური პირობების ბრალია...

ლებედევი. ჰო, კარგი, ნუ ფილოსოფოსობ... არ მიყვარს ეგეთები!

III

იგივენი და **საშა.**

საშა. *(ბაღიდან შემოდის და მამას მიუახლოვდება.)* შესანიშნავი ამინდია, ბატონებო, ოთახში რატომ სხედხართ?

ზინაიდა საგიშნა. შვილო, მარფა ეგოროვნა გვესტუმრა, ვერ ხედავ?

საშა. მაპატიეთ. *(მივა ბაბაკინასთან და მიესალმება.)*

ბაბაკინა. გაამაყებულხარ, საშენკა, თავს აღარ გვიყადრებ... ერთხელ გამოგევლო ჩვენსა. *(კოცნიან ერთმანეთს.)* მომილოცავს.

საშა. გმადლობთ. *(ისევ მამასთან მიდის და გვერდით მიუჯდება.)*

ლებედევი. მართალი ხართ, ჩემო ბატონო. სასიძოების შოვნა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა ძალზე ჭირს. სასიძოს კი არა, რიგიან მაყარსაც ვერ მონახავ! ახლანდელი ახალგაზრდობა — არავის საწყენად არ ვამბობ, — რაღაც უნიათოა, დასწყევლოს ღმერთმა; ჩამჟავებულია თუ ჩახარშული, ვერ გამიგია. არც ცეკვა იციან, არც საუბარი, არც სმა...

ავდოტია ნაზაროვნა. მაგას ნუ იტყვით. სმაში ყოჩაღები არიან, ოღონდ არაყი იყოს!

ლებედევი. მაგათი სმა რა სმაა? ეგრე ხომ ცხენიცა სვამს! კაცი თუ ხართ, საზრიანად უნდა დალიოთ. ჩემს ახალგაზრდობაში, მახსოვს, დილიდან საღამომდე ლექციებს თავს ვაკლავდით, მაგრამ დაღამდებოდა თუ არა, ერთი სული მქონდა, სადმე განათებული ფანჯარა დამენახა: გავქანდებოდი იქ და დილამდე ციბრუტივით ვტრიალებდი, ვცეკვავდი, ქალიშვილებს ვართობდი... სხვათა შორის, ამასაც არ ვიკლებდი. *(ყელზე წკიპურტს გაირტყამს.)* მახსოვს, სულ ენად ვიყავი გაკრეფილი, ათას ტყუილსა და მართალს ვამბობდი, ვფილოსოფოსობდი კიდეც... ახლანდელი ახალგაზრდები კი რას ჰგვანან? *(ხელს ჩაიქნევს.)* არც ღმერთს არგიან, არც ეშმაკს! მთელ მაზრაში ერთი წესიერი ახალგაზრდა მეგულება და ისიც ცოლიანია... *(ამოოხვრით.)* თუმცა, ამ ბოლო დროს იმანაც აურია.

ბაბაკინა. ვისზე ამბობთ?

ლებედევი. ნიკოლაშა ივანოვზე.

ბაბაკინა. კარგი მამაკაცია. *(სახე დაებრიცა.)* უბედურია ოღონდ.

ზინაიდა საგიშნა. ეჰ, ჩემო კარგო, აბა, როგორ უნდა იყოს ბედნიერი? *(ამოოხვრით.)* შეცდა, საწყალი, ძალიან მოტყუვდა! ის თავისი ურია ცოლი რომ მოიყვანა, დიდი იმედი ჰქონდა, რომ ქალის მშობლები კარგ მზითევს გამოატანდნენ, სულ ოქროთი აავსებდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა. იმ დღიდან, რაც ქალმა რჯული შეიცვალა, მშობლებს მისი დანახვაც აღარ უნდათ! დასწყევლეს და შეაჩვენეს! ჰოდა, კაპიკიც არ ერგო მის ქმარს... ახლა კი ნანობს, მაგრამ რაღა დროსია?!

საშა. არაა ეგ მართალი, დედა!

ზინაიდა საგიშნა. *(ფიცხად)* მართალია, შვილო, მართალი! მთელმა ქვეყანამ იცის. სარგებელი რომ არ ჰქონოდა, ებრაელს შეირთავდა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განა რუსი ცოტაა? მოტყუვდა, შვილო, ანგარიში შეეშალა! *(გამოცოცხლდება.)* უნდა ნახოთ ახლა, რა დღეში ჰყავს ქალი! ყოველ საღამოს შინ რომ მივა, დაეტაკება და ეჩხუბება: „შენმა დედ-მამამ უსინდისოდ მომატყუა, მიბრძანდი ჩემი სახლიდანო!“ ის კი, აბა, სად უნდა წავიდეს? მშობლები აღარ მიიღებენ. მოახლედ დაუდგებოდა ვინმეს, მაგრამ მუშაობას მიჩვეული არ არის!.. ჰოდა, ზის გაჩუმებული და ისმენს ქმრის საყვედურებს, სანამ გრაფი არ გამოექომაგება... გრაფი რომ არ ყოფილიყო, აქამდე მისი ქმარი ხელში შეიკლავდა საწყალს!

ავდოტია ნაზაროვნა. იმასაც ამბობენ, ქმარი თურმე სარდაფში ჩაკეტავს ხოლმე და უბრძანებს: „ხეთქე, შე ასეთო და ისეთო, ნიორიო!“ ისიც ჭამს, საცოდავი, სანამ ყელზე არ დაადგება!

ყველანი იცინიან.

საშა. მამა, ეგ ხომ ტყუილია, ტყუილი!

ლებედევი. რა გენაღვლება, იყბედონ... *(ყვირის.)* გავრილა!

გავრილა ისევ არაყს და წყალს მიართმევს.

ზინაიდა სავიშნა. იმიტომაც გაკოტრდა ეგ უბედური! ვერც ერთ საქმეს თავი ვერ მოაბა! ბორკინი რომ არ უვლიდეს იმის მამულს, ეგა და მისი ცოლი შიმშილით დაიხოცებოდნენ! *(ამოოხვრით.)* ჩვენც ზარალი მოგვაყენა. *(ბაბაკინას.)* არ დაიჯერებთ, ძვირფასო, და სამი წელია ჩვენი ცხრა ათასი მართებს!

ბაბაკინა. *(გაოცებული.)* ცხრა ათასი?

ზინაიდა სავიშნა. აბა! ჩემმა ძვირფასმა ქმარმა მიართვა, თორემ მე რას მივცემდი... არ იცის ამ კაცმა, ვის უნდა ასესხოს და ვის — არა. კაპიტალზე აღარაფერს ვამბობ, ჯანი გავარდეს! სარგებელი მაინც გადაგვიხადოს წესიერად!

საშა. *(გაცხარდება.)* დედა, თქვენ ეს უკვე ათასჯერ გითქვამთ!

ზინაიდა სავიშნა. მერე შენ რა? რას ექომაგები?

საშა. *(ადგება.)* რატომ ლანძღავთ კაცს, ვისაც თქვენთვის არაფერი დაუშავებია?

მეორე სტუმარი. ალექსანდრა პავლოვნა, ორიოდე სიტყვა, თუ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეიძლება, მეც მათქმევინეთ... ივანოს დიდ პატივს ვცემ და ყოველთვის საამაყოდ მიმაჩნდა... მაგრამ ჩვენ შორის დარჩეს და, ის კაცი, მგონი, ცოტა ავანტიურისტია.

საშა. ჰოდა, მომილოცავს, თუ ასე გგონიათ!

მესამე სტუმარი. ამის დასადასტურებლად, თუ გნებავთ, ერთ ფაქტსაც მოვიყვან, რომელიც მისმა ატაშემ, ან უფრო სწორად, მისმა ჩიჩერონე ბორკინმა მაცნობა... თურმე ორი წლის წინ, საქონლის ეპიზოოტიის პერიოდში, ივანოვმა საქონელი შეიძინა, დააზღვია...

ზინაიდა სავიშნა. დიახ, დიახ, მეც მითხრეს ეგ ამბავი!

მესამე სტუმარი. დააზღვია... მერე საქონელს ჭირი შეჰყარა და საზღვევი პრემიაც მიიღო!

საშა. სისულელეა! არავითარი საქონელი არავის უყიდია და არც პრემია მიუღია! თვითონ ბორკინმა მოიგონა ეგ სულელური გეგმა და ქვეყანას მოსდო! ივანოვმა რომ გაიგო, შავი დღე აყარა. მერე ბორკინი ორი კვირა ბოდიშს უხდიდა... ივანოვის დანაშაული მარტო ის არის, რომ რბილი კაცია, ნებისყოფა არ ჰყოფნის, რომ კინწისკვრით გააგდოს ბორკინი! და კიდევ ის, რომ მეტისმეტად ენდობა ხალხს, ყველაფერი, რაც აბადია, მოჰპარეს და გაუნიავეს! მისი აზრებითა და წამოწყებებით, ვინ მოთვლის, რამდენმა ისარგებლა და ხელი მოითბო!

ლებედევი. ჰო, ჰო, როგორ გაცხარდა!.. კმარა, შურა, დაწყნარდი!

საშა. აბა, სისულელეს რატომ ლაპარაკობენ! ბოლოს და ბოლოს, ეს მოსაწყენია! სულ ივანოვი და ივანოვი! მეტი სალაპარაკო არა გაქვთ? *(კარისკენ მიდის და დაბრუნდება.)* მიკვირს, ღმერთმანი! *(ახალგაზრდებს.)* თქვენი ამბავიც მაკვირვებს, ბატონებო! ნუთუ არ მოგწყინდათ ასე უსაქმოდ ჯდომა? თქვენ გარშემო ჰაერიც კი გაიყინა მოწყენილობისგან! ხმა ამოიღეთ, თქვით რამე, გაართეთ ქალიშვილები, გაინძერით! ივანოვის გარდა სხვა სალაპარაკო არ გაგაჩნიათ, იცინეთ, იმღერეთ, იცეკვეთ...

ლებედევი. მიდი, მიდი, გათათხე ეგ უქნარები!

საშა. არა, მართალს ვამბობ. ჩემი ხათრით მაინც გაინძერით! ცეკვა-თამაში თუ არ გინდათ და სიცილის გუნებაზე არა ხართ, თუ ყველაფერი მოგბეზრდათ და აღარაფერი გაინტერესებთ, —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გემუდარებით, გთხოვთ, ერთხელ მაინც თქვენს სიცოცხლეში, სასეიროდ, კურიოზის სახით, სხვების გასაკვირვებლად ან გასაცინებლად მაინც, ძალა მოიკრიბეთ და ყველამ ერთად მოიმოქმედეთ რამე გონებამახვილური, თავისებური, გამორჩეული ან თქვით რამე, თუნდაც უხამსობა, ან უტიფრობა, ოღონდ სასაცილო იყოს და ახალი! ან ყველამ ერთად ჩაიდინეთ რაღაც, თუნდაც ძლივს შესამჩნევი პატარა საქციელი, ოღონდ ისეთი, გმირობას რომ ჰგავდეს და ამის დანახვაზე ქალიშვილებმა ერთხმად შესძახონ: „ღმერთო ჩემო, ეს რა ყოფილაო!“ არა, მართლა, თქვენ ხომ გინდათ, თავი მოაწონოთ ქალიშვილებს? მაშ, რატომ არ ცდილობთ ამას? თუმცა, რა უნდა გელაპარაკოთ? არა, თქვენ ის არა ხართ, რაც უნდა იყოთ! თქვენ ის არა ხართ, არა ხართ! თქვენი შემხედვარე ბუზებიც კი იხოცებიან და ლამპები ხრჩოლას იწყებენ! არა, თქვენ ის არა ხართ, რაც უნდა იყოთ! არა, ათასჯერ მითქვამს და გავიმეორებ! თქვენ ის არა ხართ, რაც უნდა იყოთ! არა ხართ, არა!

IV

*იგივენი, **ივანოვი** და **შაბელსკი**.*

შაბელსკი. *(ივანოვთან ერთად მარჯვენა კარში შემოდის.)* ეს ვინაა, გამოთქმით რომ ლაპარაკობს? თქვენ ხართ? *(სიცილით ხელს ართმევს.)* მომილოცავს, ჩემო ანგელოზო! ღმერთსა ვთხოვ, რაც შეიძლება გვიან მოგკლათ და ხელმეორედ აღარ გაგაჩინოთ ქვეყანაზე.

ზინაიდა სავიშნა. *(გახარებული.)* ნიკოლაი ალექსეევიჩ! გრაფ!

ლებედევი. ოჰ, ამას ვის ვხედავ... გრაფ! *(მისკენ გაეშურება.)*

შაბელსკი. *(ზინაიდა სავიშნასა და ბაბაკინას დაინახავს და მათკენ ხელს გაიშვერს.)* ორი სახაზინო ბანკი ერთად, ერთ დივანზე! რა საამო სანახავია! *(ზინაიდა სავიშნას.)* ზუზუშკას სალამი! *(ბაბაკინას.)* გამარჯობათ, პუტკუნავ!

ზინაიდა სავიშნა. ძლიერ მიხარია! გრაფ, რა იშვიათი სტუმარი გახდით? *(ყვირის.)* გავრილა, ჩაი!.. დაბრძანდით, გეთაყვა! *(ადგება, მარჯვენა კარში გავა და უმალვე დაბრუნდება შეწუხებული სახით.)*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშა მამას გვერდით მიუჯდება. ივანოვი უხმოდ ესალმება ყველას.

ლებედევი. *(შაბელსკის.)* საიდან, ადამიანო? რა ქარმა გადმოგაგდო? *(ეხვევა და კოცნის.)* აი, სიურპრიზი!.. დიდი უსინდისო კი ხარ, შე არამზადავ! აბა, რა პატიოსნებაა ეს? წესიერი ხალხი ასე არ იქცევა! *(ხელს გაუყრის და განზე გაიყვანს.)* რატომ არ დადიხარ ჩვენთან? გვემდური?

შაბელსკი. როგორ მოვიდე, რით? ჯოხის ცხენზე შევჯდე? საკუთარი ეტლი არ გამაჩნია, ნიკოლაის კი არსად მივყავარ, შინ მტოვებს, რომ სარა გავართო... მოდი და წამიყვანე, თუ გენატრები!

ლებედევი. *(ხელს ჩაიქნევს.)* რას ამბობ! ჩემი ცოლი უმალ თავს მოიკლავს, ვიდრე ცხენებს მომცემს!.. არადა, იცი, როგორ მიყვარხარ? ყველაზე ძვირფასი და ახლობელი ხარ! ძველებიდან მარტო მე და შენ დავრჩით... „მე შენში მიყვარს წარსულის ტანჯვა და ჩემი სიყრმე აწ დაღუპული!..“[1] ხედავ, ვტირი! *(გრაფს ეხვევა.)*

შაბელსკი. მომცილდი, მომცილდი! ისეთი სუნი გიდის, საარყე ქვაბში მგონია თავი!

ლებედევი. ვერც კი წარმოიდგენ, როგორ მომენატრა მეგობრები! ლამის თავი ჩამოვიხრჩო მოწყენილობისგან! *(ხმადაბლა.)* ჩემმა ცოლმა თავისი გამსესხებელი სალაროთი პატიოსანი ხალხი სულ დაიფრინა, მარტო კაციჭამიებიღა დარჩნენ... ეს დუდკინებიო, ეს ბუდკინებიო, ვერ გაიგებ!.. ჰო, კარგი, კარგი, ჩაი მიირთვი.

გავრილა გრაფს ჩაის მიართმევს.

ზინაიდა საგიშნა. *(გავრილას, შეწუხებული სახით.)* ცარიელი ჩაი რა მოსატანი იყო? მურაბაც მოგერთმია, კინკრიჟისა..

შაბელსკი. *(გადაიხარხარებს, ივანოვს.)* რა გითხარი, გახსოვს? *(ლებედევს.)* აქეთ რომ მოვდიოდით, დავენაძლევე: აი, ნახე, ზუზუშკამ კინკრიჟის მურაბა თუ არ მოიტანოს-მეთქი!

ზინაიდა საგიშნა. თქვენ ხომ დაცინვის გარეშე არ შეგიძლიათ, გრაფ!

---

[1] ფრაზა („Люблю в тебе я прошлые страданья“) მიხეილ ლერმონტოვის ლექსიდან „Нет не тебя так пылко я люблю“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლებედევი. ოცი ფუთი მოხარშა, გასაღება არ უნდა?!

შაბელსკი. *(მაგიდას მიუჯდება, ზინაიდა სავიშნას.)* მაშ, ფულს ისევ აგროვებთ, ძვირფასო? მილიონი გექნებათ?

ზინაიდა სავიშნა. *(ამოოხვრით.)* ეჰ, ვინმემ რომ შეგვხედოს, ჩვენზე მდიდარი არავინ ეგონება, მაგრამ სადაა ფული?

შაბელსკი. ჰო, კარგი, ვიცით, რა ცუდი მონარდეცა ხართ![1] *(ლებედევს.)* პაშა, შენ მაინც მითხარი მართალი: მილიონი დააგროვეთ?

ლებედევი. რა ვიცი, ზუზუშკას ჰკითხე.

შაბელსკი. *(ბაბაკინას.)* მილიონი მალე ამ პუტკუნასაც ექნება! დღითი დღე ლამაზდება და ხორცსაც ისხამს. ფულმა ასე იცის.

ბაბაკინა. დიდად მადლიერი გახლავართ, თქვენო ბრწყინვალებავ, ოღონდ დაცინვა არ მიყვარს.

შაბელსკი. ჩემო ძვირფასო ბანკო, განა ეს დაცინვაა?! სულის ყივილია! თქვენ და ზუზუშკა უსაზღვროდ მიყვარხართ! *(მხიარულად.)* თქვენ რომ გხედავთ, პირდაპირ ჭკუას ვკარგავ! გულგრილად ვერ გიყურებთ!

ზინაიდა სავიშნა. ისევ ისეთი ხართ, როგორიც იყავით. *(ეგორუშკას.)* სანთლები ჩააქრე, ბანქოს მაინც აღარ თამაშობთ და ტყუილად რაზე დაიწვას?

ეგორუშკა შეკრთება; სანთლებს ჩააქრობს და დაჯდება.

(ივანოვს) ნიკოლაი ალექსეევიჩ, თქვენი მეუღლე როგორ ბრძანდება?

ივანოვი. ცუდად არის. დღეს ექიმმა დაბეჯითებით გამომიცხადა, ჭლექი აქვსო.

ზინაიდა სავიშნა. ნუთუ მართლა? რა საწყენია! *(ამოოხვრით.)* ჩვენ ისე გვიყვარს თქვენი მეუღლე.

შაბელსკი. სისულელა! სისულელეა ყველაფერი და ექიმური თაღლითობა! არავითარი ჭლექი იმას არა სჭირს. უბრალოდ, ესკულაპს სიამოვნებს ქალის ოჯახში ყოველდღე სიარული და რაღაც ჭლექი გამოიგონა! რა ენაღვლება? ღვთის მადლით, ქმარი მაინც

---

[1] *შაბელსკი მიანიშნებს ნოზდრიოვის სიტყვებზე, ჩიჩიკოვთან შაშის თამაშისას რომ ამბობს (ვ. გოგოლი, „მკვდარი სულები“).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ ეჭვიანობს *(ივანოვი უსიამოვნოდ შეიშმუშნება.)* რაც შეეხება სარას, მე მისი არც ერთი სიტყვა არ მჯერა! საერთოდ, რაც თავი მახსოვს, არასოდეს ვენდობოდი არც ექიმებს, არც ვექილებს, არც ქალებს... სისულელეა ყველაფერი! სისულელე და თაღლითობა!

ლებედევი. *(შაბელსკის.)* საკვირველი პიროვნება ხარ, მატვეი! მიგიგნია მიზანთროპობისათვის და თავს ევლები, ვერა და ვერ გაჰყრიხარ! ვინმემ რომ შეგხედოს, ჩვეულებრივი ადამიანი ეგონები, მაგრამ ხმას ამოიღებ თუ არა, კაცი იფიქრებს, ძირძიტა ამოსვლია ენაზე, ან თავით ფეხამდე კატარს შეუჭამიაო...

შაბელსკი. მაშ, რას მირჩევ? თაღლითებსა და არამზადებს გადავეხვიო?

ლებედევი. სად ხედავ თაღლითებსა და არამზადებს?

შაბელსკი. დამსწრე საზოგადოებაზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ...

ლებედევი. ჰოდა, მაგაშია საქმე. თამაშობ და თავს იგდებ.

შაბელსკი. ვთამაშობ... შენ რა გიჭირს, არავითარი მსოფლმხედველობა არ გაგაჩნია!

ლებედევი. რა მსოფლმხედველობა უნდა მქონდეს? ვზივარ და ყოველ წუთს ველოდები, როდის გადავბრუნდები! ეს არის ჩემი მსოფლმხედველობა! რაღა დროს ჩვენი მსოფლმხედველობაა, შე დალოცვილო, ცალი ფეხი სამარეში გვიდგას! *(ყვირის.)* გავრილა!

შაბელსკი. გეყოფა, ისედაც კარგად გაგავრილებული ხარ. ჭარხალივით გაგწითლებია ცხვირი!

ლებედევი. *(სვამს.)* არა უშავს, საქორწინოდ არავინ მეძახის!

ზინაიდა სავიშნა. ექიმმა ლვოვმა კი სულ დაგვივიწყა, დიდი ხანია არ ყოფილა ჩვენსას.

საშა. არ მომწონს ეგ კაცი. მოარული პატიოსნებაა. ჭიქა წყალს არ დალევს ისე, პაპიროსს არ მოსწევს, რომ თავისი არაჩვეულებრივი პატიოსნება არ გამოავლინოს! დუმს თუ ლაპარაკობს, შუბლზე თითქოს აწერია: მიყურეთ, რა პატიოსანი ვარო!.. მოსაწყენია მასთან ყოფნა.

შაბელსკი. გონებაშეზღუდული, უტიფარი მკურნალია! ყოველ ნაბიჯზე თუთიყუშივით გაიძახის, *(გამოჯავრებით.)* გზა მიეცით პატიოსან შრომასო და თავისი თავი მეორე დობროლიუბოვი ჰგონია! ვინც არ ყვირის, ის არამზადაა. შეხედულებები ხომ პირდაპირ განსაცვიფრებელი აქვს: გლეხკაცი თუ შეძლებულია და ადამია-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნურად ცხოვრობს, მაშასადამე, მამაძაღლი და მყვლეფავია!.. მე, მაგალითად, ხავერდის პიჯაკი მაცვია და ლაქია მემსახურება, — ესე იგი, მამაძაღლი და ბატონყმობის ტრფიალი ვარ!.. ის დალოცვილი ისეთი პატიოსანია, ისეთი, ლამის გასკდეს პატიოსნებისგან! სულ შფოთავს და წრიალებს. მართალი გითხრათ, მეშინია მისი. ღმერთმანი! ერთიც ვნახოთ, მოვალეობის გრძნობისგან იმდენად გამოტვინდეს, რომ სახალხოდ თავში ჩამაფაროს ან შემაგინოს!

ივანოვი. მეც დამღალა მასთან ურთიერთობამ, მაგრამ მაინც მომწონს. უაღრესად გულწრფელია.

შაბელსკი. კარგი გულწრფელობაა, ღმერთმანი! გუშინ საღამოს გამაჩერა და როყიოდ მომახალა: „მე თქვენ ძალზე არ მომწონხართო!“ უმორჩილესად გმადლობთ! თან ჩვეულებრივი ხმით კი არ მეუბნება, ტენდენციურად — კანკალებს, თვალები უბრწყინავს... ერთი სიტყვით, მზადაა ცოფიანი მგელივით დამეძგეროს და ყელი გამომღადროს! ეშმაკსაც წაუღია მისი გულწრფელობა! კი ბატონო, დავუშვათ, მართლა არ მოვწონვარ, ვეზიზღები, ეს ბუნებრივია, მე თვითონ ვიცი, რისი ღირსი ვარ, — მაგრამ რა საჭიროა პირში თქმა? საძაგელი კი ვარ, მაგრამ თმა გამთეთრებია და ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩემს ჭაღარას მაინც სცეს პატივი!.. მიმიფურთხებია ასეთი უნიჭო და ულმობელი პატიოსნებისთვის!

ლებედევი. კარგი, დამშვიდდი. თავის დროზე შენც იყავი ახალგაზრდა და უნდა გაუგო.

შაბელსკი. დიახ, თავის დროზე ახალგაზრდა და სულელი მეც ვიყავი, ჩაცკის როლს ვთამაშობდი და არამზადებისა და გაიძვერების მხილება მიყვარდა! მაგრამ არასოდეს ჩემს სიცოცხლეში ქურდისთვის ქურდი არ დამიძახებია და ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე არ მილაპარაკია! ზრდილობიანი ყმაწვილი ვიყავი, კარგ ოჯახში გაზრდილი! ეგ თქვენი ხეპრე მკურნალი კი, დარწმუნებული ვარ, თავისი მოწოდების სიმაღლეზე და მეშვიდე ცაზე იგრძნობდა თავს, ერთხელ მაინც რომ მისცემოდა საშუალება, იმ თავისი პრინციპებისა და ზოგადსაკაცობრიო იდეალების სახელით საჯაროდ სილა გაეწნა ან თავი გაეჩეჩქვა ჩემთვის!

ლებედევი. საზოგადოდ, ახალგაზრდები ფიცხები არიან. მე, მაგალითად, ბიძა მყავდა ჰეგელიანელი... დაპატიჟებდა სტუმრებს, მათთან ერთად დალევდა, იქეიფებდა, მერე სკამზე შედგებოდა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოსდგებოდა: „თქვე ასეთებო-ისეთებოო... ყველანი უვიცები ხართო... ბოროტი ძალაა თქვენშიო... ახალი ცხოვრების განთიადი მოდისო...“ დაიწყებდა და აღარ გაათავებდა! სულ მიწასთან გაასწორებდა ყველას!

საშა. სტუმრები რაღას ამბობდნენ?

ლებედევი. არაფერს. უსმენდნენ და სვამდნენ თავისთვის... თუმცა, ერთხელ, მახსოვს, დუელში გამოვიწვიე... დიახ, საკუთარი ბიძა!.. ბეკონის[1] თაობაზე მოგვივიდა კამათი. მახსოვს, აი, იქ ვიდექი, სადაც ახლა მატვეი დგას, ბიძაჩემი კი განსვენებულ გერასიმ ნილიჩთან ერთად, იქ იჯდა, ნიკოლაშას ადგილას... ჰოდა, გერასიმ ნილიჩი ეუბნება ბიძაჩემს...

შემოდის ***ბორკინი.***

V

იგივენი და ***ბორკინი.*** *(ფრანტივით გამოწყობილი, ხტუნვა-ხტუნვით და ღიღინით მარჯვენა კარში შემოდის. საერთო გამოცოცხლება.)*

ქალიშვილები. მიხალ მიხალიჩ!

ლებედევი. მიშელ მიშელიჩ! ხსენებაზეაო, რომ იტყვიან...

შაბელსკი. პირველი კაცი, საზოგადოების სული და გული!

ბორკინი. აი, მეც აქ ვარ! *(საშასთან მიირბენს.)* კეთილშობილო სენიორინა! ვკადნიერდები და მთელ მსოფლიოს თქვენისთანა შესანიშნავი ყვავილის დაბადებას ვულოცავ! ნება მომეცით, ჩემი აღტაცების ძღვენი — ჩემი ნახელავი მოგართვათ... *(შეკრულას გაუწვდის.)* აი, ეს შუშხუნებია და ბენგალური ცეცხლი. დაე, მათმა ნათელმა ისევე გაფანტოს ღამის უკუნი, როგორც თქვენი სახის შუქი ჩვენი ცხოვრების წყვდიადს ანათებს! *(თეატრალურად თავს უკრავს.)*

საშა. გმადლობთ!

ლებედევი. *(ხარხარებს. ივანოვს.)* რატომ არ გააგდებ ამ იუდას?

ბორკინი. *(ლებედევს.)* პაველ კირილიჩს! *(ივანოვს.)* ჩემს პატრონს

---

[1] *ფრენსის ბეკონი (1561-1626) — ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე; ემპირიზმის ფუძემდებელი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

(ჩაიმღერებს.) Nikolas-voilà!.. გი-გო-გო!.. *(ყველას ჩამოუვლის.)* უპატივცემულეს ზინაიდა საავიშნას!.. ღვთაებრივ მარფა ეგოროვნას! უხუცეს ავდოტია ნაზაროვნას!.. უბრწყინვალეს გრაფს!..

შაბელსკი. *(ხარხარებს.)* პირველი კაცი საზოგადოებაში! შემოვიდა და აქაურობა უმალ განათდა!

ბორკინი. უჰ, დავიღალე!.. მგონი, ყველას მივესალმე... ახალს რას იტყვით, ბატონებო? განსაკუთრებული ხომ არაფერი მომხდარა? ისეთი, მაგრად რომ ყარდეს? *(გამოცოცხლებული, ზინაიდა საავიშნას.)* ჰო, მართლა, დედილო, მომისმინეთ, რა უნდა გითხრათ... მოვდივარ ახლა თქვენთან... *(გავრილას.)* გავრუშა, გეთაყვა, ჩაი მომიტანე, ოღონდ კინკრიჟის მურაბა არ დამანახვო!.. *(ისევ ზინაიდა საავიშნას.)* ჰოდა, მოვდივარ ახლა თქვენთან და ვხედავ, მდინარის პირას გლეხები ძეწნას ქერქს აცლიან. განა არ აჯობებდა, ის ძეწნარი იჯარით გაგეცათ?

ლებედევი. *(ივანოვს.)* რატომ არ გააგდებ ამ იუდას?

ზინაიდა საავიშნა. *(შეშინებული.)* მართალია, ხომ იცი! ეგ როგორ ვერ მოვიფიქრე?!

ბორკინი. *(ხელებს გაშლის, ჩაბუქნავს.)* არ შემიძლია უმოძრაობა! რაღაც განსაკუთრებული მინდა ჩავიდინო!.. მარფა ეგოროვნა, დღეს კარგ გუნებაზე ვარ! ეგზალტირებული! *(მღერის.)* „შენი თვალების ცეცხლით დამწვარი...“[1]

ზინაიდა საავიშნა. რამე მოიფიქრეთ, მიშელ, თორემ სტუმრებმა მოიწყინეს.

ბორკინი. რა მოხდა, ბატონებო, ცხვირი რას ჩამოგიშვიათ? ნაფიცი მსაჯულებივით რატომ სხედხართ? წარმოვადგინოთ რამე, ჰა? რას მოისურვებთ? ფანტი გინდათ თუ დამალობანა ვითამაშოთ? გინდათ, ვიცეკვოთ? ან იქნებ შუშხუნები ავუშვათ?

ქალიშვილები. *(ერთხმად.)* შუშხუნები, შუშხუნები! *(ბაღში გაცვივდებიან.)*

საშა. *(ივანოვს.)* რატომ მოიწყინეთ?

ივანოვი. თავი მტკივა, უგუნებოდ ვარ...

საშა. სასტუმრო ოთახში გავიდეთ.

---

[1] *ბოშური რომანსის საწყისი სტრიქონი (Я вновь пред тобою) ვ. ი. კრასოვის ლექსზე „სტანსები“.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მარჯვენა კარში გადიან. სტუმრებიც ბაღში გაიკრიფებიან. დარბაზში მარტო ზინაიდა სავიშნა და ლებედევი დარჩებიან.

ზინაიდა სავიშნა. აი, მესმის! ახალგაზრდა კაცი! მოვიდა თუ არა, ყველა გამხიარულდა! *(ლამპას ჩაუწევს.)* შუქი საჭირო აღარაა, სტუმრები მაინც ბაღში არიან. *(სანთლებს აქრობს.)*

ლებედევი. *(უკან მიჰყვება.)* პატარა სუფრა მაინც გაგვეწყო, ქალო, უხერხულია...

ზინაიდა სავიშნა. რა ამბავია, ამდენი სანთელი! ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენზე, მდიდრები არიანო! *(სანთლებს აქრობს.)*

ლებედევი. *(უკან მიჰყვება.)* რამე ვაჭამოთ სტუმრებს... ახალგაზრდები არიან, მოშივდებოდათ...

ზინაიდა სავიშნა. გრაფს ჩაი დაუტოვებია... აფსუს შაქარი!

ლებედევი. *(ხელს ჩაიქნევს.)* თფუი. *(ბაღში გადის გულმოსული.)*

VI

ივანოვი და **საშა.**

საშა. *(ივანოვთან ერთად დარბაზში შემოდის.)* ბაღშია ყველა.

ივანოვი. ასეა საქმე, შუროჩკა... უწინ ბევრს ვმუშაობდი და ბევრსაც ვფიქრობდი, მაგრამ არასოდეს ვიღლებოდი. ახლა კი არც ვმუშაობ, არც ვფიქრობ და სულ დაღლილი ვარ. არა მარტო ფიზიკურად, სულიერადაც. დღედაღამ სინდისი მქენჯნის, სულ დამნაშავე მგონია თავი, თუმცა თვითონაც არ ვიცი, ვის რა დავუშავე... ამას კიდევ ცოლის ავადმყოფობა დაემატა, უფულობა, გაუთავებელი კინკლაობა, ჭორები, ზედმეტი ლაპარაკი, ის სულელი ბორკინი და... საკუთარ სახლში ცხოვრება წამებად მექცა!.. გულახდილად გეტყვით, შუროჩკა, ცოლის დანახვა აღარ მინდა, თუმცა მას ძველებურად ვუყვარვარ და უჩემოდ ვერ ძლებს... თქვენ ჩემი ძველი მეგობარი ხართ და გულწრფელობისთვის არ დამძრახავთ... აი, ახლაც... თქვენთან გულის გადასაყოლებლად მოვედი, გართობა მინდოდა, მაგრამ აქაც მოვიწყინე და ისევ შინ მიმიწევს გული... მაპატიეთ, მაგრამ მე შეუმჩნევლად გავიპარები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშა. ნიკოლაი ალექსეევიჩ, მე მესმის თქვენი. მთელი უბედურება ის არის, რომ მარტო ხართ. თქვენ გვერდით საყვარელი არსება უნდა იყოს, რომელიც გაგიგებთ და თანაგიგრძნობთ. მარტო სიყვარულს შეუძლია თქვენი განახლება!

ივანოვი. რას ამბობთ, ძვირფასო! ისღა მაკლია ახლა, ამ ხნის კაცმა ახალი რომანი წამოვიწყო! ღმერთმა დამიფაროს ამ უბედურებისგან! არა, ჩემო ჭკვიანო გოგონავ, რომანი არაფერს მარგებს... გულწრფელად გეტყვით, ყველაფერი შემიძლია ავიტანო: უგუნებობაც, სიგიჟეც, გაკოტრებაც, ცოლის დაკარგვაც, ჩემი ნაადრევი სიბერეც, მარტოობაც, მაგრამ საკუთარი თავისადმი ჩემს დამცინავ დამოკიდებულებას ვეღარ ვუძლებ, არ შემიძლია! სირცხვილისგან ვიწვი, როცა ვფიქრობ, რომ მე, ძალ-ღონით სავსე მამაკაცი, ეშმაკმა იცის, რას დავემსგავსე: ჰამლეტი ვარ, მანფრედი თუ უბრალოდ, ზედმეტი ადამიანი, თვითონაც ვერ გამიგია! არიან ამქვეყნად პატარა კაცუნები, მათ ეამაყებათ კიდეც, ჰამლეტს ან ზედმეტ ადამიანს რომ შეადარებენ, ჩემთვის კი სამარცხვინოა, რადგან ამაყი ვარ და სწორედ ამიტომ ვიტანჯები!

საშა. *(ლამის ატირდეს, თან ხუმრობით.)* მოდი, ამერიკაში გავიქცეთ!

ივანოვი. ამ ოთახის კარამდე მისვლა მეზარება, ამერიკაში რა წამიყვანს! *(ბაღში გასასვლელისკენ მიემართებიან.)* თქვენთვის კი, შურა, აქ ცხოვრება მართლა ძნელია. ამ ხალხს რომ ვუყურებ, შიში მიპყრობს. ვის უნდა გაჰყვეთ ცოლად? ერთადერთი იმედია, — იქნებ ვინმე გზად გავლილმა პორუჩიკმა ან სტუდენტმა მოგიტაცოთ და აქაურობას მოგაშოროთ.

VII

იგივენი და ***ზინაიდა საგიშნა.***

ზინაიდა საგიშნა შემოდის მარცხენა კარიდან მურაბის ქილით ხელში.

ივანოვი. *(დაინახავს შემოსულს.)* ბოდიში, შურა... ახლავე დაგეწევით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშა ბაღში გადის.

ზინაიდა სავიშნა, ერთი სათხოვარი მაქვს.

ზინაიდა სავიშნა. რა გნებავთ, ბატონო?

ივანოვი. *(ყოყმანობს.)* საქმე ის არის, რომ... ჩემი თამასუქის ვადა ზეგ თავდება. დიდად დამავალებთ, თუ ცოტა ხანს დამაცდიდით სარგებლის გადახდას. ამჟამად უფულოდ ვარ და...

ზინაიდა სავიშნა. *(ძალზე შეშინებული.)* რას ბრძანებთ, ბატონო, ეგ როგორ შეიძლება? რა წესია ეს? არა, გეთაყვა, თუ ღმერთი გწამთ, ნუ იგონებთ რაღაცას და ნუ მაწვალებთ!

ივანოვი. მაპატიეთ, მაპატიეთ... *(ბაღში გადის.)*

ზინაიდა სავიშნა. უჰ, როგორ შემაშინა... სულ ვკანკალებ! *(მარჯვენა კარში გავა.)*

VIII

კოსიხი.

კოსიხი. *(მარცხენა კარში შემოვარდება, აქოშინებული.)* დასწყევლოს ღმერთმა! მე ხელში აგურის ტუზი მქონდა, ხელმწიფე ქალი, ყვავის ტუზი და მხოლოდ ერთი პატარა თხილიანი... იმ ოხერმა კი პატარა შლემის გამოცხადება ვერ მოისაზრა! *(მარჯვენა კარში გადის.)*

IX

ავდოტია ნაზაროვნა და პირველი სტუმარი.

ავდოტია ნაზაროვნა. *(პირველ სტუმართან ერთად ბაღიდან შემოდის.)* სულ ცხვირს ამოვუნაყავდი მაგ უნამუსოს! გაგონილა ასეთი ამბავი: ხუთი საათიდან აქა ვართ და ერთი დაობებული ქაშაყიც არ მოუტანიათ! ეს რა ოჯახია, ღმერთო ჩემო!

პირველი სტუმარი. თან როგორი მოწყენილობაა? მართლა რა ხალხი ყოფილა: არც გაჭმევენ, არც გართობენ... გაგიჟდები კაცი! შენი არ ვიცი, ბებერო, მე კი ახლა ერთ ჭიქას სადმე გადავკრავ და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შინისკენ მოუსვამ! არც შენი საცოლე მინდა, არც არაფერი! რა დროს სიყვარულია, როცა დილიდან ნამცეცი არ ჩამსვლია პირში!

ავდოტია ნაზაროვნა. წამო, მოვძებნოთ, სადმე ექნებათ გადამალული.

პირველი სტუმარი. არაყი, მგონი, სასადილო ოთახშია, განჯინაში... ეგორუშკას ვუთხრათ, ის გაგვიღებს!

მარცხენა კარში გადიან.

X

***ანა პეტროვნა** და **ლვოვი** მარჯვენა კარში შემოდიან.*

ანა პეტროვნა. მერე რა? ჩვენი მოსვლა მაინც გაუხარდებათ... ეტყობა, ბაღში გასულან.

ლვოვი. აბა, რა საჭირო იყო ჩემი აქ მოყვანა? ან თქვენ აქ რა გინდათ? რა საერთო გაქვთ ამ სვავებთან? პატიოსანი კაცი აქაურ ჰაერს არც უნდა სუნთქავდეს!

ანა პეტროვნა. ყური მიგდეთ, პატიოსანო კაცო! სხვათა შორის, ეს უზრდელობაა, როცა ქალს აცილებთ და მთელი გზა მარტო საკუთარ პატიოსნებაზე ეჩიჩინებით! შესაძლოა, მართალიც იყოთ და ამ შემთხვევაში პატიოსნადაც იქცეოდეთ, მაგრამ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს უბრალოდ მოსაწყენია! საკუთარ ღირსებებზე ლაპარაკს ქალებთან უნდა ერიდოთ, დაე, თვითონ მიხვდნენ, რა კაციცა ხართ... ჩემი ნიკოლაი თქვენი ხნისა რომ იყო, ქალების საზოგადოებაში მხოლოდ მღეროდა და ანეკდოტებს ჰყვებოდა, მაგრამ ქალები მაინც ხვდებოდნენ რა კაცია!

ლვოვი. ნიკოლაი და ნიკოლაი! გამიჭირეთ საქმე! კარგად ვიცი, რას წარმოადგენს თქვენი ნიკოლაი!

ანა პეტროვნა. საქმეც ის არის, რომ არ იცით. ჭკვიანი ადამიანი ხართ, მაგრამ ბევრი რამ არ გესმით... ბაღში გავიდეთ... *(მიდიან.)* ჩემი ქმრისგან ერთხელაც არ გამიგონია ასეთი სიტყვები: „პატიოსანი ვარ... ამ ხალხში სული მეხუთება... სვავები... ბუკიოტების ბუდე“... სამხეცეს ყურადღებას არ აქცევდა. თუ გაბრაზდებოდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იტყოდა ხოლმე: „რა უსამართლოდ მოვიქეცი დღეს“... ან „ეს ადამიანი ნამდვილად მეცოდებაო...“ ასეა, დიახ! თქვენ კი...

ბალში გადის.

XI

ავდოტია ნაზაროვნა *და* **პირველი სტუმარი.**

პირველი სტუმარი. *(მარცხენა კარში შემოდის.)* სასადილოში არაფერია, იქნებ საკუჭნაოშია? იქით გავიდეთ.

ავდოტია ნაზაროვნა. სულ ცხვირს ამოვუნაყავდი მაგ უნამუსოს, მაგასა!

მარჯვენა კარში გადიან.

XII

ბაბაკინა, ბორკინი *და* **შაბელსკი.**

ბაბაკინა და ბორკინი სიცილით შემოვარდებიან დარბაზში. შაბელსკი ხელების ფშვნეტით და ხტუნვა-ხტუნვით მოსდევს მათ.

ბაბაკინა. რა მოწყენილობაა, ღმერთო! *(კისკისებს.)* არა, მართლა რა მოწყენილობაა! ყველა ისე დადის, ისე სხედან, თითქოს სარი გადაეყლაპოთ. მოწყენილობისგან სახსრები გამეყინა, უნდა გავივარჯიშო. *(ხტის.)*

ბორკინი წელზე შემოხვევს ხელს და ლოყაზე კოცნის.

შაბელსკი. *(ხითხითებს და თითებს ატკაცუნებს.)* დასწყევლოს ღმერთმა, უყურე ამათ!

ბაბაკინა. ხელი გამიშვით, თორემ გრაფი რაღაცას იფიქრებს! კარგი ახლა, მომცილდით!

ბორკინი. ჩემო ანგელოზო, ჩემო გულის მარგალიტო! *(კოცნის.)* ორი ათას სამასი მანეთი მასესხეთ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბაბაკინა. აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! ყველა, ყველაა, მაგრამ ფულის საკითხში... მადლობა მომიხსენებია! არავითარ შემთხვევაში!

შაბელსკი. *(გარშემო უტრიალებს და სიამოვნებისგან ცმუტავს.)* პუტკუნა, პუტკუნა! ერთობ სასიამოვნოა, დიახ...

ბორკინი. *(უცებ სერიოზულად.)* მართლაც გვეყოფა, საქმეზე გადავიდეთ. გელაპარაკებით პირდაპირ, კომერციის ენით და გულახდილად. მიპასუხეთ ყოველგვარი მანჭვა-გრეხისა და ფოკუსების გარეშე: ჰო თუ არა? *(გრაფზე მიუთითებს.)* აი, ამ კაცს ფული უნდა, არანაკლებ სამი ათასი მანეთი წლიური შემოსავალი. თქვენ ქმარი გჭირდებათ. თანახმა ხართ გრაფის ცოლი გახდეთ?

შაბელსკი. *(ხითხითებს.)* საოცარი ცინიკოსია!

ბორკინი. გინდათ თუ არა გრაფის ცოლი გახდეთ?

ბაბაკინა. *(ძლიერ ღელავს.)* იგონებთ რაღაცას... ასეთი საქმე იოლად როდი კეთდება... გრაფს თუ ნებავს, თვითონ შეუძლია და... გარდა ამისა, არ ვიცი, როგორ იქნება ასე უცებ...

ბორკინი. ნუ მიედ-მოედებით! კომერცია კომერციაა, ჰო თუ არა?

შაბელსკი. *(იცინის და თითებს იმტვრევს.)* მართლაც, ხომ იცით... დასწყევლოს ღმერთმა! რა მოხდება ვითომ, რომ ჩემს თავს ეს სისაძაგლე გავუკეთო? ჰა, პუტკუნავ? *(ბაბაკინას ლოყაზე კოცნის.)* რა კარგია, ღმერთო ჩემო! ქორფა კიტრივით არის!

ბაბაკინა. მოიცა, მოიცა... თავგზას ნუ ამიბნევთ. წადით აქედან! თუმცა, არა, დარჩით.

ბორკინი. ჩქარა! ჰო თუ არა? ჩვენ არ გვცალია.

ბაბაკინა. იცით, რა, გრაფ? სტუმრად მობრძანდით, სამიოდე დღით მეწვიეთ... ჩემს სახლში მხიარულებაა, ასე კი არ არის... ხვალ მობრძანდით, თუ გნებავთ. *(ბორკინს.)* თქვენ ხუმრობთ?

ბორკინი. *(გულმოსული.)* გაგონილა სერიოზულ საქმეში ხუმრობა?

ბაბაკინა. მოიცა, მოიცა... ოჰ, გული მიღონდება! ნამდვილად გული მიმდის... გრაფის ცოლი... არიქა, წყალი!

***ბორკინი** და **შაბელსკი** ხელს გაუყრიან, ლოყაზე კოცნიან და სიცილითა და ხტუნვა-ხტუნვით მარჯვენა კარში გაჰყავთ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

XIII

__ივანოვი, საშა__, შემდეგ __ანა პეტროვნა__.
ივანოვი და საშა დარბაზში შემორბიან.

ივანოვი. *(სასოწარკვეთილი თავში ხელს იტაცებს.)* არა, ეს შეუძლებელია! არ გინდათ, შურა, არ გინდათ!

საშა. *(გატაცებით.)* გაგიჟებით მიყვარხართ! უთქვენოდ ჩემს ცხოვრებას აზრი არა აქვს, უთქვენოდ ვერც ბედნიერი ვიქნები, ვერც მხიარული... თქვენ ხართ ჩემთვის ყველაფერი!

ივანოვი. რა საჭიროა? აბა, რა საჭიროა ეს? ღმერთო ჩემო, აღარაფერი მესმის... არ გინდათ, ჩემო კარგო, არ გინდათ!

საშა. ჩემს ბავშვობაში ერთადერთი ჩემი სიხარული თქვენ იყავით, საკუთარი თავივით მიყვარდით თქვენცა და თქვენი სულიც, ახლა კი... როცა გავიზარდე, ნამდვილად შემიყვარდით. სადაც გინდათ, წამოვალ თქვენთან, საფლავშიც ჩაგყვებით, ოღონდ მალე, თუ ღმერთი გწამთ, მალე მომაშორეთ აქაურობას... აღარ შემიძლია, სული მეხუთება!

ივანოვი. *(ბედნიერი სიცილით.)* ეს რა ხდება, ღმერთო? ნუთუ ცხოვრება თავიდან იწყება? მართლა ასეა, შურა? *(გულში ჩაიკრავს.)* ჩემო სიხარულო! *(კოცნის.)* ჩემო სიჭაბუკევ! ჩემო იმედო და მომავალო!

შემოდის __ანა პეტროვნა__, დაინახავს ჩახუტებულ ივანოვსა
და საშას და ელდანაცემივით შეჩერდება.

მაშ, სიცოცხლე დაგვიბრუნდა, შურა? ისევ შეგვიძლია ვიმუშაოთ, საქმეს მოვეკიდოთ? ასეა ხომ?

ისევ კოცნიან ერთმანეთს. ივანოვი უცებ მობრუნდება
და ცოლს დაინახავს.

(შეძრწუნებული.) სარა!

ფარდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოქმედება მესამე

ივანოვის კაბინეტი. მაგიდაზე უწესრიგოდ დაყრილია ქაღალდები, წიგნები, საუწყებო გზავნილები; იქვეა შანდლები, რევოლვერები და სხვა ათასგვარი წვრილმანი. ანთია ლამპა. მაგიდაზე დგას არყის გრაფინი, თეფში ქაშაყის ნარჩენებით, პურის ნაჭრებითა და მჟავე კიტრით; კედლებზე კიდია საადგილმამულო გეგმები, ძველებური თოფები, დამბაჩები, ნამგლები, მათრახები და სხვა. შუადღეა.

I

შაბელსკი, ლებედევი, ბორკინი *და* **პიოტრი.**

შაბელსკი და ლებედევი მაგიდას უსხედან. ბორკინი სკამს გადასჯდომია. პიოტრი კართან ატუზულა.

ლებედევი. საფრანგეთი სავსებით გარკვეულ პოლიტიკას ატარებს. ფრანგებმა იციან, რა უნდათ: ყასბებს გაყვლეფენ და ამით გათავდება ყველაფერი. გერმანია კი, ჩემო ძმაო, სხვა ჰანგზე მღერის, საფრანგეთის გარდა, მას კიდევ ბევრი სატკივარი აქვს.

შაბელსკი. სისულელეა! მე თუ მკითხავ, გერმანელებიცა და ფრანგებიც დედლები არიან! ერთმანეთს ჯიბეში დამალული მუშტით ემუქრებიან! ამას იქით არ წავა საქმე, ჩხუბი არ მოხდება!

ბორკინი. ჩხუბი რა აუცილებელია? და საერთოდ, რა საჭიროა საომარი მზადება, კონგრესები, ხარჯები? მე რას ვიზამდი, იცით? მთელი რუსეთის უპატრონო ძაღლებს თავს მოვუყრიდი, დიდი დოზით პასტერის საწამლავს შევუშხაპუნებდი და უცხოეთის ქვეყნებს მივუსევდი. ერთ თვეში ჩვენი მტრები სულ გაცოფდებოდნენ და ერთმანეთს გადაჭამდნენ!

ლებედევი. *(იცინის.)* რომ შეხედო, ერთი ბეწო თავი აბია ამ ოხერს, მაგრამ სულ გენიალური აზრებით აქვს გატენილი! ოკეანეშიც არ იქნება იმდენი თევზი!

შაბელსკი. ვირტუოზია!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლებედევი. აგაშენა ღმერთმა, მიშელ მიშელიჩ, რა ხანია ეგრე არ მიცინია! *(სერიოზულად.)* სულ ჟომინი და ჟომინი,[1] ბატონებო, მაგრამ თან საქმე... Repetatur![2] *(სამ ჭიქას შეავსებს.)* გაგვიმარჯოს!

გადაკრავენ და ლუკმას დააყოლებენ.

როგორ უხდება არაყს ეს დალოცვილი ქაშაყი!

შაბელსკი. არაფერიც! მჟავე კიტრი ჯობია. ქვეყნის გაჩენის დღიდან მეცნიერებს მჟავე კიტრზე უკეთესი არაფერი გამოუგონიათ. *(მსახურს.)* პიოტრ, კიტრი მოგვიტანე კიდევ. მზარეულს უთხარი, ოთხი ღვეზელიც შეწვას, ხახვიანი... და ცხლად მოგვართვი!

პიოტრი გადის.

ლებედევი. არაყს ხიზილალაც უხდება. ოღონდ როგორ, თუ იცი? ამასაც ჭკუა უნდა. ერთი კოვზი ხიზილალა უნდა ავიღოთ, უმჯობესია, აზელილი, ორი ფოჩი ხახვი, ცოტა პროვანსული ზეთი... ეს ყველაფერი ერთმანეთში ავურიოთ, მერე ამას ზემოდან ცოტა ღვინოც დავაწვეთოთ და... ისეთი გემრიელია, მარტო სუნი გადაგრევს!

ბორკინი. არყის შესატანებლად შემწვარი ციმორიც ვარგა, ოღონდ უნდა იცოდე, როგორ შეწვა... კარგად რომ გაასუფთავებ და გამოშიგნავ, მერე ხმელი პურის ნაფშვენში უნდა ამოავლო და დიდხანს შეწვა, სანამ მთლად არ გამოშრება... კბილებში უნდა კნაწუნობდეს: ხრაშ-ხრუშ, ხრაშ-ხრუშ... მაშინაა გემრიელი!

---

[1] *1812 წლის სამამულო ომის პარტიზანული ბრძოლის მეთაურის, ე. წ. ჰუსარული პოეზიის წარმომადგენლის, დენის დავიდოვის ლექსიდან „მოხუცი ჰუსარის სიმღერა“ („Жомини да Жомини, а о водке ни полслова“); ანტუან-ანრი (ჰენრიხი) ჟომინი (1814-1888) — ფრანგი და რუსი სამხედრო მწერალი, ფრანგი ბრიგადის გენერალი, ნაპოლეონის ომების მონაწილე, შემდგომში რუსეთის ინფანტერიის გენერალი; 1813 წელს, განაწყენებული იმით, რომ ბაუცენთან გამარჯვებაში შეტანილი წვლილის გამო დივიზიის გენერლობა არ უბოძეს, ანტიფრანგულ კოალიციას მიემხრო. დიდი პატივით მიიღეს რუსეთის სამეფო კარზე; ჰქონდა უამრავი სამხედრო პროექტი; რუსი დიპლომატის, ალექსანდრ ჟომინის მამა.*

[2] *(ფრანგ.) გავიმეოროთ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შაბელსკი. წუხელ ბაბაკინასთან არყის მისატანებლად თეთრი სოკო მოიტანეს...

ლებედევი. ისიც კარგია...

შაბელსკი. საგანგებოდ მომზადებული იყო: ხახვითა და დაფნის ფოთლით, ათასნაირი სანელებლით შეკაზმული. ქვაბს ხუფი რომ ახადეს, ისეთი სურნელი დატრიალდა, თან ისეთი გემრიელი იყო, თითებს ჩაიკვნეტდი!

ლებედევი. საქმე, ბატონებო, საქმე! Repetatur!

სვამენ.

გაგვიმარჯოს... *(საათს შეხედავს.)* ნიკოლაშას, ეტყობა, დააგვიანდება, აღარ მოვუცდი. *(შაბელსკის.)* მაშ, შენ ამბობ, რომ ბაბაკინასთან სოკოთი გაგიმასპინძლდნენ? ჩვენს ოჯახში კი სოკოს ხსენებაც არ არის... გამაგებინე ერთი, რა გინდა ამ მარფუტკასთან? ბოლო დროს რაღაც მოუხშირე იქ სიარულს?

შაბელსკი. *(ბორკინზე მიუთითებს.)* აი, იმ კაცს უნდა, რომ გამირიგოს.

ლებედევი. გაგირიგოს? რამდენი წლისა ხარ?

შაბელსკი. სამოცდაორის.

ლებედევი. რა უჭირს, კარგი ასაკია. მარფუტკაც სწორედ შენი შესაფერისია.

ბორკინი. მარფუტკაში საქმე არაა, მის სტერლინგებზეა ლაპარაკი!

ლებედევი. კაი მადა გქონია, ძმაო. მარფუტკას სტერლინგები! იხვის ტოლმასაც ხომ არ ინებებდი?

ბორკინი. იხვის ტოლმა იქნება, როცა დაქორწინდება და ჯიბეს გაისქელებს! შურით გასკდებით ყველანი!

შაბელსკი. ეს გენიოსი, მგონი, მართლა არ ხუმრობს, დარწმუნებულია, რომ დავუჯერებ და ცოლს ვითხოვ.

ბორკინი. მაშ, როგორ? განა თქვენ დარწმუნებული არა ხართ?

შაბელსკი. გაგიჟდი? როდის გითხარი, დარწმუნებული ვარ-მეთქი?

ბორკინი. მადლობელი ვარ... დიდი მადლობა! მაშასადამე, თქვენ ჩემი გაცურება გინდათ? ხან ერთს ამბობთ, ხან მეორეს, ეშმაკი ვერ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაგიგებთ! მე კი იმ ქალს უკვე პატიოსანი სიტყვა მივეცი!.. მაშ, არ თხოულობთ?

შაბელსკი. *(მხრებს აიჩეჩს.)* სერიოზულად ლაპარაკობს, ხომ იცით... საკვირველი კაცია!

ბორკინი. *(აღშფოთებული.)* რაღაზე ავაფორიაქეთ ის წესიერი დედაკაცი? გიჟდება, ისე უნდა გრაფის ცოლობა! არც ჭამს, არც სძინავს, მოსვენება დაკარგა... შეიძლება ასეთი ხუმრობა? განა ეს პატიოსანი საქციელია?

შაბელსკი. *(თითებს გაატკაცუნებს.)* არადა, რა სეირი იქნება, მართლა რომ ვითხოვო? ჰა? მოდი, გავუკეთებ ჩემს თავს ასეთ სისაძაგლეს, ავიღებ და ვითხოვ! ყველას ჯიბრზე.

შემოდის **ლვოვი.**

II

ლებედევი. ესკულაპს ჩემი უმდაბლესი... *(ლვოვს ხელს ჩამოართმევს.)* როგორაა ის? *(ჩაიმღერებს.)* „არიქა, ექიმო, მიშველეთ, თორემ უსიკვდილოდ ვკვდები!“

ლვოვი. ნიკოლაი ალექსეევიჩი არ მოსულა?

ლებედევი. არა, ერთი საათია ვუცდი.

ლვოვი მოუთმენლად ბოლთას სცემს.

ლებედევი. ანა პეტროვნა როგორ არის, ძვირფასო?

ლვოვი. ცუდად.

ლებედევი. *(ამოოხვრით.)* ხომ არ შეიძლება, ასე ვთქვათ, ჩვენი პატივისცემა გამოვუცხადოთ?

ლვოვი. არა... მგონი, დაიძინა.

პაუზა.

ლებედევი. რა შესანიშნავი, რა სიმპათიური ქალია! *(ამოოხვრით.)* მახსოვს, გული რომ წაუვიდა ჩვენს სახლში, შურიჩკას დაბადების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დღეს, შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, დიდი დღე არ უწერია... ვერ გამიგია, მაინც გული რატომ წაუვიდა? მოვირბინე და რას ვხედავ? გაფითრებული წევს იატაკზე, ნიკოლაშა კი თავს დასდგომია და იმასაც სახეზე ფერი არ ადევს... შურიჩკა იქვეა და ტირის... იმ დღის მერე მე და შურიჩკა მთელი კვირა გიჟებივით ვიყავით.

შაბელსკი. *(ლვოვს.)* გამაგებინეთ ერთი, მეცნიერების დიდად პატივცემულო ქურუმო: რომელმა სწავლულმა აღმოაჩინა, რომ გულბოყვის დაავადების დროს ქალებს განსაკუთრებით ახალგაზრდა ექიმებთან ურთიერთობა უხდებათ და ისიც, რაც შეიძლება ხანგრძლივი? ეს უდიდესი აღმოჩენაა, დიახ, უდიდესი! ოღონდ არ ვიცი, მედიცინის რომელ სფეროს განეკუთვნება: ალოპათიას თუ ჰომეოპათიას?

ლვოვი პასუხის გაცემას დააპირებს, მაგრამ გადაიფიქრებს. ზიზღით შეხედავს და გავა.

ჰო-ჰო-ჰო, რა გამანადგურებლად შემომხედა! არ მომსპო ამ ოხერმა!

ლებედევი. ვერ დააყენებ მაგ ენას? რატომ აწყენინე?

შაბელსკი. *(გაღიზიანებული.)* აბა, რად ტყუის? ჭლექი აქვს, უიმედოა, მოკვდებაო... ვერ ვიტან ასეთ რამეებს.

ლებედევი. რატომ გგონია, რომ ტყუის?

შაბელსკი. *(ადგება და ბოლთას სცემს.)* იმიტომ, რომ დაუშვებლად მიმაჩნია ცოცხალი ადამიანის ასეთი უეცარი სიკვდილი... მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს!

III

ლებედევი, შაბელსკი, ბორკინი და **კოსიხი.**

კოსიხი. *(შემორბის აქოშინებული.)* ნიკოლაი ალექსეევიჩი შინ არის? გამარჯობათ! *(ყველას ხელს ჩამოართმევს აჩქარებით.)* შინ არის-მეთქი?

ბორკინი. არა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კოსიხი. *(დაჯდება და ისევ წამოხტება.)* აბა, წავედი. *(სწრაფად არაყს გადაკრავს და ლუკმას დააყოლებს.)* კარგად ბრძანდებოდეთ... იმდენი საქმე მაქვს, ფეხზე ძლივს ვდგავარ...

ლებედევი. საიდან გადმოგაგდო ქარმა?

კოსიხი. ბარაბანოვთან ვიყავი... მთელი ღამე ბანქოს ვთამაშობდით, ეს წუთია, დავამთავრეთ... სულ გამატყავეს... იმ დამთხვეულმა ბარაბანოვმა თამაში არ იცის! *(მტირალა ხმით.)* წარმოიდგინეთ, მე თხილს ჩავდივარ... *(ბორკინს მიმართავს, რომელიც გაურბის.)* ის კი აგურიანით თამაშობს... თან აღების გარეშე! *(ლებედევს.)* ან, მაგალითად, ოთხ ჯვრიანს ვთამაშობთ. მე ხელში ტუზი, ქალი მაქვს, ყვავის ათიანი...

ლებედევი. *(ყურებს დაიცობს.)* არ მაინტერესებს, არა! თავი გამანებეთ!

კოსიხი. *(გრაფს.)* გესმით, რას ვამბობ? მე ხელში ტუზი მაქვს, ქალი, ყვავის ათიანი...

შაბელსკი. *(ხელით იგერიებს.)* მომცილდით, მომცილდით...

კოსიხი. და უცებ ასეთი უბედურება ხდება: ყვავის ტუზს პირველი ჩამოსვლისთანავე მიჭრიან...

შაბელსკი. *(მაგიდაზე დაგდებულ რევოლვერს აიღებს.)* მომცილდით, თორემ გესვრით!

კოსიხი. *(ხელს ჩაიქნევს.)* დასწყევლოს ეშმაკმა! კაცს ვერ დაელაპარაკები, თითქოს ავსტრალიაში ვცხოვრობდეთ. არც საერთო ინტერესები აქვთ, არც სოლიდარობა, ყველა თავისთვისაა... თუმცა, მე უნდა წავიდე, ნახვამდის! *(ქუდს ხელს დაავლებს.)* იმდენი საქმე მაქვს, დრო აღარ ითმენს... *(ლებედევს ხელს გაუწვდის.)* პასი!

ყველას გაეცინება.

კოსიხი *გადის და* **ავდოტია ნაზაროვნას** *შეეჯახება.*

IV

შაბელსკი, ლებედევი, ბორკინი *და* **ავდოტია ნაზაროვნა.**

ავდოტია ნაზაროვნა. *(შეჰყვირებს.)* გაგიხმა თავი, კინაღამ წამაქცია!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველანი: ა-ა-ა! ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! კაცო, ეს ქალი ყველგან როგორ ასწრებს მისვლას?

ავდოტია ნაზაროვნა. თურმე სად ყოფილან! მე კი ამათ ძებნაში მთელი სახლი გადავაქოთე!.. გამარჯობა, შევარდნებო! სუფრის მადლი შეგეწიოთ!

ლებედევი. რაზე მოსულხარ?

ავდოტია ნაზაროვნა. საქმეზე, ბატონო, საქმეზე. *(გრაფს.)* ეს საქმე თქვენ გეხებათ, თქვენო ბრწყინვალებავ. *(თავს უკრავს.)* მოკითხვა დამაბარეს და თქვენი ჯანმრთელობის ამბის შეტყობაც მთხოვეს... ისიც უთხარიო, ჩემმა მზეთუნახავმა, ამ საღამოს თუ არ გვესტუმრება, თვალებს სულ ცრემლით ამოვიღამებო... განზე გაიყვანეო და ჩემი დანაბარები ყურში ჩასჩურჩულეო... არადა, დასამალი რა არი? სულ შინაურები არა ვართ? თანაც ისეთი საქმეა, — ქათმებს ხომ არ ვიპარავთ? — კანონითა და სიყვარულით ვიქცევით, ერთმანეთთან შეთანხმების საფუძველზე... ჰოდა... *(არაყს თვალს არ აშორებს.)* ეჰ, ჯანი გავარდეს! არასოდეს დამილევია, მაგრამ ასეთი კარგი საქმის გამო ერთ ჭიქას მაინც გადავკრავ!

ლებედევი. მეც დავლევ. *(დაასხამს.)* გამაგებინე, ქალო, რა მიზეზია, რომ არ ბერდები? ბარე ოცდაათი წელია გიცნობ და სულ ეგეთი ხარ... რამდენის იქნები?

ავდოტია ნაზაროვნა. ეეჰ, სათვალავი ამერია... ორი ქმარი მიწას მივაბარე, მესამედაც გავთხოვდები, მაგრამ უმზითვოდ ვინ წამიყვანს? რვა სული შვილი მყავდა! *(ჭიქას აიღებს.)* ღმერთი შეგეწიოს! კაი საქმე წამოვიწყეთ და კარგადაც დაგვებოლოებინოს! ესენი ტკბილად შეაბერდნენ ერთმანეთს, ჩვენ კი მათი ბედნიერებით გავიხაროთ... ღმერთმა სიკეთე მოგცეთ! *(სვამს.) უფ, ცეცხლია!*

შაბელსკი. *(ხარხარებს. ლებედევს.)* გესმის შენ? ყველაზე კურიოზული ის არის, რომ ამ ხალხს მართლაც სჯერა, თითქოს მე... საკვირველია, ღმერთმანი! *(ადგება.)* არადა, ვითომ რა მოხდება, რომ ჩემს თავს ეს სისაძაგლე გავუკეთო? ჰა, ყველას ჯიბრზე! თითქოს ჩემს თავს ვეუბნებოდე: ესეც შენ, ბებერო ძაღლო, ხეთქე!.. რას იტყვი, პაშა, ჰა?

ლებედევი. სისულელეს როშავ! ჩვენ ახლა, ძმაო, სიკვდილზე უნდა ვიფიქროთ, რაღა დროს ჩვენი მარფუტკები და სტერლინგებია? ჩვენი საქმე წასულია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შაბელსკი. ნუ იტყვი, პაშა, ნუ! მე მაინც ვიზამ ამას, აი, ნახავ! პატიოსან სიტყვას გაძლევ, ვიზამ!

შემოდიან ***ივანოვი*** *და* ***ლვოვი.***

V

იგივენი, ***ივანოვი*** *და* ***ლვოვი.***

ლვოვი. *(ივანოვს.)* გთხოვთ, ხუთი წუთით მოიცალეთ ჩემთვის.

ლებედევი. გამარჯობა, ძვირფასო! *(გადაეხვევა და კოცნის ივანოვს.)* ერთი საათია, გელოდები.

ავდოტია ნაზაროვნა. *(თავს უკრავს.)* გამარჯობა, ჩემო ბატონო.

ივანოვი. *(გაღიზიანებული.)* აბა, რას ჰგავს ეს, ბატონებო? ჩემი კაბინეტი ისევ სამიკიტნოდ გადაგიქცევიათ! რამდენჯერ გთხოვეთ, ნუ შვრებით ამას-მეთქი, თქვენ კი მაინც არ იშლით! *(მაგიდასთან მიდის.)* არაყი დაგიქცევიათ, ქაღალდები დაგისველებიათ... ყველგან პურის ნატეხები ყრია, კიტრები... საზიზღრობაა!

ლებედევი. დამნაშავე ვარ, ნიკოლაშა, დამნაშავე... მაპატიე... სერიოზულ საქმეზე მოვედი შენთან.

ბორკინი. მეც საქმე მაქვს.

ლვოვი. ნიკოლაი ალექსეევიჩ, შეიძლება მოგელაპარაკოთ?

ივანოვი. ამათაც საქმე ჰქონიათ, მოითმინეთ... *(ლებედევს.)* რა გინდა?

ლებედევი. ბატონებო, მე მსურს კონფიდენციალურად ველაპარაკო. გთხოვთ.

ყველანი გადიან.

ივანოვი. ძალიან გთხოვ, პაშა... შენ თუ სვამ, დალიე, ეგ შენი საქმეა, ალბათ, ვერ გადაეჩვევი. ბიძაჩემს კი, თუ ღმერთი გწამს, ნუ ასმევ! მაგისთვის არ შეიძლება, ადრე არაყს პირს არ აკარებდა!

ლებედევი. მაპატიე, გეთაყვა, არ ვიცოდი... ყურადღება არ მიმიქცევია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ივანოვი. ვერ ხედავ, ბებერი ბავშვია. ღმერთმა დაიფაროს და რამე რომ მოუვიდეს, ისევ ჩემი თავსატეხი უნდა გახდეს... რა გინდოდა?

პაუზა.

ლებედევი. ჩემო ძვირფასო... არც კი ვიცი, როგორ გითხრა... მეშინია, მეტისმეტად უსინდისოდ არ გამომივიდეს... მოკლედ, მე თვითონ მრცხვენია, ენა მებმის, მაგრამ რა ვქნა, შედი ჩემს მდგომარეობაში, სხვისი მორჩილი ვარ, სუსტი და უნებისყოფო... ერთი სიტყვით, ჩვარი ვარ... მაპატიე, თუ ღმერთი გწამს...

ივანოვი. რაშია საქმე?

ლებედევი. ცოლმა გამომგზავნა... გემუდარები, მიიღე მოწყალება და გადაუხადე ის სარგებელი თუ რაღაც! არ დაიჯერებ, შემჭამა ქალმა, პირდაპირ სული ამომხადა! მიაშავე ის ფული და მოიცილე თავიდან!

ივანოვი. პაშა... ხომ იცი, ამჟამად ფული არა მაქვს.

ლებედევი. ვიცი, ვიცი... მაგრამ რა ვქნა? აღარ იცდის ის ქალი! თამასუქი რომ გაასაჩივროს, მერე მე და შურუჩკამ თვალებში როგორღა შეგხედოთ?

ივანოვი. მე თვითონ მრცხვენია... ნეტავ მიწა გამსკდომოდა და ამ დღეში არ ჩავვარდნილიყავი, მაგრამ... სად ვიშოვო ფული, მასწავლე, სად? ერთი გზაა მხოლოდ, შემოდგომამდე უნდა მოიცადოთ, სანამ ხორბალს გავყიდი და...

ლებედევი. *(ყვირის.)* ეს ქალი არ იცდის, არა!

პაუზა.

ივანოვი. ცუდ დღეში ხარ, მესმის, მაგრამ მე შენზე უარესად ვარ. *(დადის და ფიქრობს.)* ვერაფერი მომიფიქრებია... გასაყიდიც არაფერი მაქვს...

ლებედევი. მილბახთან რომ მისულიყავი? მას ხომ შენი თექვსმეტი ათასი მართებს?! *(ივანოვი უიმედოდ ხელს ჩაიქნევს.)* მოდი, რა ვქნათ, იცი? ალბათ, გამიჯავრდები, მაგრამ... პატივი მეცი ბებერ ლოთს, მეგობრულად... მე და შენ ხომ ძმები ვართ, ყოფილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სტუდენტები, ლიბერალები... ერთი და იგივე იდეები გვასულდგმულებდა... მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდით... Alma mater... *(საფულეს ამოიღებს.)* აგერ აქ პატარა თანხა მაქვს გადამალული... ჩვენს ოჯახში კაციშვილმა არ იცის ამის შესახებ... გამომართვი... სესხად გაძლევ, რა გგონია? *(ფულს ამოიღებს და მაგიდაზე დადებს.)* მიაფურთხე თავმოყვარეობას და ამ საქმეს მეგობრულად შეხედე. მე, მაგალითად, გამოგართმევდი, პატიოსან სიტყვას გაძლევ.

პაუზა.

ათას ასი მანეთია... დღესვე მიუტანე და შენი საკუთარი ხელით მიაშავე... შხამად შეგერგოთ-თქო, ზინაიდა სავიშნა, ჩახეთქეთ-თქო! ოღონდ იცოდე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიხვდეს, რომ მე გასესხე! ჯვარი გვწერია შენცა და მეც! რომ გაგვიგოს, გადაგვასახლებს! *(სახეში შეხედავს ივანოვს.)* არ გინდა? თაკილობ?.. კარგი, კარგი, ვიხუმრე... ღვთის გულისთვის, მაპატიე...

პაუზა.

ცუდად ხარ?

ივანოვი ხელს ჩაიქნევს.

ასეა საქმე, ძმაო. *(ამოოხვრით.)* მწუხარებისა და ვარამის დრო დაგვიდგა... მე თუ მკითხავ, ადამიანი სამოვარივითაა, სულ მუდამ თაროზე კი არ იდგება, სიგრილეში... ერთხელაც იქნება, ჩამოიღებენ და შიგ ნაკვერჩხლებს ჩაყრიან, ფშშ-ფშშ... ბარემ უაზრო შედარებაა, მაგრამ ამაზე უკეთესი ვერ მომიფიქრებია... *(ამოოხვრით.)* ისე კი, უბედურება სულს აკაჟებს. მე, მაგალითად, სულ არ მეცოდები, დარწმუნებული ვარ, ამ მდგომარეობიდანაც გამოხვალ. როგორც იტყვიან, წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო... მაგრამ ხალხის ამბავი მაკვირვებს! ვერ წარმოიდგენ, ნიკოლაშა, რა ყიამყრალები არიან!.. მაინც საინტერესოა, ვინ იგონებს ამ ჭორებს? შენზე, მაგალითად, ჩვენს მაზრაში ისეთ რაღაცებს ამბობენ, თმა ყალყზე დაგიდგება! სულ არ გამიკვირდება,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ერთ მშვენიერ დღეს პროკურორის ამხანაგი მოგადგეს და... მოკლედ, ძმაო, მკვლელიცა ხარ, სისხლისმღვრელიც, ავაზაკიც...

ივანოვი. ეგ არაფერია. მე ახლა თავის ტკივილი უფრო მაწუხებს.

ლებედევი. ბევრს ფიქრობ და იმიტომ.

ივანოვი. არაფერსაც არ ვფიქრობ.

ლებედევი. იცი რა, ძმაო? მოდი, მიაფურთხე ყველაფერს და ჩვენთან წავიდეთ. შურიჩკას უყვარხარ, პატივს გცემს, გაფასებს... ის ხომ იცი, პატიოსანი გოგოა, ჭკვიანი. არც დედას ჰგავს, არც მამას... არც კი ვიცი, ვის დაემსგავსა! ზოგჯერ ვუყურებ ხოლმე და არც მჯერა, თუ ჩემისთანა ცხვირგასივებულ ლოთს ასეთი შვილი ჰყავს! წავიდეთ ჩვენთან. შურიჩკას დაელაპარაკები, ჭკვიანურ რაღაცას ეტყვი და — გაერთობი! მართლა ძვირფასი ადამიანია, თავდადებული, გულწრფელი...

პაუზა.

ივანოვი. პაშა, ძვირფასო... დამტოვე მარტო.

ლებედევი. კი, ბატონო, მესმის... *(აჩქარდება წასასვლელად.)* განა არ მესმის? *(კოცნის ივანოვს.)* მშვიდობით იყავი. *(საათს დახედავს.)* კინაღამ დამავიწყდა, დღეს სკოლის გახსნას უნდა დავესწრო... *(კარისკენ გაემართება და შეჩერდება.)* იცი, რა ჭკვიანი გოგოა? წუხელ შენ გახსენეთ, მერე ჭორებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა და... *(იცინის.)* აფორიზმი მითხრა, ხომ იცი? „მამიკო, ციცინათელები ღამით იმიტომ ანათებენ, რომ ჩიტებმა დაინახონ და შეჭამონ, კარგი ადამიანები კი ჭორებისა და ცილისწამების საზრდოდ გაჩენილანო!“ როგორია, ჰა? გენიოსი შვილი მყავს! ნამდვილი ჟორჟ სანდია!

ივანოვი. პაშა! *(მიუახლოვდება.)* ამიხსენი, რა მომდის?

ლებედევი. მე თვითონ მინდოდა, მეკითხა, მაგრამ, მართალი გითხრა, მომერიდა... არ ვიცი, ძმაო, ერთი მხრივ, გასაჭირში რომ ხარ, თითქოს ამიტომ დაიჩაგრე, მაგრამ... მეორე მხრივ, ისიც ვიცი, მაგარი ხარ და ყველაფრის ატანა შეგიძლია... სხვა რაღაცაა შენს თავს, სხვა! არ ვიცი რა, ვერ გამიგია!

ივანოვი. მეც არ მესმის... ზოგჯერ მგონია... თუმცა, არა!

პაუზა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმის თქმა მინდოდა... ერთი მუშა მყავდა, თუ გახსოვს, სემიონი, შენ იმას იცნობდი... ერთხელ, ალოობის დროს, ქალებთან თავის გამოჩენა უნდოდა თუ რა იყო, არ ვიცი, ორი ტომარა ხორბალი წამოიკიდა და წელი მოსწყდა... დიდხანს აღარ უცოცხლია... მეც, მგონი, წელი მოვიწყვიტე, პაშა... ჯერ იყო გიმნაზია, უნივერსიტეტი, მერე მეურნეობა, სხვადასხვა მიმდინარეობა, გეგმები... შეხედულებებიც განსხვავებული მქონდა, ცოლიც სხვანაირი ვითხოვე, — ისეთი არა, როგორიც სხვებმა... ზედმეტად ფიცხიც ვიყავი, რისკიც მიყვარდა... ფულს, შენც იცი, რა ხელგაშლილად ვხარჯავდი... ბედნიერიც და უბედურიც ვიყავი ისე, როგორც ჩვენს მაზრაში არავინ ყოფილა, ჰოდა... ყოველივე ეს — ჩემი ტომრებია, პაშა! ავიკიდე და ვერ გავუძელი, წელი მომწყდა!

პაუზა.

ოცი წლის ასაკში ჩვენ ყველანი უკვე გმირები ვართ, ყველაფერს ვეპოტინებით, ყველაფერი შეგვიძლია... ოცდაათისთვის კი ქანცი გვწყდება, ვიღლებით და არაფრად ვვარგივართ!.. რით შეგიძლია ახსნა ეს დაღლილობა? რით? თუმცა, შესაძლოა, რასაც ვამბობ, სულ სხვაა და სრულებით არ ჰგავს იმას, რისი თქმაც მინდოდა... ჰო, რასაკვირველია, ეს სულ სხვაა! ეს ის არ არის, არა!.. შენ წადი, პაშა, თავი მოგაბეზრე.

ლებედევი. *(უცებ მოისაზრებს.)* იცი რა, ძმაო? შენ გარემომ დაგღუპა! ყველაფერი გარემოს ბრალია!

ივანოვი. *(დაღლილი ხმით.)* სისულელეს ამბობ, პაშა, წადი.

ლებედევი. მართლაც სისულელეა. ახლა მე თვითონ ვხედავ, რომ სისულელეა. წავედი მე... მშვიდობით. *(გადის.)*

VI

ივანოვი.** შემდეგ **ლვოვი.

ივანოვი. *(მარტო.)* ცუდი ვარ, უბედური და საწყალი. თანაც არაფრის მაქნისი! მარტო პაშასავით გაცვეთილი, გალოთებული კაცი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუ იმეგობრებს ჩემთან და პატივს მცემს... ღმერთო ჩემო, როგორ მძულს ჩემი თავი! როგორ მეზიზღება ჩემი ხმა, ჩემი მიხრა-მოხრა, ჩემი ხელები, ტანსაცმელი, ფიქრები... სასაცილოა და გულის სატკენი, აბა, რა არის! სულ რაღაც ერთი წლის წინ ჯანმრთელი და ღონიერი ვიყავი, ხალისიც მქონდა, დაღლა რა იყო, არ ვიცოდი... აი, ამ ხელებით ვშრომობდი, ლაპარაკი კი ისე მეხერხებოდა, გულქვა რეგვენსაც ავატირებდი, თვითონაც ავტირდებოდი სხვისი უბედურების გაგონებაზე და აღვშფოთდებოდი, როცა ბოროტებას წავწყდებოდი! შთაგონებაც ხშირად მაკითხავდა! ვინ იცის, რამდენი ღამე მითევია სამუშაო მაგიდასთან პოეტურად ჩაფიქრებულს და მეოცნებეს... რწმენაც მქონდა... მომავალში რომ ვიყურებოდი, ასე მეგონა, იქიდან დედაჩემის თვალები მიცქერდნენ ალერსითა და სიყვარულით... ახლა კი? ღმერთო ჩემო, რას დავემსგავსე! დავიღალე, აღარაფრის მჯერა, არც არაფრის თავი მაქვს და არც არაფერი მინდა! ტვინიც აღარ მემორჩილება, მკლავიც, ფეხიც... მამული მთლად გატიალებულია, ტყეებს ჩეხენ... მოკლედ... *(ტირის.)* დაობლებული შვილივით შემომცქერის ჩემი მიწა და შველას მთხოვს, მე კი არ ვიცი, რა ვიღონო, რადგან აღარაფერს ველოდები და არც არაფერი მენანება... ხვალინდელი დღის შიშით შეპყრობილია ჩემი სული... *(პაუზა.)* ახლა, სარას ამბავი ავიღოთ... საუკუნო სიყვარულს ვეფიცებოდი, ბედნიერ მომავალს ვპირდებოდი, ისე ვაიმედებდი, რომ ბოლოს დამიჯერა და რა გამოვიდა? ვერ გაუძლო გაღებული მსხვერპლის სიმძიმეს! ხუთი წლის განმავლობაში ცდილობდა ეზიდა ეს ტვირთი და... ვერ შეძლო! თვალნათლივ ვხედავდი, როგორ ელეოდა ძალა საკუთარ სინდისთან ჭიდილში, მაგრამ, ღმერთია მოწმე, ერთი დაჩივლება, ერთი საყვედურიც არ წამოსცდენია! მე კი... მადლობა რით გადავუხადე? გული ავიცრუე მასზე! რატომ? რისთვის? თვითონაც არ მესმის... აი, ახლა სარა იტანჯება, უკანასკნელ დღეშია, მე კი უსინდისო ლაჩარივით სახლიდან გავრბივარ, რომ მისი ფერმკრთალი სახე, მისი ჩავარდნილი მკერდი და მუდარით მოპყრობილი მზერა არ დავინახო... სირცხვილია, სირცხვილი!

პაუზა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშა ბავშვია და ჩემი უბედურება გულთან ახლოს მიაქვს. სიყვარულს მიხსნის ამ ხნის კაცს, მე კი, გამოჩერჩეტებული ბებერი, იმის მაგივრად, რომ ჭკუა დავარიგო და დავაშოშმინო, მისი ხმის მუსიკით მოჯადოებული, სიხარულით ვთვრები, ყველაფერს ვივიწყებ და აღტაცებული გავყვირი: „რა ბედნიერებაა! ცხოვრება თავიდან იწყება!“ მეორე დღეს ისევე მჯერა ეს ბედნიერება, როგორც ეშმაკის არსებობა!.. რა მომდის მაინც? რომელი უფსკრულისკენ მივექანები? ან ეს სისუსტე საიდანაა? რა დაემართა ჩემს ნერვებს? საკმარისია, ავადმყოფმა ცოლმა ერთი საწყენი სიტყვა მითხრას, ოდნავ შელახოს ჩემი თავმოყვარეობა ან მოსამსახურეს შეეშალოს რამე, ან თოფმა მიმტყუნოს გასროლის დროს და ისეთი უხეში, ისეთი ბოროტი ვხდები, საკუთარ თავს ველარ ვცნობ.

პაუზა.

არ მესმის! არაფერი მესმის! ლამის ტყვია დავიხალო შუბლში!

ლვოვი. *(შემოდის.)* ნიკოლაი ალექსეევიჩ, მე მსურს მოგელაპარაკოთ.

ივანოვი. კმარა ამდენი მოლაპარაკება, ექიმო, დავიღალე.

ლვოვი. მაინც უნდა მომისმინოთ.

ივანოვი. ყოველდღე გისმენთ და ვერ გამიგია, რა გნებავთ ჩემგან.

ლვოვი. გარკვევით და გასაგებად ვლაპარაკობ; თუ კაცს გული აქვს, გაიგებს.

ივანოვი. ცოლი რომ უკანასკნელ დღეში მყავს, ვიცი... გამოუსწორებლად დამნაშავე რომ ვარ მის წინაშე, ვიცი... პატიოსანი და პირში მთქმელი კაცი რომ ხართ, ესეც ვიცი!.. რა გნებავთ კიდევ?

ლვოვი. მე ადამიანის სისასტიკე მაშფოთებს... ქალი კვდება. ამ ქალს მშობლები ჰყავს. მას უყვარს ისინი და სიკვდილის წინ მათი ნახვა უნდა. მშობლებმა მშვენივრად იციან, რომ მათი შვილის დღეები დათვლილია; ისიც იციან, რომ მის გულში მათდამი სიყვარული არ განელებულა, მაგრამ... წყეული სისასტიკე! მათ თითქოს ვიღაცის გაკვირვება სურთ თავიანთი სარწმუნოებრივი სიკერპით და ისევ და ისევ წყევლიან თავის ნაშიერს!.. თქვენ ის ადამიანი ხართ, ვისთვისაც ქალმა ყველაფერი გაწირა: საკუთარი ოჯახიც, აღუშფოთებელი სინდისიც და მაინც, მიუხედავად ამისა, ყველას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დასანახავად, აშკარად, თან სავსებით გარკვეული მიზნით, ლებედევებთან დაიარებით!

ივანოვი. ო, ღმერთო! ორი კვირაა მათთან არ ვყოფილვარ!

ლვოვი. *(არ უსმენს.)* თქვენისთანა კაცს პირში უნდა უთხრა სათქმელი. დიახ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე და თუ ჩემი მოსმენა არ გსურთ, ნუ მისმენთ! მე ყოველ მოვლენას თავის სახელს ვარქმევ და მშვენივრად მესმის, რომ თქვენ მისი სიკვდილი ახალი გმირობისთვის გჭირდებათ. დაე, ასე იყოს, მაგრამ ნუთუ არ შეგიძლიათ, ცოტა მოითმინოთ, სიკვდილი დაიცალოთ და არ გაანადგუროთ თქვენი აშკარა ცინიზმით? ნუ გეშინიათ, ლებედევა თავისი მზითვიანად არსად გაგექცევათ! თქვენ ისეთი შესანიშნავი ტარტიუფი ბრძანდებით, რომ ახლა თუ არა, ერთი ან ორი წლის შემდეგ ისევ მოხიბლავთ და გააბრუებთ იმ გოგოს და მის ქონებასაც ისევე დაეპატრონებით, როგორც ახლა! რაღას ჩქარობთ, არ მესმის?! რატომ გინდათ, თქვენი ცოლი მაინცდამაინც დღეს გათავდეს და არა, ვთქვათ, ერთ თვეში ან ერთი წლის შემდეგ?!

ივანოვი. რა წამებაა, ექიმო! თქვენ მეტისმეტად ცუდი ექიმი ხართ, თუ გგონიათ, რომ ადამიანის მოთმინებას საზღვარი არა აქვს! თავს ძლივს ვიკავებ, რომ შეურაცხყოფაზე შეურაცხყოფითვე არ გიპასუხოთ.

ლვოვი. კმარა, კმარა, ვინ გინდათ მოატყუოთ?! ჩამოიხსენით ნიღაბი.

ივანოვი. საკვირველია, ჭკვიანი კაცი ხართ და უბრალო რამ არ გესმით. თქვენი აზრით, ჩემი საქციელის ახსნა სულ ადვილად შეიძლება. ასეა, ხომ? ცოლი ვითხოვე იმ ანგარიშით, რომ კარგ მზითევს გამოატანდნენ. იმედი გამიცრუვდა და ახლა საცოდავ ქალს სიცოცხლეს ვუმწარებ, რომ რაც შეიძლება მალე მოვიშორო თავიდან, რათა სხვა ქალი შევირთო და იმის ქონებას დავეპატრონო. ასე ფიქრობთ, არა? რა უბრალოდ ხდება ყველაფერი!.. ადამიანი ყოვლად მარტივი და ადვილად გასაგები მანქანა ყოფილა!.. არა, ექიმო, თითოეული ჩვენგანი ათასგვარი ბორბლით, ჭანჭიკითა და მუხრუჭით არის გამოტენილი და ეს იმდენად რთული მექანიზმია, რომ უფლება არა გვაქვს, ერთმანეთზე პირველი შთაბეჭდილებისა და ორიოდე გარეგნული ნიშნის მიხედვით ვიმსჯელოთ. მე, მაგა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლითად, თქვენი არ მესმის, თქვენ ჩემი არ გესმით და საერთოდ... არც თქვენ, არც მე საკუთარ თავზე არაფერი ვიცით. ექიმობა არაფერს ნიშნავს. შეიძლება კარგი ექიმი იყო და ადამიანის ბუნებაში სულ ვერ ერკვეოდე! ნუ ხართ ეგეთი თავდაჯერებული. დამეთანხმეთ, რომ მართალი ვარ.

ლვოვი. ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ისეთი გაუმჯვირვალე ბრძანდებით, ან მე იმდენად უტვინო ვარ, რომ უსინდისობასა და პატიოსნებას შორის სხვაობას ვერ ვხედავ?

ივანოვი. მე და თქვენ, ეტყობა, ვერასოდეს მოვრიგდებით. უკანასკნელად გეკითხებით. კეთილი ინებეთ და ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე მიპასუხეთ: რა გნებავთ ჩემგან? რას გინდათ მიაღწიოთ? *(ღიზიანდება.)* ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ, ვისთან მაქვს საუბრის პატივი — ჩემს პროკურორთან თუ ჩემი ცოლის მკურნალთან?

ლვოვი. დიახ, მკურნალი ვარ და როგორც მკურნალი, მოვითხოვ: ასე ნუ იქცევით! თქვენი საქციელი ანა პეტროვნას კლავს!

ივანოვი. რა ვქნა, მითხარით? როგორ მოვიქცე? თუ ჩემზე კარგად გესმით ჩემი მდგომარეობა, ამიხსენით, რა უნდა გავაკეთო?

ლვოვი. ყოველ შემთხვევაში ასე აშკარად და უტიფრად ნუ იქცევით.

ივანოვი. ოჰ, ღმერთო ჩემო! თვითონ თუ გესმით, რას ამბობთ? *(წყალს სვამს.)* თავი გამანებეთ! ათიათასჯერ დამნაშავე ვარ და ამ დანაშაულისთვის პასუხს ღვთის წინაშე ვაგებ, ოღონდ თქვენ არავინ მოგცათ უფლება, ყოველდღე მაწამოთ და სული ამომხადოთ!

ლვოვი. თქვენ ვინღა მოგცათ უფლება, რომ ჩემს სიმართლეს შეურაცხყოფთ? სული მომიშხამა თქვენთან ურთიერთობამ! სანამ ამ წყეულ მაზრაში ჩამოვიდოდი, წარმოდგენაც არ მქონდა, რანაირი შეიძლება იყოს ადამიანი. ვიცოდი, სულელები არიან, გიჟებიც, გრძნობას აყოლილნიც, მაგრამ თუ ადამიანს შეეძლო თავისი ნება ბოროტების გზაზე შეგნებულად შეეგდო, არ მეგონა! მე პატივს ვცემდი ადამიანებს, ზოგიერთი მიყვარდა კიდეც, მაგრამ თქვენ რომ გაგიცანით...

ივანოვი. ვიცი, ვიცი... არაერთხელ გამიგონია!

ლვოვი. გაგიგონიათ? *(შემოდის საშა, რომელსაც ამორძალის სამო-*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სი აცვია, ხელში მათრახი უჭირავს.) ახლა, მგონი, შესანიშნავად გავუგეთ ერთმანეთს. კარგად ბრძანდებოდეთ! *(მხრებს აიჩეჩს და გადის.)*

VII

ივანოვი და *საშა.*

ივანოვი. *(შეშინებული.)* შურა, შენა ხარ?

საშა. ჰო, მე ვარ. გამარჯობა. არ მელოდი? ჩვენთან რატომ არ მოდიხარ?

ივანოვი. შურა, ღვთის გულისთვის... რა გაუფრთხილებლობაა! შენმა მოსვლამ შეიძლება საშინლად იმოქმედოს ჩემს ცოლზე.

საშა. ვერ დამინახავს, უკანა კარით შემოვედი... ახლავე წავალ. ძალზე ვღელავ. როგორ ხარ? რატომ არ დადიხარ ჩვენთან?

ივანოვი. ჩემი ცოლი ისედაც შეურაცხყოფილია, სიკვდილის პირასაა, შენ კი... აბა, რა იყო აქ მოსვლა? შურა, შურა, ეს დაუფიქრებლობაა! ეს, ბოლოს და ბოლოს, შეუბრალებლობაა!

საშა. რა უნდა მექნა? ორი კვირა არ გამოჩნდი, წერილებზეც არ მპასუხობდი... დავიტანჯე. მე მეგონა, რაღაც დაგემართა, ავად გახდი, მოკვდი... დამშვიდდი, ძვირფასო, ნუ ღელავ. ახლავე წავალ. შენ ოღონდ მითხარი, ჯანმრთელი ხარ?

ივანოვი. არა, შურა, არა! მე თვითონ გავაწამე ჩემი თავი და სხვებიც მოსვენებას არ მაძლევენ... არ ვიცი პირდაპირ, რა ვქნა? შენც კიდევ თავს დამდგომიხარ... ღმერთო ჩემო, რა ავადმყოფურია ეს, რა არანორმალური! შურა, შურა, მე დამნაშავე ვარ, ძლიერ დამნაშავე!

საშა. როგორ გიყვარს საშინელი და გულის ამაჩუყებელი სიტყვები!.. დამნაშავე ხარ? რაში?

ივანოვი. არ ვიცი, არ ვიცი...

საშა. ეგ რა პასუხია? თუ შესცოდე, უნდა იცოდე, რა შესცოდე. ყალბი ფული მოჭერი?

ივანოვი. ნეტავი შენ, ხუმრობის თავი გაქვს?

საშა. იქნებ იმაში ხარ დამნაშავე, რომ ცოლზე გული აიცრუე? რა შენი ბრალია? ადამიანის გრძნობა მის ნება-სურვილს არ ემორჩილება. შენ ეს არ გინდოდა... ან იქნებ დამნაშავე ხარ, რომ შენმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცოლმა დაგვინახა, როცა სიყვარულს გიხსნიდი? ესეც შემთხვევით მოხდა, შენ ეს არ გინდოდა.

ივანოვი. *(შეაწყვეტინებს.)* და ასე შემდეგ, ასე შემდეგ... შეიყვარე, გული აიცრუე, ადამიანის გრძნობა მის ნება-სურვილს არ ემორჩილება... ეს სულ ლიტონი სიტყვებია, გაცვეთილი ფრაზები და საქმეს არ შველის!

საშა. მომქანცველია შენთან ლაპარაკი. *(კედელზე გაკრულ სურათს მიაჩერდება.)* ეს ძაღლი ნატურიდანაა დახატული?

ივანოვი. ჰო, ნატურიდანაა... ჩვენი რომანიც ცარიელი სიტყვებია, განყენებული ცნებაა... იყო კაცი, რომელსაც ნიადაგი გამოეცალა, სასოწარკვეთილებას მიეცა, მაგრამ მოვიდა ქალი — ახალგაზრდა და სულიერად ჯანსაღი, დახმარების ხელი გაუწოდა და წამოაყენა... ყოველივე ეს მარტო წიგნებშია დამაჯერებელი და ლამაზი, სინამდვილეში კი...

საშა. სინამდვილეშიც ასეა.

ივანოვი. რა კარგად იცნობ ცხოვრებას! ჩემი წუწუნი შენში მოკრძალებულ შიშს იწვევს, შენ გეჩვენება, თითქოს ჩემი სახით მეორე ჰამლეტი აღმოაჩინე? სინამდვილეში კი, მე რომ მკითხო, ეს ჩემი ფსიქოპათია თუ მელანქოლია მარტო დაცინვის ღირსია! ჩემს მანჭვა-გრეხას რომ უყურებ, სიცილით უნდა კვდებოდე, შენ კი, არიქა, კაცი იღუპებაო, გაიძახი და ჩემს დასახმარებლად მორბიხარ, რადგან ერთი სული გაქვს, თავგანწირული, გმირული საქციელი ჩაიდინო და ქვეყანა გააკვირვო!.. ო, რა გულმოსული ვარ საკუთარ თავზე! ისეთი წინათგრძნობა მაქვს, ეს ჩემი დღევანდელი დაძაბული მდგომარეობა რაღაცით უნდა განიმუხტოს! ან გავტეხ რაღაცას, ანდა...

საშა. ჰოდა, გატეხე რამე, დაამტვრიე ან დაიყვირე! ხომ გაბრაზდი, რომ სისულელე ჩავიდინე და მოვედი? გამლანძღე, დამტუქსე... რაღას უცდი?.. აბა, დაიწყე.

პაუზა.

ჰო, მიდი.

ივანოვი. *(გაულიმებს.)* რა სასაცილო ხარ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშა. შესანიშნავია! ჩვენ მგონი, უკვე ვიღიმებით? აბა, კეთილი ინებეთ, კიდევ ერთხელ გაიღიმეთ!

ივანოვი. *(იცინის.)* მე შევამჩნიე, ხომ იცი... ჩემს გადასარჩენად რომ მოვარდები და ჭკუის დარიგებას მიწყებ, ისეთი მიამიტი გამომეტყველება გაქვს და თვალის გუგები ისე გიფართოვდება, თითქოს კუდიან ვარსკვლავს უყურებდე... მოიცა, სახელო გაგსვრია. *(მტვერს ჩამობერტყავს.)* მიამიტი მამაკაცი იგივე სულელია, თქვენ კი, ქალებს, გულუბრყვილობა გიხდებათ კიდეც, რაღაცნაირად უფრო თბილი და ახლობელი ხდებით... ოღონდ ერთი რამ მაკვირვებს, სანამ მამაკაცი კარგად არის, ჯანმრთელი და ხალისიანი, თქვენ, ქალები, ყურადღებას არ აქცევთ, მაგრამ საკმარისია წაიბორძიკოს, სასოწარკვეთილებას მიეცეს, წუწუნი დაიწყოს და ხელად ყელზე ჩამოეკიდებით... განა ძლიერი და ჯანსაღი კაცის ცოლობა არ ჯობია მტირალა ბედოვლათის მოვლა-პატრონობას?

საშა. არ ჯობია.

ივანოვი. რატომ? *(გადაიხარხარებს.)* აფსუს, სადაა დარვინი, ქალებს შავ დღეს დაგაყრიდათ! თქვენ ხომ ადამიანის მოდგმას აუარესებთ! თქვენი წყალობით დედამიწაზე მალე მარტო ფსიქოპათები და ბუზღუნები დარჩებიან!

საშა. მამაკაცებს ბევრი რამ არ გესმით. ქალს, რასაკვირველია, ხელმოცარული კაცი უფრო მოეწონება, ვიდრე ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილი, რადგან ჩვენ მოქმედი სიყვარული გვხიბლავს, გესმის? ისეთი სიყვარული, ჩვენგან დიდ გარჯას რომ მოითხოვს. მამაკაცები საქმით ხართ გართული და სიყვარული თქვენთვის მეორეხარისხოვანი ამბავია. ცოლს დაელაპარაკებით, ერთი-ორჯერ ბაღში გაასეირნებთ, სასიამოვნო დროს გაატარებთ; მერე მის საფლავზე ცრემლს დაღვრით და ამით გათავდება ყველაფერი! ჩვენთვის კი სიყვარული მთელი სიცოცხლეა. მე შენ მიყვარხარ, მაშასადამე, ვოცნებობ, გაჭირვების დროს მხარში ამოგიდგე, გაგამხნევო, შენზე ვიზრუნო, სულ შენთან ვიყო. მთაზე ახვალ, იქ ამოგყვები, ორმოში ჩავარდები, ჩაგყვები... მაგალითად, იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, მთელი ღამე შენი ხელნაწერების გადათეთრებაში გამეტარებინა ან მძინარეს ყარაულად დაგდგომოდი, რომ მშვიდად გძინებოდა და არავის შეეწუხებინე! ან თუნდაც შენ გვერდით ასი ვერსი სულ ფეხით მევლო!.. მახსოვს, სამიოდე წლის წინ, კალოობაზე, ჩვენთან მოხვედი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთლად გამტვრიანებული, ოფლიანი, გატანჯული და ჭიქა წყალი ითხოვე. გამოგიტანე წყალი და რას ვხედავ — იქვე, შესასვლელში, დივანზე ჩამომჯდარხარ და ჩაგძინებია! დიდხანს გეძინა, თითქმის მთელი დღე-ღამე, მე კი ამ ხნის განმავლობაში სულ კარის უკან ვიდექი და შენს სიმშვიდეს ვდარაჯობდი. რა ბედნიერი ვიყავი, რომ იცოდე!.. სიყვარული მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდი გარჯა გაქვს მისთვის გაწეული. ესე იგი, უფრო მძაფრად განიცდი მაშინ...

ივანოვი. მოქმედი სიყვარული... ჰმ! უცნაური ახირებაა. ქალწულებრივი ფილოსოფიაა. თუმცა, შესაძლოა, მართლაც ასე იყოს... *(მხრებს აიჩეჩს.)* ეშმაკმა იცის. *(მხიარულად.)* ისე კი, შურა, გეფიცები, მართლა პატიოსანი კაცი ვარ! აბა, თვითონ განსაჯე, ფილოსოფოსობა ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში ერთხელ არ მითქვამს: „ჩვენი ქალები გარყვნილები არიან!“ ან „მავანი ქალი გზას აცდენილია-მეთქი“. მე მათდამი მხოლოდ უდიდესი მადლიერების გრძნობით ვიყავი გამსჭვალული! დიახ, ასეა. *(ალერსიანად.)* ჩემო გოგონა, ჩემო კარგო... როგორ მეცინება, რომ გიყურებ! ან მე თვითონ რა სასაცილო ვარ, არა? ღვთისნიერ ხალხს მოსვენებას არ ვაძლევ, სულ ვბუზღუნებ და ვტირი... *(იცინის.)* ვაი, ვაი, ვაი!.. *(სწრაფად მოსცილდება.)* წადი ახლა, წადი! ჩვენ ისევ დაგვავიწყდა, სად ვართ!

საშა. კარგი, წავალ... მშვიდობით! მეშინია, თქვენმა უპატიოსნესმა ექიმმა არ დამინახოს და თავისი ვალის მოსახდელად ანა პეტროვნასთან არ დამაბეზღოს!.. მომისმინე, რას გეტყვი... შენ ახლა შენს ცოლთან მიდი, გვერდით დაუჯექი და ფეხი არ მოიცვალო! იჯექი და იჯექი... ერთი წელი დასჭირდება — იჯექი, ათი დასჭირდება — ათი წელი იჯექი... შენი ვალი მოიხადე! თან იდარდე, საწყალ ქალს პატიება სთხოვე და იტირე, ბევრი იტირე... ასეა საჭირო... ოღონდ, რაც მთავარია, შენი საქმე არ დაგავიწყდეს!

ივანოვი. *(დაიღმიჭება.)* უცნაურია, მაგრამ ისევ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ძმარი დამელიოს.

საშა. აბა, შენ იცი! ღმერთი იყოს შენი შემწე. შეგიძლია, ჩემზე არ იფიქრო. ორ კვირაში ერთხელ თუ წერილს გამოგზავნი, მადლობელი ვიქნები. მე თვითონ ხშირად მოგწერ.

ოთახში ***ბორკინი*** *შემოიხედავს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

VIII

ივივენი და ***ბორკინი.***

ბორკინი. შეიძლება შემოვიდე? *(საშას დაინახავს.)* უკაცრავად, არაფერი დამინახავს! *(შემოდის.)* ბონჟურ! *(თავის დაკვრით ორივეს ესალმება.)*

საშა. *(შემცბარი.)* გამარჯობა...

ბორკინი. გასუქებულხართ, გალამაზებულხართ...

საშა. *(ივანოვს.)* წავედი, ნიკოლაი ალექსეევიჩ... ნახვამდის... *(გადის.)*

ბორკინი. სიზმარია თუ სინამდვილე? პროზისკენ მივილტვოდი და პოეზიას გადავაწყდი! *(ჩაიმღერებს.)* „გამომეცხადე, ვით საოცრება...“

ივანოვი აღელვებული ბოლთას სცემს.

(სავარძელში გამოიჭიმება.) ისე კი, Nicolas, ხომ იცი... ამ ქალში არის რაღაც ისეთი, რაც სხვებს არ გააჩნიათ... განსაკუთრებული რაღაც, ფანტასმაგორიული, ასე ვთქვათ... *(ამოოხვრით.)* ფაქტობრივად, ჩვენს მაზრაში ყველაზე მდიდარი საპატარძლოა... თუმცა, დედამისი ისეთი ბებერი ბოლოკია, მტრისას მისი დამოყვრება!.. მართალია, მისი სიკვდილის შემდეგ მთელი ქონება ქალიშვილს დარჩება, მაგრამ რა იცი, როდის მოკვდება?! არადა, მანამდე, ერთი ათას მანეთს მოგიგდებს, ორიოდე ლეიბსა და უთოს მოგაშავებს და თან მადლობით კი არ დაკმაყოფილდება — მუხლებში უნდა ჩაუვარდე და მიწას თავი უნდა ახალო! *(ჯიბეში იქექება.)* ხომ არ მოგვეწია? აქ სადღაც ლოს-დე-თუთუნოსი მქონდა... არ ინებებთ? *(სიგარას გაუწვდის.)* ჩინებული თუთუნია.

ივანოვი. *(მიეჭრება გაცეცხლებული.)* ახლავე დატოვეთ ჩემი სახლი, გესმით? აქ აღარ დაგინახოთ!

ბორკინი წამოდგება და სიგარა გაუვარდება ხელიდან.

ბორკინი. რა მოგვიდათ, Nicolas? რატომ მიბრაზდებით?

ივანოვი. ვინ მოგცათ ეგ სიგარები? განა არ ვიცი, სად დადიხართ ყოველ საღამოს ან იმ მოხუცს სად დაათრევთ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბორკინი. *(მხრებს აიჩეჩს.)* მერე, თქვენ რა გესაქმებათ?

ივანოვი. არამზადა ხართ, არამზადა! თქვენი თაღლითური პროექტების გამო მთელ მაზრაში თავი მომეჭრა და გარეთ ვერ გამოვსულვარ! მე და თქვენ საერთო არაფერი გვაქვს! მე გთხოვთ... მე მოვითხოვ, ახლავე, ამ წუთში დატოვოთ ჩემი სახლი!

ივანოვი აღელვებული დადის სცენაზე.

ბორკინი. თქვენ ახლა გაღიზიანებული ხართ და იმიტომ მიყვირით... მაინც არ მწყინს. მლანძღეთ, რამდენიც გინდათ. *(იატაკზე დავარდნილ სიგარას დასწვდება.)* მელანქოლია კი უნდა მოიშოროთ, გიმნაზისტი ხომ არა ხართ!

ივანოვი. რა გითხარით? *(კანკალებს.)* მოთმინებიდან ნუ გამომიყვანთ...

შემოდის ***ანა პეტროვნა.***

IX

იგივენი და ***ანა პეტროვნა.***

ბორკინი. აი, თქვენი მეუღლეც. მე წავედი. *(გადის.)*

ივანოვი მაგიდასთან გაჩერდება თავდახრილი.

ანა პეტროვნა. *(პაუზის შემდეგ.)* იმ ქალს აქ რა უნდოდა?

პაუზა.

მე გეკითხებით, იმ ქალს აქ რა უნდოდა?

ივანოვი. ნუ მეკითხები, ანიუტა...

პაუზა.

მე ვიცი, ძლიერ დამნაშავე ვარ... რა სასჯელიც გინდა, დამა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დე, ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ ნუ მეკითხები... ლაპარაკის თავი არა მაქვს...

ანა პეტროვნა. *(გაბრაზებით.)* იმ ქალს აქ რა უნდოდა, რა?!

პაუზა.

აჰ, გასაგებია... მაშ, აი, როგორი ყოფილხარ! ძლივს არ გავიგე, როგორი ხარ... უსინდისო, სულმდაბალი ადამიანი! გახსოვს, ხუთი წლის წინ რომ მოხვედი და მითხარი, მიყვარხარო? მე სულელმა დაგიჯერე. ყველაფერი მივატოვე და გამოგყევი... თურმე ტყუილი ყოფილა ყოველივე, რასაც მეუბნებოდი ჭეშმარიტებაზე, სიკეთეზე, შენს პატიოსან გეგმებზე... სულ ტყუილი ყოფილა! მე კი თითოეული შენი სიტყვა მჯეროდა!

ივანოვი. ანიუტა, მე შენთვის ტყუილი არასოდეს მითქვამს.

ანა პეტროვნა. ხუთი წელი გავატარეთ ერთად... მე ვიტანჯებოდი, ავად ვიყავი, მაგრამ მიყვარდი და ერთი წუთით არ გცილდებოდი. შენ ჩემი სათაყვანებელი კერპი იყავი და... რა აღმოჩნდა? თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალს მიხვევდი, ყოვლად უსინდისოდ მატყუებდი...

ივანოვი. ნუ ამბობ ამას, ნუ! მე ვცდებოდი, მაგრამ არასოდეს მომიტყუებიხარ!.. ამაში მაინც ნუ მადანაშაულებ!

ანა პეტროვნა. ახლა ყველაფერი გასაგებია... ცოლად იმიტომ მითხოვე, რომ გეგონა, მშობლები მაპატიებდნენ და ფულს მომცემდნენ...

ივანოვი. ო, ღმერთო ჩემო... ყოველგვარ მოთმინებას საზღვარი აქვს! *(ტირის.)*

ანა პეტროვნა. გაჩუმდი!.. მერე, უფულოდ რომ დარჩი, სხვა ხერხს მიმართე. მე ახლა ყველაფერი მესმის, კარგად მესმის... *(ტირის.)* არასოდეს გყვარებივარ, არა! არც ერთგული ყოფილხარ ჩემი.

ივანოვი. სარა, ეს მართალი არაა... რაც გინდა თქვი, მაგრამ ტყუილით მაინც ნუ შეურაცხმყოფ!

ანა პეტროვნა. უსინდისო, სულმდაბალი ადამიანი! ლებედევის ფული მართებს და ახლა ვალი რომ თავიდან აიცილოს, მის ქალიშვილს ეკურკურება... ასეა, ხომ? ისიც გინდა, ჩემსავით გაა-ბრიყვო?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ივანოვი. გაჩუმდი, ღვთის გულისთვის, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ. გაჩუმდი-მეთქი! ბოღმა მახრჩობს და შეიძლება შეურაცხყოფა მოგაყენო!

ანა პეტროვნა. სულ მუდამ ტყუოდი, ერთხელ არ გითქვამს მართალი... მარტო მე კი არა, მთელ ქვეყანას ატყუებდი... შენ მიერ წამოწყებულ ყველა უსინდისო საქმეს ბორკინს აბრალებდი, მაგრამ ახლა ვიცი, კარგად ვიცი, რა კაციც ხარ!

ივანოვი. სარა, გაჩუმდი... წადი აქედან, თორემ თავს ვერ შევიკავებ, რაღაცას გეტყვი და... ენის წვერზე მიტრიალებს ის საშინელი სიტყვა... გაჩუმდი-მეთქი, გაჩუმდი! *(ყვირის.)* გაჩუმდი, შე ურია, შენა!

ანა პეტროვნა. არ გავჩუმდები! ამდენ ხანს მატყუებდი და რა გამაჩუმებს!

ივანოვი. მაშ, არ გაჩუმდები? *(თავს ებრძვის.)* ღვთის გულისთვის!

ანა პეტროვნა. წადი ახლა და ლებედევის ქალი მოატყუე!

ივანოვი. კარგი... მაშ, იცოდე... შენ მალე მოკვდები, გესმის? ექიმმა მითხრა, მალე მოკვდებაო.

ანა პეტროვნა. *(უღონოდ დაეშვება სკამზე, მიმქრალი ხმით.)* როდის გითხრა?

პაუზა.

ივანოვი. *(თავში ხელს იტაცებს.)* ეს რა ვქენი, ღმერთო... ეს რა ჩავიდინე!.. დამნაშავე ვარ, სარა, მაპატიე! მაპატიე! *(ქვითინებს.)*

ფარდა

მესამე და მეოთხე მოქმედებებს შორის ერთი წელი გადის.

მოქმედება მეოთხე

სასტუმრო ოთახი ლებედევების სახლში. წინ თაღია, ოთახს რომ დარბაზთან აკავშირებს. მარჯვნივ და მარცხნივ ორი კარია. სასტუმრო მორთულია ძველებური ავეჯით, ბრინჯაოს ნივთებით, საგვარეულო პორტრეტებით და სხვა. პიანინოზე ვიოლინო დევს, იქვე კედელთან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩელო მიუყუდებიათ. მთელი მოქმედების განმავლობაში სასტუმროსა და დარბაზში საზეიმოდ ჩაცმული სტუმრები დასეირნობენ.

I

ლვოვი.

ლვოვი. *(შემოდის, საათს დახედავს.)* ხუთი საათი სრულდება. კურთხევა საცაა დაიწყება... დალოცავენ და ჯვრის დასაწერად წაიყვანენ... ესეც შენი სიკეთისა და სამართლის დღესასწაული! სარას გაძარცვა ვერ შეძლო, სული ამოხადა, ახლა სხვა მონახა, რომ ისიც გააბრუოს, გაძარცვოს და საწყალი სარასი არ იყოს, საიქიოში მიაბრძანოს!

პაუზა.

ალბათ, ცას ეწევა სიხარულით!.. მშვენივრად მოაგვარა თავისი საქმე. აწი მშვიდად იცხოვრებს ღრმა სიბერემდე... არა, ვაჟბატონო! ამ სიხარულს ჩაგიშხამებ! ნიღაბს რომ ჩამოგგლეჯ და ყველას დავანახვებ, რა კაცი ხარ, შენი მეშვიდე ციდან ისე დაეშვები ყირამალა და ისეთ ორმოში ჩავარდები, თვით სატანაც ვერ ამოგიყვანს! მე პატიოსანი კაცი ვარ და მოვალედ ვთვლი თავს, ამ საქმეში ჩავერიო, სიმართლეს გამოვექომაგო და ბრმებს თვალი ავუხილო! ჩემს ვალს მოვიხდი თუ არა, იმ წუთშივე დავტოვებ ამ წყეულ მაზრას! *(ჩაფიქრდება.)* კი მაგრამ, როგორ მოვიქცე? ლებედევებთან მოლაპარაკებას აზრი არა აქვს... იქნებ დუელში გამოვიწვიო? სკანდალი ავტეხო და წავეჩხუბო?.. ღმერთო ჩემო, პატარა ბიჭივით ვღელავ, ვერ მომისაზრებია... რა ვქნა, დუელში გამოვიწვიო?

II

ლვოვი და *კოსიხი.*

კოსიხი. *(შემოდის გახარებული. ლვოვს მივარდება.)* წუხელ პატარა შლემი გამოვაცხადე და ზედიზედ ორი ხელი მოვიგე! ოღონდ იმ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბარაბანოვმა ისევ აურია... ვეუბნები, უკოზიროდ ვთამაშობ-მეთქი, ის კი პასს აცხადებს!.. ორ ჯვრიანს ვაცხადებ, ის ისევ პასს!.. ორ აგურიანს ჩავდივარ სამ ჯვრიანზე და წარმოიდგინეთ... არა, თქვენ წარმოიდგინეთ: შლემს ვაცხადებ, იმას კი, თურმე, ტუზი ჰქონია და მიმალავს! მაგ უტვინოს ტუზი რომ ეჩვენებინა, დიდ შლემს გამოვაცხადებდი და...

ლვოვი. მაპატიეთ, მე ბანქოს არ ვთამაშობ და თქვენს მღელვარებას ვერ გავიზიარებ... მალე დაიწყებენ?

კოსიხი. მალე, ზუზუშკას ასულიერებენ. ტირის უბედური, მზითევი ენანება.

ლვოვი. თუ საკუთარი ქალიშვილი?

კოსიხი. მზითევი, მართლაც საწყენია: ჩაესიძება და ვალს აღარ გადაიხდის. სიძის თამასუქებს ხომ ვერ გაასაჩივრებენ.

III

იგივენი და ***ბაბაკინა.***

ბაბაკინა. *(შემოდის მდიდრულად ჩაცმული, ლვოვსა და კოსიხს მედიდურად გადახედავს. კოსიხი პირზე ხელს აიფარებს და ხითხითებს. ბაბაკინა ზიზღით შეხედავს.)* ტუტუცი.

კოსიხი მიეპარება, წელზე შეუღიტინებს და გადაიხარხარებს.

ხეპრე! *(გადის.)*

კოსიხი. *(იცინის.)* სულ გამოშტერდა ეს სულელი! სანამ მის ბრწყინვალებას არ უმიზნებდა, ქალი ქალად იყო, ჩვეულებრივი დედაკაცი, ახლა კი ვერ მიეკარები! *(გამოაჯავრებს.)* ხეპრე!

ლვოვი. მომისმინეთ... რა აზრისა ხართ ივანოვზე? ოღონდ გულახდილად მითხარით.

კოსიხი. კაპიკად არ ღირს, ყოვლად უმაქნისია! შარშან — არ მახსოვს, ყველიერზე იყო თუ დიდმარხვას, — სათამაშოდ დავსხედით: მე, ბორკინი და ეგა... ბანქოს მე ვარიგებდი...

ლვოვი. *(შეაწყვეტინებს.)* კარგი ადამიანია?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კოსიხი. ვინ, ივანოვი? ჯიბგირების ერთია! გაიძვერა! თაღლითი! რაღა ეგ და რაღა გრაფი — ყნოსვით გრძნობენ, სად რა ხეირია! იმ ურია ცოლს ხომ უმტყუნა? ახლა ზუზუშკას ზანდუკებს უმიზნებს. სანაძლეოს ვდებ, თუ ერთ წელიწადში ლებედევებსაც სამათხოვროდ არ გაუხადოს საქმე! ეგ ზუზუშკას გაფცქვნის, გრაფი — ბაბაკინას და იქნებიან არხეინად, დროს გაატარებენ!.. რაღაც გაფითრებული მეჩვენებით, ცუდად ხომ არა ხართ?

ლვოვი. არა, წუხელ დავლიე და მეტი მომივიდა.

IV

*იგივენი, **ლებედევი** და **საშა**.*

ლებედევი. *(შემოდის საშასთან ერთად.)* აქ ვილაპარაკოთ. *(ლვოვსა და კოსიხს.)* აბა, კაციჭამიებო, ბარიშნებთან დაბრძანდით, საიდუმლო გვაქვს.

კოსიხი. *(საშას ჩაუვლის და თითს გაატკაცუნებს.)* დახატულივით არის, კოზირის ქალია!

ლებედევი. გაიარე, ველურო, გაიარე!

__ლვოვი__ და __კოსიხი__ გადიან.

დაჯექი, შვილო... აი, ასე... *(თვითონაც ჩამოჯდება და მიმოიხედავს.)* გთხოვ, სათანადო ყურადღებითა და მოკრძალებით მომისმინოთ... საქმე შემდეგშია... დედაშენმა დამავალა გადმოგცე, გესმის? ჩემდათავად კი არ გეუბნები, დედაშენმა მიბრძანა.

საშა. მოკლედ თქვი, მამა!

ლებედევი. მზითევში, როგორც იცი, თხუთმეტი ათასი ვერცხლი გერგება, ჰოდა, მერე ლაპარაკი არ იყოს... მოიცა, ბოლომდე მომისმინე... ეს დასაწყისია, მთავარს ახლა გეტყვი... მაშ, თხუთმეტი ათასი მზითევია, მაგრამ ნიკოლაი ალექსეევიჩს დედაშენის ცხრა ათასი მართებს, ამიტომ თხუთმეტს ცხრა რომ გამოვაკლოთ... ერთი სიტყვით...

საშა. რად მეუბნები მაგას?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლებედევი. დედაშენმა დამავალა.

საშა. თავი გამანებეთ! არ მჭირდება თქვენი მზითევი! არასდროს მითხოვია და არც გთხოვთ!

ლებედევი. რას მიწყრები, შვილო, რა გითხარი ისეთი? გოგოლს უწერია, საიდანღაც ორი ვირთხა გამოძვრა, იქაურობა დასუნეს და გაეცალნენო... შენ კი, ჩემო განათლებულო, არც დაგისუნია, ისე მიჯავრდები!

საშა. თავი გამანებეთ! თქვენი კრიჟანგული ანგარიშიანობა ჩემს სმენას შეურაცხყოფს!

ლებედევი. ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა! თქვენ ბოლოს იქამდე მიმიყვანთ, ან ყელს გამოვიჭრი, ან ვიღაც შემომაკვდება! ის ოხერი დედაკაცი სულ ტირის, წუწუნებს, კაპიკებს ითვლის, ამას კი, ამ ჭკვიან კაცთმოყვარე, დასწყევლოს ღმერთმა, ემანსპირებულ ქალიშვილს, საკუთარი მამის არა ესმის რა! დამიხედეთ ერთი ამას! მე თურმე მის სმენას შეურაცხვყოფ. იცი თუ არა, რომ სანამ აქ, შენთან მოვიდოდი და შენს სმენას შეურაცხვყოფდი, იქ *(კარისკენ მიუთითებს.)* სულ ნაკუწ-ნაკუწ ამქნეს, ჯვარს მაცვეს, სული ამომხადეს!.. არ ესმის, არა! არაფრის გაგება არ უნდა! ეს საწყალი კაცი სულ გამომაშტერეს... ჯანდაბას თქვენი თავი! *(ადგება და მიდის, შეჩერდება.)* არ მომწონს, არა!

საშა. რა არ მოგწონს?

ლებედევი. ყველაფერი!

საშა. მაინც?

ლებედევი. ყველაფერი! ჰო, ყველაფერი!.. მათ შორის შენი ქორწილიც! *(საშას მიუახლოვდება, ალერსიანად.)* მაპატიე, შვილო... იქნებ ეს ქორწილი გონივრულიც იყოს, ამაღლებულიც, პრინციპულიც, მაგრამ... ის არ არის, რაც უნდა იყოს, არა! სხვა ქორწილებს არ ჰგავს. შენ ახალგაზრდა ხარ, ლამაზი, სუფთა, ის კი ცხოვრებისგან ნათრევი, გაცვეთილი და ქვრივი კაცია... არ მესმის მისი და რა ვქნა?! *(საშას კოცნის.)* მაპატიე, შვილო, მაგრამ ამაში რაღაც სიბინძურე ურევია. ხალხიც ათას რაღაცას ამბობს. აქაოდა, როგორ მოხდაო, რომ ის ურია ქალი მოკვდა თუ არა, ახალი ცოლის მოყვანა გადაწყვიტაო... *(კილოს შეიცვლის.)* თუმცა შენ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემს ყბედობას ყურს ნუ უგდებ! დედაკაცივით გავხდი, ჭორიკანებს ავყევი... ნუ მისმენ, ნუ! ნურავის დაუჯერებ, შენი ჭკუით მოიქეცი.

საშა. მამა... მე თვითონაც ვგრძნობ, რომ ეს ის არ არის, რაც უნდა იყოს... რა დღეში ვარ, რომ იცოდე! მამა, მამა! მრცხვენია კიდეც და მეშინია ამის თქმა, მაგრამ... გამამხნევე, თუ ღმერთი გწამს, მასწავლე, როგორ მოვიქცე.

ლებედევი. რაო, რა თქვი?

საშა. მეშინია... არასოდეს ასე არ მშინებია... *(მიმოიხედავს.)* მეც არ მესმის მისი, სრულებით არ მესმის და, ალბათ, ვერასოდეს გავუგებ... მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც დანიშნული ვარ, ერთხელ არ გაულიმია ჩემთვის, არც თვალი გაუსწორებია... დარდობს რაღაცას, ჩივის, სულ თავის დანაშაულზე ლაპარაკობს... დავიღალე, მამა. ზოგჯერ მგონია, აღარ მიყვარს ისე, როგორც უნდა მიყვარდეს! თან აქ რომ მოდის და მარტონი ვრჩებით, საშინლად მწყინდება მასთან ყოფნა... რას ნიშნავს ეს, მამიკო, ამიხსენი? მეშინია!

ლებედევი. ჩემო ანგელოზო... ჩემო ერთადერთო... დაუჯერე შენს ბებერ მამას, უარი უთხარი!

საშა. რას ამბობ, მამა?!

ლებედევი. ჰო, შვილო, უარი უთხარი! მართალია, ალიაქოთი ატყდება, მთელი მაზრა აყაყანდება, მაგრამ, განა არ ჯობია ერთხელ გაუძლო აყალმაყალს, ვიდრე მთელი ცხოვრება ინანო და უბედური იყო?

საშა. ნუ ამბობ მაგას, მამა, ნუ! მოსმენაც არ მინდა. ამაზე არც უნდა ვიფიქრო... ის კარგი კაცია. რა ვუყოთ, რომ უბედურია და უცნაური, უნდა გავუგო, კიდევ უფრო შევიყვარო და ფეხზე დავაყენო! მე მაინც შევასრულებ ჩემს განზრახვას, ეს გადაწყვეტილია!

ლებედევი. ეგ განზრახვა კი არა, სიგიჟეა!

საშა. კმარა, მე გითხარი ის, რასაც საკუთარ თავს არ გავუმხელდი. გაფიცებ ყველაფერს, არავისთან წამოგცდეს! დავივიწყოთ, რაც ვთქვი!

ლებედევი. არაფერი მესმის. ან მე დავბერდი და გამოვტვინდი, ანდა თქვენ, ყველანი, ისეთი ჭკვიანები გახდით, რომ, ღმერთო, მომკალი და... აღარაფერი გამეგება!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

V

იგივენი და ***შაბელსკი.***

შაბელსკი. *(შემოსვლისთანავე.)* ეშმაკსაც წაუღია ყველა და ყველაფერი! ეს აღმაშფოთებელია!

ლებედევი. რაშია საქმე? რა გინდა?

შაბელსკი. არა, სერიოზულად... აი, ავიღებ და ჩემს თავს ისეთ სისაძაგლეს გავუკეთებ, რომ ყველას გული აგერიოთ! აი, ნახავ! პატიოსან სიტყვას გაძლევ! მე უკვე ბორკინს ვუთხარი, დღესვე სასიძოდ გამომაცხადებს! *(იცინის.)* თქვენ თუ ნაძირალები ხართ, თქვენზე ნაკლები ვარ?!

ლებედევი. როგორ მომაბეზრე თავი, მატვეი... შენ იმდენს იყბედებ, რომ ბოლოს, მაპატიე ამ გამოთქმისთვის, და ყვითელ სახლში მიგაბრძანებენ.

შაბელსკი. ყვითელი სახლი, ვითომ რა, სხვა სახლებზე უარესია? ინებეთ, ბატონო! მოწყალება მოიღეთ და ახლავე წამაბრძანეთ! მადლობასაც გეტყვით! ამისთანა მაიმუნებს, აქ რომ ვხედავ, იქ მაინც ვერ ვნახავ! თაღლითებისა და უტვინო არამზადების ხელში ვარ. თანაც მეზიზღება ჩემი თავი, არც ერთი ჩემი სიტყვა არ მჯერა!

ლებედევი. იცი, რა ქენი? პირში ძენძი ჩაიდე, ცეცხლი წაუკიდე და ხალხს მიახრჩოლე! ან უკეთესს გეტყვი: ქუდი დაიხურე და შინ მიბრძანდი! აქ, ძმაო, ქორწილია, ხალხი მხიარულობს, შენ კი, „ყვაა-ყვაა“ — ყორანივით თავზე დაგვჩხავი! ჰო, მართლა, შინ წადი.

შაბელსკი პიანინოს შუბლით დაეყრდნობა და ტირის.

მატვეი! რა მოგვიდა, ძმაო? გაწყენინე? მაპატიე, ძვირფასო!.. მაპატიე, მე ლოთს... აი, წყალი მოსვი...

შაბელსკი. არ მინდა. *(თავს ასწევს.)*

ლებედევი. რა გატირებს?

შაბელსკი. არაფერი, ისე...

ლებედევი. არა, ძმაო, ნუ ტყუი... რატომ ტირი? რა მიზეზია?

შაბელსკი. აგერ, ამ... ამ ჩელოს შევხედე და ის საწყალი ებრაელი ქალი გამახსენდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლებედევი. აბა, რა დროს იმის ხსენებაა? ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს და იმაზე ლაპარაკი ახლა უხერხულია...

შაბელსკი. ერთად ვუკრავდით ხოლმე... დუეტად... შესანიშნავი ქალი იყო, საკვირველი...

საშა აქვითინდება.

ლებედევი. შენ რაღა გატირებს? კარგი, გაჩუმდი. ეს რა ხალხია, ღმერთო? ერთიც ტირის, მეორეც... გარეთ მაინც გადით, სტუმრებმა არ დაგინახონ.

შაბელსკი. პაშა, ძვირფასო... მზიან ამინდში სასაფლაოც კი მხიარული ჩანს... იმედი რომ აქვს კაცს, სიბერეც ტკბილია... მე კი ერთი იმედიც არ დამრჩა!

ლებედევი. მართალია, უბედური კაცი ხარ. არც მემკვიდრე გყავს, არც ფული, საქმესაც არ ადგახარ... რას იზამ, ეგეთი ბედი გქონია. *(საშას.)* კარგი ახლა, გაჩუმდი! შენ რაღა გატირებს?

შაბელსკი. პაშა, მეგობარო... ფული მომეცი. მართალია, ვერ დაგიბრუნებ, მაგრამ იმ ქვეყნად გავსწორდებით... პარიზში წავალ, ცოლის საფლავს მოვინახულებ, ჩემს სიცოცხლეში რაც მე ფული გამიჩუქებია... ნახევარი ქონება ნაცნობ-მეგობრებს დავურიგე. უფლება მაქვს გთხოვო, მით უმეტეს, ჩემი მეგობარი ხარ...

ლებედევი. *(დაიბნევა.)* რა ვქნა, ძვირფასო, კაპიკი არ გამაჩნია... თუმცა, მოიცა... ჰო, კარგი, კარგი. ვერაფერს დაგპირდები, მაგრამ რაღაცას მოვიფიქრებ... გესმის? რაღაცას აუცილებლად მოვიფიქრებ... *(თავისთვის.)* შემიკლეს!

VI

იგივენი, ***ბაბაკინა*** *და შემდეგ* ***ზინაიდა სავიშნა.***

ბაბაკინა. *(შემოდის.)* ჩემი კავალერი რა იქნა? *(გრაფს.)* გრაფ, რატომ დამტოვეთ? არ გრცხვენიათ, საზიზღარო?! *(მკლავზე მარაოს შემოჰკრავს.)*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შაბელსკი. *(სიძულვილით.)* თავი დამანებეთ! მე თქვენ მეზიზღებით!

ბაბაკინა. *(გაოგნებული.)* რაო?

შაბელსკი. მომცილდით!

ბაბაკინა. *(სავარძელში ჩაესვენება.)* აჰ! *(ტირის.)*

ზინაიდა საგიშნა. *(შემოდის ატირებული.)* კართან ეტლი გაჩერდა, სასიძოს მაყარია... ალბათ, პატარძალი უნდა დავლოცოთ...

ქვითინებს.

საშა. *(მუდარით.)* დედა!

ლებედევი. მიდით, მიდით... აბა, ყველამ ერთხმად! კვარტეტია?! გეყოთ ცრემლის ღვრა! მატვეი! მარფა ეგოროვნა! ასე ხომ მეც... მეც ამატირებთ. *(ტირის.)* ღმერთო დიდებულო!

ზინაიდა საგიშნა. *(საშას.)* დედაშენი თუ მოიძულე, აღარავის თუ არ უჯერებ... გაღირსებ მაგ სიამოვნებას, დაგლოცავ...

მოულოდნელად შემოდის **ივანოვი.** *ფრაკი აცვია, თეთრი ხელთათმანები უკეთია.*

VII

იგივენი და **ივანოვი.**

ლებედევი. ესლა გვაკლდა!

საშა. შენ აქ რა გინდა? რატომ მოხვედი?

ივანოვი. უკაცრავად, ბატონებო. ნება მომეცით, საშას პირისპირ მოველაპარაკო.

ლებედევი. ეგ რა წესია? ჯვრისწერამდე პატარძალთან მისვლა არ იქნება. შენ ახლა ეკლესიაში უნდა იყო!

ივანოვი. პაშა, მე გთხოვთ...

ლებედევი *მხრებს აიჩეჩს და გავა.*
მას მიჰყვებიან **ზინაიდა საგიშნა** *და* **ბაბაკინა.**

www.PDF.ChiaturaINFO.GE

VIII

ივანოვი და *საშა.*

საშა. *(უკმაყოფილოდ.)* რა გინდა?

ივანოვი. ბოლმა მახრჩობს... არ შემიძლია დამშვიდებით ლაპარაკი... მომისმინე. ეს წუთია, ქორწინებისთვის ვემზადებოდი, სარკეში ჩავიხედე და ჩემს საფეთქლებზე ჭაღარა შევამჩნიე. შურა, არ გვინდა, რა! სანამ გვიანი არ არის, შევწყვიტოთ ეს კომედია. შენ ახალგაზრდა ხარ, სუფთა, ცხოვრების გზა გასავლელი გაქვს. მე კი...

საშა. ეგ ათასჯერ მომისმენია, მომბეზრდა უკვე. წადი ახლა ეკლესიაში, ხალხს ნუ აჩერებ.

ივანოვი. ეკლესიაში კი არა, შინ წავალ. შენ კი თქვენებს გამოუცხადე, რომ ქორწილი არ შედგება. აუხსენი როგორმე. დროა, გონს მოვიდეთ. მე ცოტა წავიჰამლეტე, შენ სულით ამაღლებული, თავგანწირული ქალიშვილის როლი ითამაშე და — კმარა, გავათავოთ!

საშა. *(შეურაცხყოფილი.)* როგორ მელაპარაკები? მე არ გისმენ.

ივანოვი. მე კი მაინც გეტყვი და მომისმინე!

საშა. აქ რატომ მოხვედი? შენი წუწუნი გინდა გამაგონო? ან იქნებ დამცინი?

ივანოვი. წუწუნიო? არა, ეს წუწუნი არ არის. დაცინვით კი, დიახაც, ვიცინი, ოღონდ შენ კი არა, საკუთარ თავს დავცინი და რომ შემეძლოს, უფრო მეტადაც დავცინებდი, ისე, რომ მთელი ქვეყნის სამასხარაო და თითით საჩვენებელი გავხდე... დავინახე, თუ არა სარკეში ჩემი თავი, ჩემს სინდისში თითქოს ყუმბარა გასკდა, გამეცინა და სირცხვილისგან კინაღამ გადავირიე! *(იცინის.)* მელანქოლია! კეთილშობილი სევდა! ანგარიშმიუცემელი ნაღველი!.. ისღა მაკლია, ახლა ლექსების წერაც დავიწყო! ვიწუწუნო, ყველას თავი შევაბრალო, ყველა და მათ შორის ჩემი თავიც დავარწმუნო, რომ უკვე აღარაფრად ვვარგივარ, ობი მომეკიდა, ნებისყოფა დავკარგე და ყელამდე ჩაფლული ვარ ამ საზიზღარ მელანქოლიაში, — თან ყოველივე ეს ვიცოდე, შეგნებული მქონდეს მაშინ, როცა ქვეყანას მზე ანათებს და თვით ჭიანჭველაც კი, შინისაკენ ტვირთს რომ მიათრევს, თავისი ბედით კმაყოფილია?! არა, ნურას უკაცრავად, ამაზე ვერ დავთანხმდები! ან როგორ უნდა შეურიგდეს კაცი იმას, როცა ერთნი მას თაღლითად თვლიან, მეორენი სიბრალულით უყურებენ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მესამენი დახმარებას სთავაზობენ, მეოთხენი კი — რაც ყველაზე უარესია, — მოწიწებით უსმენენ მის ოხვრა-კვნესას, ახალ მუჰამადად რაცხავენ და წუთი-წუთზე მისგან ახალი სარწმუნოების გამოცხადებას მოელიან... არა, მადლობა ღმერთს, სიამაყე და სინდისი კიდევ შემრჩენია! აქეთ რომ მოვდიოდი, სულ დავცინოდი ჩემს თავს და ასე მეგონა, ჩემთან ერთად ჩიტებიცა და ხეებიც იცინოდნენ!

საშა. ეგ ბოლმა კი არა, სიგიჟეა!

ივანოვი. ასე ფიქრობ? არა, შურა, მე გიჟი არა ვარ. მე ახლა ყველაფერს უკეთესად ვხედავ და ჩემი აზრი ისეთივე სუფთაა, როგორიც შენი სინდისი... ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ ჩვენი შეუღლება არ იქნება. მე თვითონ შემიძლია, რამდენიც მინდა, ვიგიჟო, ვიმწუხარო, მაგრამ სხვისი დაღუპვის უფლება არა მაქვს! ჩემი გაუთავებელი ბუზღუნით ჩემს ცოლს სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გავუმწარე. სანამ ჩემი საცოლე იყავი — არ ვიცი, შეამჩნიე თუ არა, — შენ თითქმის სიცილს გადაეჩვიე და რამდენიმე წლით დამიბერდი კიდეც... მამაშენი, ვისაც ცხოვრება ასე კარგად ესმოდა, ჩემი წყალობით მთლად დაიბნა და ადამიანური სიტყვა აღარ ესმის. სადაც უნდა წავიდე — თავყრილობა იქნება, წვეულება თუ ნადირობა, — ყველგან მოწყენილობა, დაბნეულობა და უკმაყოფილება შემაქვს... მოიცა, ნუ მაწყვეტინებ!.. ახლა უხეში ვარ, მკაცრი და აღრენილი, მაგრამ ბრაზი მახრჩობს და სხვანაირად ლაპარაკი არ შემიძლია. ჩემს სიცოცხლეში ტყუილი არასოდეს მითქვამს, არც ცხოვრება მიგინებია უმიზეზოდ, მაგრამ ახლა ბუზღუნა გავხდი, ჩემდა უნებურად, — თვითონაც ვერ ვამჩნევ, როგორ ხდება, სულ ცხოვრების გინებაში ვარ, სულ ბედს ვუჩივი, ვიწყევლები და ყველა, ვინც მისმენს, ჩემსავით ბუზღუნა და ცხოვრების უმიზეზოდ მაგინებელი ხდება... თან, თუ შეამჩნიე, თავი როგორ მიჭირავს? თითქოს ქვეყანას ჩემს არსებობას ვამადლიდე!.. ეშმაკსაც წაუღია ჩემი თავი!

საშა. მოიცა, მოიცა... შენი ნათქვამიდან გამოდის, თითქოს ბუზღუნი უკვე მოგბეზრდა და ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებ. მაგას რა ჯობია!

ივანოვი. არაფერიც არ გამოდის! როგორ თუ ახალი ცხოვრება? მე დაღუპული კაცი ვარ, გესმის, დაღუპული! დროა, ორივემ შევიგნოთ ეს!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშა. გონს მოდი! რატომ გგონია, რომ დაღუპული ხარ? ეს რა ცინიზმია? ლაპარაკიც არ მინდა შენთან. ეკლესიაში წადი!

ივანოვი. დაღუპული ვარ, დაღუპული!

საშა. ნუ ყვირი, სტუმრები გაიგონებენ!

ივანოვი. როცა საკმაოდ გონებაგახსნილი, განათლებული და ჯანმრთელი ადამიანი მოულოდნელად, თითქოს ყოველგვარი ხილული მიზეზის გარეშე, უცებ წუწუნს დაიწყებს და ცხოვრების ფსკერისკენ დაექანება, მას ველარაფერი შეაჩერებს და მისი გადარჩენა შეუძლებელია! აბა, მითხარი, რამ უნდა მიხსნას ამ მდგომარეობისგან? ლოთობა მე არ შემიძლია — არაყი თავს მტკენს. ცუდი ლექსების წერა არ მეხერხება. მაშ, რა ვქნა? ჩემი სულიერი სიზარმაცე გავაღმერთო და რაღაც განსაკუთრებულ, ღვთაებრივ ნიჭად ჩავთვალო? ამას ვერ ვიზამ. სიზარმაცე — სიზარმაცეა, სისუსტე — სისუსტეა და მათ სხვა სახელწოდება არ მოეძებნება... მოკლედ, წასულია ჩემი საქმე. ამას ლაპარაკიც არ უნდა. *(მიმოიხედავს.)* აქ შეიძლება ხელი შეგვიშალონ... მომისმინე. თუ გიყვარვარ, ახლავე უნდა გახვიდე შენს მშობლებთან, სტუმრებთან და ჩემთან შეუღლებაზე უარი განაცხადო!

საშა. ოჰ, ნიკოლაი... როგორ დამღალე, რომ იცოდე! ჭკვიანი კაცი ხარ, გულისხმიერი და აბა, მითხარი, შეიძლება ასე, სულ ახალ და ახალ ამოცანებს რომ მაძლევ ამოსახსნელად? დღე არ გავა, რაიმე თავსატეხი არ გამიჩინო. ღმერთო ჩემო, მე სულ სხვა, მოქმედ სიყვარულზე ვოცნებობდი! ეს ხომ ტანჯვაა და არა სიყვარული!

ივანოვი. ჰოდა, ჩემი ცოლი რომ გახდები, უფრო რთული ამოცანების ამოხსნა მოგიწევს... უარი უნდა თქვა ჩემს ცოლობაზე, გესმის? შენ ახლა მარტო პატიოსანი ქალის სიჯიუტე გალაპარაკებს და არა სიყვარული. მაინცდამაინც ჩემი გადარჩენა გინდოდა! თავგანწირული საქციელი გსურდა ჩაგედინა და ამით საკუთარი თავმოყვარეობა დაგეკმაყოფილებინა... ახლა თვითონვე შზად ხარ უკან დაიხიო, მაგრამ ცრუ გრძნობა გაჩერებს.

საშა. რა უცნაური გიჟური ლოგიკაა! აბა, როგორ მიგატოვო?! სულ მარტოხელა ხარ, არც დედა გყავს, არც დები, არც მეგობრები, ფულიც არა გაქვს. შენი მამული გაპარტახებულია, ხალხიც ათასნაირ ცილს გწამებს...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ივანოვი. სისულელე მომივიდა, აქ რომ მოვედი. ჩემებურად უნდა გამეკეთებინა...

შემოდის ***ლებედევი.***

IX

იგივენი და ***ლებედევი.***

საშა. *(მამისკენ გაექანება.)* მამა, თუ ღმერთი გწამს, გააგებინე რამე! გიჟივით მოვარდა და გინდა თუ არა, ჩემს ცოლობაზე უარი თქვიო! აუხსენი ამ კაცს, რომ მისი დიდსულოვნება სრულებით არ მჭირდება! მე თვითონ ვიცი, რასაც ვაკეთებ!

ლებედევი. არ მესმის... რომელ დიდსულოვნებაზე ლაპარაკობ?

ივანოვი. ქორწილი არ შედგება.

საშა. შედგება! მამა, უთხარი, რომ ქორწილი შედგება!

ლებედევი. მოიცა, მოიცა... რატომ არ გინდა იქორწინო?

ივანოვი. მე უკვე ავუხსენი შენს შვილს, მაგრამ არ სურს გაიგოს.

ლებედევი. მაგას კი არა, მე ამიხსენი! თან ამიხსენი ისე, რომ გავიგო! ეჰ, ნიკოლაი ალექსეევიჩ! ღმერთი იყოს თქვენი მსაჯული, ისე აგვირიე ცხოვრება, ასე მგონია, ჭურში ვზივარ, აღარაფერი მესმის, ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს?! ღმერთო დიდებულო! აბა, მითხარი, რა ვქნა ახლა? როგორ მოვიქცე? ამ სიბერის ჟამს დუელში გამოგიწვიო?

ივანოვი. დუელი რა საჭიროა? ადამიანს ჭკუა უნდა ჰქონდეს და რუსული ენა ესმოდეს.

საშა. *(აღელვებული დადის სცენაზე.)* ეს საშინელებაა, საშინელება! პირდაპირ ბავშვივით მსჯელობს!

ლებედევი. ისღა დამრჩენია, ხელები გავშალო... მომისმინე, ნიკოლაი — შენ ახლა ბგონია, გონივრულად იქცევი, როგორც კარგი ფსიქოლოგი და გულისხმიერი პიროვნება. ჩემი აზრით კი ეს უბედურება და სამარცხვინო ამბავია! ყური მიგდე მოხუც კაცს, უკანასკნელად მაინც მომისმინე... იცი, რას გეტყვი? გონება დაიმშვიდე. უბრალოდ შეხედე შექმნილ ვითარებას და ისე მოიქეცი, როგორც სხვები იქცევიან... ამქვეყნად ყველაფერი მარტივია. ჭერი თეთრია, ჩექმა შავია, შაქარი ტკბილია... შენ და სა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შას ერთმანეთი გიყვართ. ჰოდა, თუ მართლა გიყვარს ჩემი შვილი, დარჩი, თუ არა და, წადი. საყვედურს არავინ გეტყვის. ხედავ, რა უბრალოდ ყოფილა საქმე? ორივეს ჯანმრთელობა არ გაკლიათ, ღმერთმა ჭკუაც დაგაბერტყათ. სინდისიერიც ხართ... მადლობა ღმერთს, არც გშიათ, არც გწყურიათ... მეტი რა გინდა, ფული არა გაქვს? დიდი ამბავი! განა ფულშია ბედნიერება? რასაკვირველია, მე მესმის... შენი მამული დაგირავებულია, სარგებლის გადახდის საშუალება არ გაგაჩნია, მაგრამ მე ხომ მამა ვარ... შენი მდგომარეობაც მესმის... დედამისმა რაც უნდა ქნას, ჯანდაბას მისი თავი! ფულს არ გაძლევთ? არცაა საჭირო. აი, ჩემი შვილი ამბობს, მზითევი არ მინდაო... პრინციპები, შოპენჰაუერი... სისულელეა ყველაფერი! მე, აგერ ბანკში ათი ათასი მიდევს, ჩემი საკუთარი ფულია!.. *(მიმოიხედავს.)* ჩვენს ოჯახში ეს არავინ იცის! დედაჩემის დანატოვარია... ჰოდა, თქვენ გქონდეთ ის ფული! წაიღეთ და მოიხმარეთ, ოღონდ ერთი პირობით: მატვეის ორი ათასი უნდა მისცეთ...

დარბაზში ***სტუმრები*** *შემოდიან.*

ივანოვი. მოვრჩეთ ამაზე, პაშა... მე ისე მოვიქცევი, როგორც სინდისი მიკარნახებს.

საშა. მეც ისე მოვიქცევი, როგორც სინდისი მიკარნახებს. არსადაც არ გაგიშვებ! წავალ, დედას დავუძახებ... *(გადის.)*

X

ივანოვი *და* ***ლებედევი.***

ლებედევი. არ მესმის! მომკალი და არ მესმის!

ივანოვი. მომისმინე, საწყალო კაცო, შენ ახლა იმის მტკიცებას არ დაგიწყებ, პატიოსანი ვარ თუ უსინდისო, გიჟი ვარ თუ ნორმალური... ახალგაზრდობაში ფიცხიც ვიყავი, გულწრფელიც და ჭკვიანიც. მიყვარდა, მძულდა და მჯეროდა რაღაცის, ოღონდ არა ისე, როგორც სხვებს. ათი კაციისოდენას ვშრომობდი, ვოცნებობდი, ქარის წისქვილებს ვეომებოდი, შუბლით კედლის განგრევას ვცდილობდი და... ძალა ვერ მოვზომე. ანგარიშმიუცემლად, გრძნობას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აყოლილმა, უსაშველოდ მძიმე ტვირთი ავიკიდე და წელი მომწყდა! ხერხემალი გადამიტყდა, გესმის? სულ მეჩქარებოდა, სანამ ახალგაზრდა ვიყავი, ყველაფერი მინდოდა მომესწრო, მთვრალივით აღგზნებული, თავდაუზოგავად ვმუშაობდი და... მითხარი ახლა, განა შემეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავი! ჩვენ ხომ ასე ცოტანი ვართ, საქმეს კი რა გამოლევს? ღმერთო, რამდენი საქმეა გასაკეთებელი! ჰოდა, მეც ვებრძოდი ცხოვრებას, ვეჭიდებოდი და ხედავ, ბოლოს რა სასტიკად დავისაჯე? წელი მომწყდა! ცხოვრებამ სამაგიერო გადამიხადა!.. ჯერ ოცდაათი წლისა ვარ და უკვე ნაბახუსევს ვგავარ, დავბერდი, საშინაო ხალათი მაცვია და ფლოსტებით დავიარები! თავის ტკივილით გატანჯული, სულიერად დაღლილი და გაზარმაცებული, ურწმუნოებით მოშხამული, უსიყვარულოდ და უმიზნოდ დავძრწივარ ადამიანთა შორის და თვითონაც ვერ გამიგია: ვინ ვარ, რისთვის ვარსებობ ან რა მინდა? სიყვარული უკვე სისულელე მგონია, ალერსი გულს მირევს, შრომა უნაყოფოდ მიმაჩნია და არც სიმღერის, არც მგზნებარე სიტყვების მოსმენა არ შემიძლია, რადგან ყველაფერი ყალბი მგონია... და ყველგან — სადაც მივდივარ, თან ჩემი შავი ნაღველი, მოწყენილობა, უკმაყოფილება და ცხოვრების გაუნელებელი ზიზღი მიმაქვს... დავიღუპე, პაშა, ნამდვილად დავიღუპე! შენ წინაშე ახლა ცხოვრებაზე ხელჩაქნეული, გულაცრუებული და ყოვლად უმნიშვნელო, ყოველდღიური საქმეებით გასრესილი ადამიანია. იგი სირცხვილით იწვის, თავის სისუსტეს თვითონვე დასცინის, მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ პოულობს... შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ იტანჯება ჩემი შელახული თავმოყვარეობა, ჩემი სიამაყე... ო, რა გაბრაზებული ვარ, როგორ მძულს ჩემი თავი! *(წაბარბაცდება.)* ხედავ, სადამდე მივედი: ფეხზეც ვერ ვდგავარ... დავსუსტდი, პაშა... ბიძაჩემს დაუძახეთ, შინ წამიყვანოს.

დარბაზში ვიღაც დაიძახებს: „სასიძოს ხელისმომკიდე მოვიდა!

XI

*იგივენი, **შაბელსკი, ბორკინი** და შემდეგ **ლვოვი** და **საშა**.*

შაბელსკი. *(შემოსვლისთანავე.)* მართლაც რას ვგავარ, სხვის ნახმარ ფრაკში გამოწყობილი, უხელთათმნოდ... ღმერთო ჩემო, ყვე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლას დასაცინი გავხდი! საითაც გავიხედავ, რაღაცას ჩურჩულებენ, ოხუნჯობენ, იღიმებიან... საზიზღარი კაცუნები!

ბორკინი. *(სწრაფად შემოდის თაიგულით ხელში. ფრაკშია გამოწყობილი და მკერდზე მაყრობის ნიშანი — თეთრი ვარდი უბნევია.)* უჰ, მოვკვდი კაცი! ნეფე სადღაა, ნეფე? *(ივანოვს.)* უყურეთ ამას! ეკლესიაში რა ხანია ელოდებიან, ეს კი აქ ფილოსოფოსობს!.. თქვენ ხუმარა ხართ, ხომ იცით?! არა, მართლა ხუმარა ხართ!.. აქ რატომ მოხვედით? განა არ იცით, რომ პატარძალი ეკლესიაში მე უნდა მივიყვანო? ნუთუ ამდენი არ გესმით?

ლვოვი. *(შემოდის, ივანოვს.)* აჰ, აქ ბრძანდებით... *(ყველას გასაგონად.)* მოწყალეო ხელმწიფევ! ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ თქვენ არამზადა ხართ!

ივანოვი. *(ცივად.)* უმორჩილესად გმადლობთ.

საერთო შეშფოთება, ჩოჩქოლი.

ბორკინი. *(ლვოვს.)* მოწყალეო ხელმწიფევ, ეს სიმდაბლეა! მე თქვენ დუელში გიწვევთ!

ლვოვი. თქვენთან დუელი კი არა, ლაპარაკიც დამამცირებლად მიმაჩნია. ბატონ ივანოვს კი, თუ მოისურვებს, შეუძლია ახლავე გამისწორდეს.

შაბელსკი. *(ლვოვს.)* მოწყალეო ხელმწიფევ, დუელში მე გიწვევთ! დიახ!

საშა. *(ლვოვს.)* რისთვის, რისთვის? გამაგებინეთ, რატომ მიაყენეთ შეურაცხყოფა? ბატონებო, აცალეთ, თქვას, რატომ მიაყენა შეურაცხყოფა?!

ლვოვი. ალექსანდრა პავლოვნა, უმიზეზოდ არაფერი გამიკეთებია. მე აქ პატიოსან კაცად მოვედი, რათა თვალი აგიხილოთ და გთხოვთ, მომისმინოთ!

საშა. რა შეგიძლიათ მითხრათ, რა? პატიოსანი რომ ხართ, მთელმა ქვეყანამ იცის. თქვენ ის მითხარით, თუ გესმით, რა ჩაიდინეთ? აი, ახლა, შემოხვედით აქ და როგორც პატიოსანმა კაცმა ნიკოლაი ალექსეევიჩს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენეთ. ადრეც, კარგად მახსოვს, მოსვენებას არ აძლევდით, სულ კუდში დასდევდით და სიცოცხლეს უმწარებდით. თქვენ მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ პატიოსანი კაცი ხართ და თქვენი ვალია, ისე მოქცეულიყა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვით, როგორც იქცეოდით. თქვენ მის პირად ცხოვრებაში ერეოდით, ლანძღავდით, განსჯიდით მის საქციელს და ერთი წუთითაც არ დაეჭვებულხართ, რომ პატიოსანი ხართ... სადაც ხელი მიგიწვდებოდათ, ნაცნობი იყო თუ უცნობი, ყველას ანონიმურ წერილებს უგზავნიდით. ამ წერილებში მასაც, მეც, ლაფში გვსვრიდით და ყოველივე ამას შეგნებულად აკეთებდით, რადგან ღრმად დარწმუნებული იყავით, რომ პატიოსანი კაცი ხართ! გჯეროდათ, რომ ეს კეთილსინდისიერი საქციელია და ამ რწმენით თქვენ, ექიმი, მის ავადმყოფ ცოლსაც არ ინდობდით და თქვენი ჭორიკანობითა და ეჭვიანობით მოსვენებას არ აძლევდით... რა ბოროტებაც უნდა ჩაგედინათ, რა უსინდისობაც უნდა გაგეკეთებინათ, ყოველთვის გეჩვენებოდათ, რომ არაჩვეულებრივად სუფთა, პატიოსანი და მოწინავე ადამიანი ბრძანდებით!

ივანოვი. *(იცინის.)* ქორწილი კი არა, პარლამენტია! ბრავო, ბრავო!

საშა. *(ლვოვს.)* დაფიქრდით ახლა და მიპასუხეთ: გესმით, რას სჩადიხართ? უტვინო, უგულო ხალხი! *(ივანოვს ხელს მოჰკიდებს.)* წავიდეთ, ნიკოლაი! წამოდი, მამა!

ივანოვი. რა დროს წასვლაა, მოიცა ერთი წუთით... მე ახლა ყველაფერს გავარკვევ... ჩემში ისევ გაიღვიძა ახალგაზრდობამ, ისევ ძველი ივანოვი ალაპარაკდა... *(რევოლვერს ამოიღებს.)*

საშა. *(შეჰყვირებს.)* ვიცი, ვიცი, რას იზამს... ნიკოლაი, ღვთის გულისთვის!

ივანოვი. კმარა, მეყოფა! აქამდე სულ დაღმართში მივექანებოდი... ახლა უნდა გავჩერდე. სინდისიც კარგი საქმეა... მომშორდით! გმადლობთ, საშა!

საშა. *(ყვირის.)* ნიკოლაი, ღვთის გულისთვის... გააჩერეთ!

ივანოვი. თავი დამანებეთ! *(სწრაფად განზე გადის და თავს იკლავს.)*

ფარდა

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE